წარუდგინეს თუ არა ბრალი პოლიციის მაღალჩინოსნებს? A7

"თქვენი აფხაზეთი" A8

ევროისტორია B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 3 მარტი, 2004 წელი. №52 (601) | ფასი 50 თეთრი

## ეკონომიკა

### საბჭოთა კავშირის დროინდელი ანაბრები - პოლიტიკური სპეკულაციის საგანი

საქართველოს ხელისუფლებამ მეზობელი ქვეყნების მთავრობებს "ხალხზე ზრუნვაში" ამჯერადაც "აჯობა" და, ედუარდ შევარდნაძის უშუალო მოწოდებით, საქართველოს მოსახლეობას ის ფულიც წაართვა, რაც ხელზე ჰქონდა, ანაბრებზე დაგროვილი თანხების გაორმაგებას შეჰპირდა და თანხები სალაროში შეატანინა.

A4

## უცხოეთი

### სისხლიანი აშურა ერაყში

გუშინდელი დღე ერაყში ომის დაწყებიდან ყველაზე სისხლიანი და ტრაგიკული იყო. ბაღდადიდან 90 კილომეტრის დაშორებით მდებარე ქალაქ ქერბელაში ერთდროულად ექვსი აფეთქება მოხდა. პარალელურად სამი აფეთქება განხორციელდა თავად ერაყის დედაქალაქშიც. ორივე ქალაქში მომხდარი ტერორისტული აქტების შედეგად, სულ ცოტა, 140 ადამიანი დაიღუპა.

A5

## საზოგადოება

### სასამართლო პროცესი და ერთი "ლეიბორისტი"

საქართველოს მეანაბრეთა მიერ 7 წლის წინათ დაწყებული სასამართლო პროცესების სერია კვლავ გრძელდება. გუშინ საკონსტიტუციო სასამართლოში გამართული პროცესი ერთ-ერთი მოპასუხე მხარის, პრეზიდენტის წარმომადგენლის გამოუცხადებლობის გამო გადაიდო. სასამართლომ მორიგი პროცესი 11 მარტისთვის დანიშნა. როგორც მოსამართლეები ირწმუნებიან, თუ მოპასუხე მხარე მომავალ პროცესზეც არ გამოცხადდება, სასამართლო მის დაუსწრებლად განიხილავს საქმეს.

A6

## სამართალი

### მკვლელების დაპატიმრებამდე დაღუპულ ქალს არ კრძალავენ

გუშინ დილიდან ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალკახათის მოსახლეობამ ზუგდიდი-ანაკლიას საავტომობილო გზა და ზუგდიდი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალი გადაკეტა. მათ პროტესტს ის ფაქტი იწვევს, რომ 28 თებერვალს ყაჩაღური თავდასხმისას მომხდარი ელისო ქირიას მკვლელობა სამართალდამცველებს ჯერ არ გაუხსნიათ და, შესაბამისად, არც მკვლელები დაუპატიმრებიათ.

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 18 | |
| ქუთაისი | 20 | |
| ბათუმი | 19 | |
| სოხუმი | 18 | |
| ფოთი | 20 | |
| თელავი | 17 | |
| ზუგდიდი | 21 | |
| გორი | 14 | |
| ახმეტა | 17 | |
| ჭიათურა | 17 | |
| გაგრა | 17 | |
| სამტრედია | 20 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9800 |
| ევრო | 2.4554 |
| გირვანქა სტერლ. | 3.6850 |
| რუბლი | 0.0694 |

# ოპოზიციონერთა გასაჭირი, რომელსაც მალავენ

*როგორც ჩანს, საქართველოს 1999-2003 წლის მოწვევის პარლამენტმა მართლაც დაასრულა თავისი საქმიანობა. ყოველ შემთხვევაში, გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ დეპუტატები, შესაძლოა, კვლავ შეკრებილიყვნენ და შვიდპროცენტიანი საარჩევნო ბარიერის დაწევის შესაძლებლობაზე ემსჯელათ, არ მართლდება. სახელისუფლებო პარტიები ევროსაბჭოსა და ეუთო-ს რეკომენდაციების შესრულებას აშკარად არ ჩქარობენ. მეტიც - საკმაოდ უცნაურად იქცევიან ოპოზიციური პარტიებიც, რომლებიც მათთვის ხელსაყრელ, შესაძლოა, ერთადერთ და გადამწყვეტ შანსს ხელიდან უშვებენ და ხელისუფლებაზე ზემოქმედების არც ერთ ბერკეტს არ იყენებენ, თუნდაც, იმავე ევროსაბჭოსა თუ ეუთო-ს რეკომენდაციებს.*

თამარ მჭედლიშვილი

არადა, იმ კომენტარებით თუ ვიმსჯელებთ, რომელიც გაზეთებსა თუ სატელევიზიო გადაცემებში პერიოდულად ჩნდება, ქართული ოპოზიციური სპექტრი აშკარად შიშობს, რომ საქართველოს ერთპარტიული მმართველობა ემუქრება და ამით ქვეყანაში დემოკრატიის განვითარება რეალური საფრთხის წინაშე დადგება.

ერთპარტიული მმართველობის საფრთხე ნამდვილად არსებობს. ამის თაობაზე საქართველოში ღიად ალაპარაკდა სამოქალაქო სექტორი. მაგრამ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ოპოზიციური სპექტრი უკვე შეეგუა ამ ფაქტს. ამ ფონზე კი საკმაოდ უცნაურად გამოიყურება ის ფაქტი, რომ არც ერთმა მათგანმა ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან საკუთარი განაცხადი უკან არ გამოიტანა. გამოდის, პოსტრევოლუციურ საქართველოში, სადაც ნებისმიერი სოციოლოგიური კვლევის თანახმად, "ნაციონალური მოძრაობა" ერთპიროვნულად ლიდერობს და სადაც დანარჩენი პარტიები, ერთად აღებული, ამომრჩევლის მაქსიმუმ 10 პროცენტის სიმპათიას თუ იმსახურებენ, შვიდპროცენტიანი ბარიერის დაძლევა ოპოზიციური სპექტრისთვის პრობლემას არ წარმოადგენს და ბარიერის დაწევისათვის არ იბრძვის.

ასეც რომ იყოს, ოპოზიციური პარტიების პასიურობა მაინც არ იქნებოდა გამართლებული, რადგან ერთია ბარიერის დაძლევა და მეორე – პარლამენტში სოლიდური შემადგენლობით შესვლა. თუკი შვიდპროცენტიანი ბარიერი პარლამენტში მხოლოდ 12-14 მანდატს ნიშნავს, ხუთპროცენტიანი ბარიერი ამ მანდატების რაოდენობას, ბუნებრივია, გაზრდიდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ერაყი - აფეთქებები და სტრესები



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ერაყიდან დაბრუნებული ქართველ სამშვიდობოთა ასეული.*

ვერიკო თევზაძე

**"ეს იყო ჩვეულებრივი ომი, ყოველდღიური აფეთქებებით და სტრესული სიტუაციებით,"** - ასე გაიხსენეს "24 საათთან" საუბრისას ერაყში გატარებული დღეები ქართველმა მშვიდობისმყოფელებმა. გუშინ საღამოს ალექსეევკის სამხედრო აეროდრომზე ამერიკული "ბოინგით" სამშობლოში დაბრუნდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 71-კაციანი ჯგუფი.

ქართველი სამხედროები სამშვიდობო მისიას შვიდი თვის განმავლობაში აშშ-ს მეოთხე დივიზიასთან ერთად ასრულებდნენ. ისინი იმყოფებოდნენ ბაღდადში, ბეიჯსა და სადამ ჰუსეინის მშობლიურ ქალაქ თიკრიტში. ერაყში მოქმედ პირველ ქართულ სამშვიდობო ჯგუფს ვიცე-პოლკოვნიკი ბესიკ კაზალაშვილი ხელმძღვანელობდა. **"ერაყში პარტიზანული ომი მიმდინარეობდა. ბაზები თითქმის ყოველდღე იბომბებოდა,"** - განაცხადა ვიცე-პოლკოვნიკმა.

სხვა სამშვიდობოებთან ერთად, გუშინ დაბრუნდა სამი ოფიცერი - გოჩა შავგულიძე, ფრიდონ სოფრომაძე და კახა ჯიქია. ისინი გიორგი ჯანელიძესთან ერთად, ერაყში საბრძოლო დავალების შესრულებისას დაშავდნენ. ოფიცრებმა "24 სათთან" საუბრისას გაიხსენეს აფეთქების წუთები და ჯოჯოხეთური დღეები, რომელიც ამერიკაში, ტეხასის შტატის ქალაქ სან ანტონიოს დამწვრობის ცენტრში გაატარეს. ქუთაისის 21-ე ბრიგადის წარმომადგენელს გიორგი ჯანელიძეს იმდენად მძიმე დამწვრობა ჰქონდა მიღებული, რომ ერთთვიანი მკურნალობის შემდეგ სამშობლოში დააბრუნეს. **"მე მათ პირველადი დახმარება გავუწიე. შემდეგ ბიჭები ამერიკაში გადააფრინეს. თვითმფრინავთან რომ ვიდექი, პირჯვარს ვიწერდი და ღმერთს მადლობას ვწირავდი..."** – ასე იხსნებს მისთვის ყველაზე მძიმე და დასამახსოვრებელ დღეს კოჯრის სპეცდანიშნულების ბრიგადის სამედიცინო სამსახურის უფროსი, ექიმი ლევან გოგუაძე.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მღვდელი ზაზა თევზაძე: გამოსავალი ჭეშმარიტი რწმენაა

ნოდარ ლადარია

*მე და ზაზა თევზაძემ ერთად დავიწყეთ სწავლა თბილისის სასულიერო აკადემიაში. 1989-1990 სასწავლო წელს სტუდენტთა მეორე ნაკადი ვიყავით. ზაზა ლექციებზე ჩემზე წინ იჯდა, პირველ რიგში. დღეს იგი წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის მღვდელია და საკმაოდ ცნობილი პიროვნება არა მარტო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლში, არამედ მთელ სამოქალაქო საზოგადოებაში. რამდენსაც არ უნდა ვლაპარაკობდეთ იმ უდიდეს ნდობაზე, რომლითაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სარგებლობს ჩვენში, სამღვდელო კაბას ჯერ კიდევ იშვიათად იხილავთ საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრში. მამა ზაზა ერთ-ერთი ბედნიერი გამონაკლისია ამ მდგომარეობიდან. დღეს იგი ჩვენი გაზეთის სტუმარია და ქართული ეკლესიისა და საზოგადოებისათვის საჭირბოროტო საკითხებზე საუბრობს... ხანდახან საგაზეთო შტამპებიც ზუსტად ასახავენ ვითარებას.*

გაგრძელება B1 გვერდზე



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*მღვდელი ზაზა თევზაძე "24 საათის" რედაქციაში*

# როგორ იტაცებდა ერთი კლანი მსხვილ ბიზნესს

### გენერალურ პროკურატურაში ნუგზარ შევარდნაძისა და შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ საჩივარი შევიდა

ინგა ალავიძე

*ისტორია, რომელსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ, კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ როგორ კეთდებოდა საქართველოში ბიზნესი, უფრო ზუსტად, როგორ იტაცებდა ერთი კლანი ყველა მომგებიან სფეროს, მორალური და სამართლებრივი კანონების დარღვევით. ბიზნესკონფლიქტი სისხლთან ან ციხესთან იყო დაკავშირებული, ზოგ შემთხვევაში - ორივესთან ერთად.*

გაგრძელება A7 გვერდზე

# გუბერნატორი იტალიელ ინვესტორს შენიშვნას აძლევს

მაია მოსიაშვილი

რუსთავის მეტალურგიული კომბინატის იტალიელი ინვესტორი "არეს ინტერნაციონალე" ქარხნიდან ჯართის გატანის ნებართვას ითხოვს. ამის თაობაზე გუშინ შპს "რუსთავი არეს მეტალურგიული კომბინატის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ ალექსანდრე სერიოგინმა განაცხადა.

**"საჭიროა 2 ათასი ტონა ჯართი გავყიდოთ, რათა პენსიონერებისა და სახელმწიფოს მიმართ არსებული დავალიანება დავფაროთ. ამით ქარხანა ზარალში არ არის, რადგან ჯართი ჩვენ მიწიდან ამოვიღეთ და ის, ფაქტობრივად, საწარმოს ბალანსზე არ ირიცხება,"** - ასეთი განმარტება გააკეთა გუშინ "არესის" წარმომადგენელმა ქვემო ქართლის გუბერნატორთან,

გაგრძელება A3 გვერდზე

# "მცირე ლიცენზიანტები" ხელისუფლების ყურადღების ცენტრში

მაია ურუშაძე

*სულ ორი დღეა, რაც მთავრობამ ენერგოსექტორის რეაბილიტაცია პრიორიტეტულ მიმართულებად გამოაცხადა. თუმცა, როგორც ჩანს, დარგის კურატორები ამ განცხადებისთვის უკვე კარგა ხანია, მზად იყვნენ და პირველმა ნაბიჯმაც არ დააყოვნა: გუშინ "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" (გსეკ) გენერალურმა დირექტორმა დინ უაითმა საგანგებო პრესკონფერენცია მოიწვია და საზოგადოებას უკვე ენერგეტიკის მთავარი პრიორიტეტის თაობაზე ამცნო. "24 საათი" უკვე წერდა, რომ ეს პრიორიტეტი ე.წ. "მცირე ლიცენზიანტებთან" ბრძოლაა. გსეკ-ის მენეჯერებმა საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას (სემეკ) მცირე ენერგოკომპანიებისათვის ლიცენზიების ჩამორთმევის თხოვნით უკვე მიმართეს. ეს კი ნიშნავს, რომ ენერგოსადისტრიბუციო ბაზარი საქართველოში კვლავ ჩაკეტილი რჩება.*

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ევროისტორია | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## 18-წუთიანი რბენა მთავარსარდალთან ერთად



*მთავარსარდალი კმაყოფილია ჯარისკაცების საბრძოლო სულისკვეთებით.*

წუხელ ღამის პირველ საათზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა შინაგანი ჯარების პირველ ოპერატიულ ბრიგადაში სასწავლო მობილიზაცია გამოაცხადა. ეს იყო უპრეცენდენტო შემთხვევა შინაგანი ჯარების ისტორიაში.

განგაშამდე სულ რაღაც წუთით ადრე, ყოფილი მერვე პოლკის შესასვლელთან უეცრად მივარდნილ ჟურნალისტებს გუშაგი ეკითხებოდა - გაგვაგებინეთ, რა ხდებაო? პრესის წარმომადგენლები, რომელთა გარკვეულ ნაწილს ეგონა, რომ ქალთა კოლონიის ტერიტორიაზე იმყოფებოდა (და ცოცხალი თავით ამ "ინფორმაციას" დანარჩენ კოლეგებს არ უმხელდა) მხრებს იჩეჩავდნენ.

ბრიგადის წევრები ყაზარმებიდან ისეთი სისწრაფით გამორბოდნენ, რამდენიმე ჟურნალისტმა შეჰკივლა კიდეც, ფრთხილად, თორემ გადაგვთელავენო. ბრიგადას, მაქსიმუმ ნახევარ საათში, უნდა მოესწრო საბრძოლო მზადყოფნაში მოსვლა. ჯარისკაცებმა 18 წუთში მოახერხეს მობილიზება.

პრეზიდენტმა ბრიგადის წევრებს ასეთი მაღალი საბრძოლო სულისკვეთებისთვის მადლობა გამოუცხადა: **"მიგულეთ, რომ მეც ერთ-ერთი ჯარისკაცი ვარ თქვენთან ერთად".**

მიხეილ სააკაშვილთან ერთად წუხელ შინაგან ჯარებში იმყოფებოდნენ პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, უშიშროების მინისტრი ზურაბ ადეიშვილი, უშიშროების საბჭოს მდივანი ვანო მერაბიშვილი. **"მე მგონი, ყველა მიხვდა, რომ პრეზიდენტი მთავრობასაც ამოწმებს,"** - ურიგოდ არ იხუმრა ზურაბ ჟვანიამ.

მიხეილ სააკაშვილს ჟურნალისტების წაქეზებაც არ დავიწყებია. მან პრესის მობილიზებას "ყველაზე ეფექტური" უწოდა და ანონსის სახით გვაუწყა, რომ მომავალში მსგავს ღონისძიებებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩაატარებს.

## ძალოვანების ბიუჯეტი

უშიშროების საბჭოში გუშინ ძალოვანი უწყებებისათვის გამოსაყოფი თანხების სავარაუდო ოდენობას განსაზღვრავდნენ. თავდაცვის მინისტრ გელა ბეჟუაშვილის აზრით, მის უწყებას, სულ ცოტა, 70 მილიონი ლარი სჭირდება. თუმცა, ამ სურვილს რომ რეალობად ქცევის შანსი ნაკლებად აქვს, ბეჟუაშვილმა გუშინ თავადვე აღიარა - გვინდა და გვჭირდება, მაგრამ მეეჭვება, რომ მოგვცენო. უფრო რეალური გენერალური პროკურატურის მოთხოვნაა; ოქრუაშვილი, სულ რაღაც, 15 მილიონ ლარზეც თანახმაა. რაც შეეხება შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი ბარამიძეს, იგი გუშინ ნამდვილი ჯარისკაცული მზადყოფნით აცხადებდა, რომ "ფეხს იმხელაზე გაჭიმავს, რამხელაზეც საბანი გასწვდება." სახელმწიფო ბიუჯეტიდან შინაგან საქმეთა უწყებისათვის საჭირო კონკრეტული თანხის ჟურნალისტებთან დასახელებას მან სამინისტროში რეორგანიზაციის აუცილებლობაზე ლაპარაკი ამჯობინა. საკადრო რეორგანიზაციის ეფექტიანად ჩასატარებლად ბარამიძეს კი, არც მეტი, არც ნაკლები, "ახალი ხედვის მქონე პროფესიონალები სჭირდება".

*24 საათი*

## საქართველოს სახალხო ფრონტის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარის განცხადება

ჩემი დღევანდელი მიზანია, საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ სუბიექტებს მოვუწოდო სიფხიზლისკენ იმ სპეციფიკურ ვითარებაში, რომელიც დღეს ბათუმში ყალიბდება. მხედველობაში მაქვს შემდეგი:

მრავალი წელია, რუსეთის დავალებით საქართველოში მიმდინარეობს "თბილისისა და ბათუმის კონფლიქტის" სიმულაცია, რომელიც, რუსული გეგმითვე, ამჟამად ამ "კონფლიქტის" ორგანიზების სტადიაში გადადის. ბოლო დრომდე "მხარეების" "ლიდერებს" ამ მოგონილ "კონფლიქტში" წარმოადგენდნენ შევარდნაძე და აბაშიძე. დღეს შევარდნაძეს ეს ფუნქცია დაკარგული აქვს, მაგრამ მისი ფუნქციის შესრულება გრძელდება. ვის მიერ? - ეს კითხვა დგას და ეჭვი ეხება არა მხოლოდ უპასუხისმგებლო მინისტრის მოადგილეს, რომელიც სიტყვას - "იარაღი" - ახსენებს;

ზემოხსენებული ანტიქართული დივერსიის მომხრე არის და იქნება არა მხოლოდ რუსეთი, რომლის როლი ნათელია, არამედ, შესაძლოა, მსოფლიოს სხვა ძალებიც, რომელნიც, ეროვნულ სახელმწიფოთა საზარალოდ, მსოფლიოში "რეგიონალიზმისა" და "გლობალიზმის" სულისკვეთების გავრცელებას ლამობენ.

ხიფათი ძალიან დიდია და ძალიან მოახლოებულია.

იყავით ფრთხილად!

*ნოდარ ნათაძე*

## ნინო ბურჯანაძის ვიზიტი მონაკოში

27-29 თებერვალს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე სამუშაო ვიზიტით მონაკოში იმყოფებოდა, სადაც მონაწილეობა მიიღო მონაკოს კლუბის კონფერენციაში. ამ კლუბის წევრები არიან – გაერო-ს ყოფილი გენერალური მდივნები ბუტროს ბუტროს გალი, ხავიერ პერეს დე კუელერი, იუნესკოს ყოფილი გენერალური მდივანი მაიორი და სხვა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები. მონაკოს კლუბში ხდება აზრთა გაცვლა, სხვადასხვა ცნობილი კვლევითი ცენტრების მიერ დაგროვილი გამოცდილების გაზიარება. კლუბის წევრთა გადაწყვეტილებით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე აღნიშნული კლუბის წევრად მიიღეს.

ხმელთაშუა ზღვის პოლიტიკურ სწავლებათა ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტმა კლოდ დე კემულარიამ ნინო ბურჯანაძე კლუბის წევრებს წარუდგინა და მას "ვარდების რევოლუციის დედოფალი" უწოდა. კონფერენციაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე სიტყვით გამოვიდა. მან საქართველოში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე ისაუბრა და ყურადღება აფხაზეთის თემაზე გაამახვილა. ბურჯანაძემ ხაზი გაუსვა საერთაშორისო ძალისხმევის გააქტიურების აუცილებლობას, რათა საბოლოოდ მოხერხდეს კონფლიქტის სრულმასშტაბიანი დარეგულირება.

"მონაკოს კლუბის ქვეყნები აქტიურად ჩაერთვებიან აფხაზეთის პრობლემის მოგვარების საკითხში," – განაცხადა გუშინ საქართველოში დაბრუნებულმა პარლამენტის თავმჯდომარემ. მისი თქმით, ფორუმის წევრებმა გადაწყვიტეს, მომავალი შეკრების დღის წესრიგში ცალკე საკითხად აფხაზეთის პრობლემის განხილვა შეიტანონ. გარდა ამისა, მისი თქმით, მონაკოს კლუბის ქვეყნების ბიზნესმენები მზად არიან, საქართველოს საკითხს საერთაშორისო არენაზე ლობირება გაუწიონ.

"მართალია, მონაკოს კლუბი რეკომენდაციებს შეიმუშავებს, რომელთა შესრულება სავალდებულო არ არის, მაგრამ მსოფლიოს პოლიტიკური ელიტა მონაკოს კლუბის რეკომენდაციებს ანგარიშს უწევს," - დასძინა პარლამენტის თავმჯდომარემ. მონაკოს კლუბის ქვეყნების წარმომადგენელთა მორიგი შეხვედრა ერთი წლის შემდეგ გაიმართება.

*24 საათი*

## გუბერნატორი იტალიელ ინვესტორს შენიშვნას აძლევს

პირველი გვერდიდან

სოსო მაზმიშვილთან გამართულ შეხვედრაზე. მისი თქმით, ინვესტორი 600 ინვალიდი პენსიონერის დავალიანების გადახდის ვალდებულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აიღებს თავის თავზე, თუ მას ქარხნიდან ჯართის გატანის საშუალებას მისცემენ.

**"სერიოგინი აქამდე ამტკიცებდა, გრამი ჯართი არ გაგვიყიდიაო. ახლა ის აცხადებს, რომ 3 ათასი ტონა უკვე გაყიდეს და კიდევ 2 ათასის გატანა სურთ.**

**ჩვენ საკითხს ასე ვსვამთ - მათ აქვთ მილების ჩამონაჭრები და ის გაყიდონ. ჯართს ხელს ნუ მოკიდებენ, რადგან არის საშიშროება, რომ ინვესტორი ქარხნიდან წავა და აქ ის ჯართიც აღარ დარჩება, რაც დღემდე შემორჩა. ჩემი ინფორმაციით, მათ ჯართის გატანა მარტენის საამქროდან უნდათ,"** - განაცხადა სს "რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" გენერალურმა დირექტორმა ნოდარ ღვამბერიამ, რომელიც ქარხანაში იტალიელების შემოსვლის ერთ-ერთი აქტიური ინიციატორი იყო, თუმცა ბოლო დროს ასევე აქტიურად დაუპირისპირდა მათ.

კატეგორიული იყო ქვემო ქართლის გუბერნატორის პოზიციაც. მან ინვესტორის წარმომადგენელს უახლოეს დღეებში პენსიონერი მეტალურგებისათვის საჭირო 30 ათასი ლარის გადახდა სთხოვა.

**"მათ არა მარტო შეუძლიათ, არამედ ვალდებულნიც არიან, რომ დავალიანება დაფარონ. იტალიური მხარე სასამართლო გადაწყვეტილებაზე აპელირებს, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. სახელმწიფო მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ შექმნა კომისია, რომლის წევრი მეც ვარ. კომისია განიხილავს იმას, თუ რითი დავუდგეთ გვერდში ინვესტორებს, რათა საწარმოს რეაბილიტაცია რეალურად განხორციელდეს. აპელირება იმაზე, რომ ჯართის გაყიდვის უფლების არქონის გამო დავალიანებას ვერ იხდიან, არასწორია. ეს მათი არასწორი მენეჯმენტის შედეგია. მე მათ მენეჯმენტში ჩარევას არ ვაპირებ, მაგრამ იტალიურმა მხარემ უნდა იცოდეს, რომ მათ სახელმწიფო მხარში უდგას მხოლოდ კანონის ფარგლებში. ამ პენსიონერებითა და მათი 30 ათასი ლარით სპეკულირება, რათა შემდგომ ათეულ ათასობით დოლარის ჯართი გაიტანონ ქარხნიდან, ვფიქრობ, არასწორია,"** - განაცხადა ქვემო ქართლის გუბერნატორმა.

## იანვარ-თებერვლის სახელმწიფო ბიუჯეტი გადაჭარბებითაა შესრულებული

*გუშინ ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი განსაკუთრებულად ამაყი გახლდათ - ბოლო პერიოდის მანძილზე პირველად საქართველოს ხელისუფლებამ იანვარ-თებერვლის ბიუჯეტის შემოსავლების გადაჭარბებით შესრულება შეძლო.*

როგორც პრესკონფერენციაზე ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი იანვარ-თებერვალში 106 პროცენტით არის შესრულებული და ორ თვეში საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით 10 362 200 ლარით მეტია მობილიზებული.

**"ბიუჯეტში 2003 წლის თებერვალთან შედარებით 16 553 400 ლარით მეტია მობილიზებული, რაც 126,1 პროცენტს შეადგენს",** - განაცხადა ნოღაიდელმა.

მისი თქმით, საერთო ჯამში, 2004 წლის იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტში გასულ წელთან შედარებით 10 550 00 ლარით მეტი შეგროვდა, რაც 24,2 პროცენტს შეადგენს. საგანგებოდაა აღსანიშნავი, რომ გადაჭარბებითაა შესრულებული საგადასახადო შემოსავლები და ეს ზრდა მხოლოდ გრანტების ხარჯზე არ მომხდარა.

**"თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ გაუქმებულია 20 მილიონი ლარის ღირებულების ყალბი აქტივი და 15 მილიონი ლარით შემცირებულია წინასწარი გადასახადები, ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის რეალური მაჩვენებელი, დაახლოებით, 85 მილიონ ლარს გაუტოლდება",** - განაცხადა მინისტრმა.

მან ისიც აღნიშნა, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულები თებერვლისა და მარტის ხელფასებს მიმდინარე თვის ბოლომდე მიიღებენ.

**"ვეცდებით, მარტის ბოლომდე მარტის თვის ხელფასებიც გავცეთ. ამით დაფინანსების პროცესი დალაგდება და ხელფასების გაცემას თვე თვეში დავიწყებთ,"** - განაცხადა ნოღაიდელმა, რომლის თქმით, ბიუჯეტი გასული წლის ბოლო ორი თვის სახელფასო დავალიანებას პირველი კვარტლის ბოლომდე დაფარავს.

**"როცა ახალმა მთავრობამ მუშაობა დაიწყო, ვვარაუდობდით, რომ 2004 წლის თებერვლისთვის სოციალურ ხარჯებში 40 მილიონი დავალიანება გვექნებოდა. საბედნიეროდ, ჩვენი პროგნოზი არ გამართლდა. დავალიანების დაგროვება საერთოდ არ მომხდარა. უფრო მეტიც, 5 მილიონი ლარის ოდენობის ძველი დავალიანებაც გავისტუმრეთ,"** - აღნიშნა მან.

*24 საათი*

## ლარი გამყარდა

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე აშშ დოლარის გაცვლითმა კურსმა 1,98 ლარი შეადგინა, რაც 2001 წლის 8 იანვრის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ლარის ასეთი გამყარების მიზეზი რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა; კერძოდ, შიდა სავალუტო ბაზარზე ლარზე მოთხოვნილების ზრდამ და საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებამ. ჩრდილოვანი ეკონომიკის შეზღუდვის კვალობაზე დოლარის მასა თანდათანობით ლარებზე კონვერტირდება, თუმცა ბიუჯეტში შესული გაზრდილი საბაჟო და საგადასახადო შემოსავლები მიმოქცევაში მთლიანად ვერ ბრუნდება და მთავრობის დეპოზიტებზე გროვდება. ამის მიზეზი 2004 წლის ბიუჯეტის უქონლობაა, რის გამოც ფინანსთა სამინისტროს მხოლოდ გასული წლის 1/12-ის ფარგლებში აქვს ხარჯვის უფლება. ასეთ ვითარებაში ლარის ნაკადების შედინება სავალუტო ბაზარზე დროებით შეზღუდულია. ეროვნული ბანკი იძულებულია, დაუშვას ლარის თანდათანობითი გამყარება უცხოური ვალუტის შესყიდვების ფონზე. აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკის ექსპერტები ლარის გამყარებას გრძელვადიან ტენდენციად არ მიიჩნევენ.

*მედია-ნიუსი*

## ოჩამჩირესთან დაკავებული გემი გათავისუფლებულია

რუსული დროშით მცურავი თევზსაჭერი გემი "ტრეპანგი", რომელიც ქართველმა მესაზღვრეებმა 12 თებერვალს ოჩამჩირიდან ექვსი მილის დაშორებით დააკავეს, უკვე გათავისუფლებულია.

გემი მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც მისმა მფლობელებმა საქართველოს ბიუჯეტის სასარგებლოდ 240 ათასი ლარი გადაიხადეს. ეს თანხა მათ ტერიტორიულ წყლებში შეჭრისა და უკანონო თევზჭერის გამო დაეკისრათ.

"ტრეპანგი" სევასტოპოლის პორტიდან იყო გამოსული. მისი დაკავებისას საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სანაპირო დაცვის საოპერაციო სამსახურის თანამშრომლები იძულებულები გახდნენ, ცეცხლი გაეხსნათ, რადგან გემის უკრაინული ეკიპაჟი მათ არ დაემორჩილა.

"ტრეპანგის" დაკავება გააპროტესტეს აფხაზეთი დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

შეგახსენებთ, რომ "ტრეპანგის" დაკავების ოპერაციის წარმატებით ჩატარებისთვის ქართველი მესაზღვრეები პრეზიდენტ სააკაშვილის ბრძანებით დააჯილდოვეს.

*მედია-ნიუსი*

## შს მინისტრი ქალაქებთან ბლოკ-პოსტების გაუქმების მომხრეა



*გიორგი ბარამიძე.*

შესაძლოა, უახლოეს ხანებში საქართველოს ქალაქებთან მოწყობილი ბლოკ-საგუშაგოები გაუქმდეს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ შს მინისტრი გიორგი ბარამიძე შესაბამის ბრძანებას მოაწერს ხელს.

გიორგი ბარამიძის აზრით, ქალაქებთან ბლოკ-საგუშაგოების გაუქმება მიზანშეწონილია, რადგან მათ მოქმედებას მოცემულ პირობებში არანაირი ეფექტი არ აქვს, გარდა უარყოფითისა.

კერძოდ, როგორც მინისტრმა გუშინ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, საგუშაგოების მუშაობის პერიოდში საზოგადოების დატერორებისა და მოქალაქეებისგან ქრთამის აღების არაერთი ფაქტი გამოვლინდა.

ბარამიძის აზრით, სანამ ქვეყანას არ ეყოლება ისეთი პოლიცია, რომელიც ქრთამს არ აიღებს, რისთვისაც თანამშრომელთათვის მაღალი ანაზღაურების დაწესებაა საჭირო, ამგვარი პუნქტების მუშაობა მიზანშეუწონელია.

**"ბლოკ-პოსტები არ არის გამოსავალი დანაშაულთან წინააღმდეგ ბრძოლაში",** - განაცხადა მინისტრმა.

მისივე თქმით, ბლოკ-პოსტების მოხსნის შემდეგ ავტომანქანების გატაცებასთან დაკავშირებით სხვა ღონისძიებები დაიგეგმა, რომელიც ცხინვალისა და სომხეთის მიმართულებით ავტომანქანების გაყვანის საწინააღმდეგოდ არის მიმართული.

*ინტერ-პრესი*

## სახელმწიფო "აზოტის" ინვესტორს შეღავათს უწევს

გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში "აზოტის" დაყადაღების ბედი წყდებოდა.

შეგახსენებთ, რომ დაახლოებით ერთ თვეზე მეტია საწარმოს კრედიტორები ქიმიურ საწარმო "აზოტს" ქონების დაყადაღებით ემუქრებიან. გუშინ პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან გამართულ თათბირზე "იტერას" წარმომადგენლებმა, რომლებიც ამავდროულად "აზოტის" ინვესტორები არიან, პრემიერსა და ეკონომიკის მინისტრს ირაკლი რეხვიაშვილს თანადგომა და მხარდაჭერა სთხოვეს.

შეხვედრა, ცხადია, დახურულ ფორმატში წარიმართა. შეხვედრიდან გამოსულმა "იტერას" წარმომადგენელმა თამაზ პატარიძემ განცხადა, რომ კრედიტორთა მოთხოვნა საწარმოს ქონების დაყადაღების თაობაზე უსაფუძვლოა. როგორც პატარიძე აცხადებს, კრედიტორთა მოთხოვნის მიუხედავად, ქიმიური საწარმო "აზოტი" არ დაყადაღდება, რადგან პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან მიღწეულია შეთანხმება, რომ რეაბილიტაციის პროცესში მყოფ "აზოტს" დავალიანებების გარკვეული გეგმის მიხედვით გასტუმრების საშუალება მიეცეს.

პატარიძის თქმით, "აზოტს" სულ დაახლოებით 60-70 მილიონი დოლარის დავალიანება დაუგროვდა, აქედან სახელმწიფოსადმი ვალი 22 მილიონ ლარს შეადგენს და სახელმწიფო თანახმაა, ეს თანხა დაახლოებით 3 თვის განმავლობაში იქნას გადახდილი.

პრეზიდენტის რწმუნებულმა ქვემო ქართლში სოსო მაზმიშვილმა კი განაცხადა, რომ ხელისუფლება "აზოტთან" და მის ინვესტორებთან გარკვეულ შეღავათებზე მიდის, თუმცა უკვე მიმდინარე წლიდან საწარმო და მისი ინვესტორი "იტერა" ვალდებულები იქნებიან, ბიუჯეტთან ანგარიშსწორება ყოველთვიურად აწარმოონ.

*24 საათი*

## ქართული ჟანდარმერია ყველასგან საუკეთესოს აიღებს

როგორც ცნობილია, შინაგან საქმეთა ორგანოების რეფორმის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად შინაგან საქმეთა სამინისტროს დემილიტარიზაციაა მიჩნეული. რაც, ცხადია, პირველ რიგში, უწყების პოლიციურიდან სამოქალაქო სტრუქტურად გარდაქმნას გულისხმობს, რომელშიც პოლიცია მხოლოდ ერთ სტრუქტურულ დანაყოფად დარჩება. გარდა ამისა, რეფორმა მნიშვნელოვანწილად შეეხო შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგებლობაში არსებულ შეიარაღებულ დანაყოფს – შინაგან ჯარს, რომლის არსებული სახით სტრუქტურის შიგნით ყოფნა მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული. შესაბამისად, რეფორმის ფარგლებში გადაწყდა შინაგანი ჯარისთვის საზღვრის დაცვის გარკვეული ფუნქციების შეთავსება და ერთგვარი ეროვნული გვარდიის – ჟანდარმერიის ჩამოყალიბება. ამ თვალსაზრისით უკვე გარკვეული სერიოზული ძვრებიც სახეზეა. კერძოდ, შინაგანი ჯარების პირველი ოპერატიული ბრიგადის 42 ზემდეგსა და ოფიცერს გუშინ სპეციალური ოთხთვიანი სასწავლო კურსის დასრულების სერთიფიკატები გადაეცათ.

როგორც შინაგანი ჯარის მთავარ სამმართველოში აცხადებენ, მათი სტრუქტურა უახლოეს ხანში ჟანდარმერიად უნდა გარდაიქმნას. საქართველოს ჟანდარმერიის ქვედანაყოფის მომზადებაში დიდ დახმარებას ქართველ კოლეგებს მეზობელი თურქეთი უწევს. პროგრამაც, რომელიც შინაგანი ჯარის ზემდეგებმა და ოფიცრებმა სასწავლო კურსის მიმდინარეობისას გაიარეს, თურქი სპეციალისტების მიერ გახლდათ შედგენილი და სწავლებასაც სწორედ ისინი უძღვებოდნენ. ეს კი, თურმე, სულაც არ ნიშნავს, რომ ქართული ჟანდარმერია მთლიანად თურქულ თარგზე აიჭრება.

შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი ბარამიძის განცხადებით, საქართველო ჟანდარმერიის ქვედანაყოფის მომზადების საკითხში იტალიის, საფრანგეთის, პორტუგალიის, თურქეთისა და სხვა ქვეყნების გამოცდილებაც იქნება გათვალისწინებული და მათგან ყველაფერ საუკეთესოს აიღებენ.

**"ჟანდარმერიის ქვედანაყოფის ჩამოყალიბების პროცესი უკვე დაწყებულია, თუმცა დასასრულამდე ჯერ კიდევ გრძელი გზაა გასავლელი",** – განაცხადა ბარამიძემ გუშინდელ ღონისძიებაზე.

ანალოგიური სასწავლო კურსი შინაგანი ჯარების 200-მე სამხედრო მოსამსახურეს უკვე გავლილი აქვს, სამომავლოდ კიდევ ერთი გამოშვების მომზადება იგეგმება.

*24 საათი*

## შეხვედრა არ შედგა

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ მონაკოდან დაბრუნებულმა ნინო ბურჯანაძემ, საარჩევნო სიებთან დაკავშირებული დაძაბულობის გამო, პრეზიდენტთან შეხვედრა გადაწყვიტა. მიხეილ სააკაშვილის ბაქოში გამგზავრებამდე ბურჯანაძეს წინასაარჩევნო ვითარების მაქსიმალურად გარკვევა სურდა. შეგახსენებთ, იმ პერიოდში, როცა საარჩევნო სიების თაობაზე სახელისუფლებო პარტიები კონსულტაციებს მართავდნენ, მიხეილ სააკაშვილი ამერიკაში იმყოფებოდა. გარდა იმისა, რომ ნინო ბურჯანაძემ მაშინ პრეზიდენტთან დაკავშირება ვერ მოახერხა, თავად პრეზიდენტმაც სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადა, რომ საარჩევნო სიის თაობაზე საკმაოდ ზოგადი, ლამის ჭორის დონის ინფორმაცია ჰქონდა. ბურჯანაძეს კი, როგორც ჩანს, მართლაც, ბევრი აქვს სააკაშვილთან სალაპარაკო, მაგრამ გუშინ ეს შეხვედრა არ შედგა. პარლამენტის თავმჯდომარის და პრეზიდენტის შეხვედრას, სავარაუდოდ, დღეს უნდა ველოდოთ.

*24 საათი*

## ოფიციოზი

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №191

*2004 წლის 1 მარტი ქ. თბილისი*

გ. ალექსიძის საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს გიორგი ალექსიძე საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის თანამდებობიდან.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №192

*2004 წლის 1 მარტი ქ. თბილისი*

ო. ქველიძის საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს ოთარ ქველიძე საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №75

*2004 წლის 2 მარტი ქ. თბილისი*

"საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის ინფორმაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ" ქ. მოსკოვში 2004 წლის 11 თებერვალს ხელმოწერილი შეთანხმების დამტკიცებისა და ძალაში შესვლის თაობაზე.

1. ძალაში შესვლის მიზნით დამტკიცდეს ქ. მოსკოვში 2004 წლის 11 თებერვალს ხელმოწერილი შეთანხმება "საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის ინფორმაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ".

2. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ (თ. ჯაფარიძე):

ა) აცნობოს საქართველოს პარლამენტს ამ ბრძანებულების პირველ პუნქტში აღნიშნული შეთანხმების ხელმოწერის შესახებ;

ბ) შეატყობინოს რუსეთის ფედერაციის მთავრობას ამ ბრძანებულების პირველ პუნქტში აღნიშნული შეთანხმების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი პროცედურის შესრულების თაობაზე.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №76

**2004 წლის 2 მარტი ქ. თბილისი**

საქართველოს სახელმწიფო ატრიბუტიკის პრობლემათა შემსწავლელი და წინადადებათა შემმუშავებელი დროებითი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ.

ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფო სიმბოლოების ახლებურად გააზრებასთან დაკავშირებით:

1. შეიქმნას საქართველოს სახელმწიფო ატრიბუტიკის პრობლემათა შემსწავლელი და წინადადებათა შემმუშავებელი დროებითი სახელმწიფო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ელდარ შენგელაია - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე

გია გეწაძე - საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

დავით მუსხელიშვილი - აკადემიკოსი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი

მალხაზ აფრიდონიძე - ჰერალდიკოსი, ისტორიკოსი

იოსებ ბიჭიკაშვილი - ჰერალდიკოსი, ისტორიკოსი, "ბაგრატიონთა სახლის" წევრი

მამუკა გონგაძე - ჰერალდიკოსი

მირიან კიკნაძე - ჰერალდიკოსი

მამუკა წურწუმია - ჰერალდიკოსი

ნინო მეიფარიანი - არქივარიუსი, კომისიის მდივანი

2. კომისიამ შეიმუშაოს და საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინოს წინადადებები ერთიანი ჰერალდიკური საქმიანობის წარმართვის შესახებ.

*მიხეილ სააკაშვილი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ასლან აბაშიძის ხელისუფლება "აღორძინების" მხარდამჭერთა ოჯახებს აჭარის მთიანი რაიონებიდან ბათუმში ასახლებს. ბათუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ცნობით, ასლან აბაშიძის გადაწყვეტილებით, ხულოს რაიონის ღორჯომის თემის 50 ოჯახი აჭარის დედაქალაქში, "თბილგვირაბმშენის" პანსიონატ "ბათუმში" ჩაასახლეს. ამავე წყაროს ინფორმაციით, აბაშიძის ოპოზიციის გააქტიურების ფონზე, მხარდაჭერის სანაცვლოდ, აჭარის ხელისუფლება მათ, მინიმალური ყოფითი პრობლემების გადაჭრის გარდა, ბინებისა და მიწის ნაკვეთების გამოყოფასაც დაჰპირდა.

უახლოეს დღეებში ბათუმში ღორჯომის თემიდან კიდევ 50 ოჯახის ჩამოსახლება იგეგმება. გაერთიანებული ოპოზიციური მოძრაობა "ჩვენი აჭარის" კოორდინატორის თამაზ დიასამიძის შეფასებით, მაღალმთიანი ღორჯომის თემიდან ამ ოჯახების ბათუმში ჩამოსახლება იმაზე მიუთითებს, რომ აჭარის ლიდერმა ასლან აბაშიძემ "ოპოზიციასთან ძალადობრივი დაპირისპირების ტაქტიკაში კორექტივები შეიტანა და რეგიონში ყველაზე რთული - ღორჯომის თემის მოსახლეობის გადაბირება-მომადლიერების გზას დაადგა".

მისივე თქმით, ასლან აბაშიძის ხელისუფლება ბათუმში "მხარდამჭერთა რესურსის ნაკლებობას განიცდის". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფოთის პორტში გუშინ მალტის დროშის ქვეშ მცურავი გემი "ვეგა-2" შევიდა, რომელმაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის 8 მლნ ევროს ღირებულების ჰუმანიტარული ტვირთი შემოიტანა. ტვირთი საქართველოსა და იტალიას შორის 1997 წელს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შემოიტანეს. იტალიაში საქართველოს კონსულის სოსო დანელიას განცხადებით, იტალიის პარლამენტში ამ ხელშეკრულების რატიფიცირების შემდეგ, დღის წესრიგში საქართველოს სამხედრო ძალების ტექნიკური დახმარებისა და ქართველი ოფიცრების მიერ იტალიის სამხედრო ძალებში კვალიფიკაციის ამაღლების საკითხები დადგება. 8 მლნ ევროს ღირებულების ტვირთის ტრანსპორტირება საქართველოს თავდაცვის ძალებს 125.000 დოლარი დაუჯდა. ფოთის მე-7 საკონტეინერო ტერმინალზე კიდევ 32 ვაგონი ტვირთის გადმოტვირთვა 2 დღეს გასტანს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფოთის მერსა და საკრებულოს შორის დაპირისპირება გრძელდება. ფოთის საკრებულოს და საზოგადოების წარმომადგენლებმა გუშინ ჟურნალისტთა სახლში ქალაქის მერის ვახტანგ ალანიას წინააღმდეგ საგანგებო პრესკონფერენცია გამართეს. მათ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას და პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს ფოთის მერის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხის დროულად განხილვა მოსთხოვეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ლეიბორისტული პარტია ხელისუფლებას, "მოსახლეობის გენოციდში" და "ერთი კორუმპირებული ჩინოვნიკის დასჯის სანაცვლოდ, ასიათასობით უუფლებო და ღარიბი ადამიანის დაზარალებაში" ადანაშაულებს. როგორც გუშინ პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე "ლეიბორისტების" ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, ბოლო დღეების განმავლობაში ხელისუფლებამ 20 ათასამდე ავტომფლობელის წინააღმდეგ "სტრატეგიული შეტევა განახორციელა, რომლის მიზანს მათი გენოციდის ზღვარზე დაყენება წარმოადგენდა". ნათელაშვილის აზრით, კორუმპირებული ჩინოვნიკების წყალობით, ავტომფლობელები თავად დაზარალდნენ და მათ ხელისუფლებამ მორალური კომპენსაცია უნდა გადაუხადოს. პარტიის ლიდერი ურჩევს პრეზიდენტ სააკაშვილს, "გაჭირვებული თანამოქალაქეების ხელახლა დაბეგრვის ნაცვლად, საკუთარი ძვირადღირებული ჯიპები, თვითმფრინავები, გემები, იახტები, უცხოური ვილები და ბიზნეს-საწარმოები დაბეგროს". წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი პროგნოზით, 20 ათასი ავტომფლობელი და მათი ოჯახის წევრები "ხელისუფლებას შემოუბრუნდებიან". **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ოპოზიციონერთა გასაჭირი, რომელსაც მალავენ

პირველი გვერდიდან

ეს საკმაოდ მარტივი და პრაგმატული გათვლაა. შეუძლებელია, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს არ ესმოდეთ, რომ დღესდღეობით პარლამენტის მიღმა დარჩენა ან, უკეთეს შემთხვევაში, საკანონმდებლო ორგანოში 12 კაცით შესვლა მათვე გაუჩენს სერიოზულ პრობლემებს, რადგან უდავოა, რომ საქართველოში ახალი რეალობა დადგა და თითოეულმა პარტიამ საკუთარი ადგილი პოლიტიკურ სივრცეში თავიდან უნდა დაიკავოს. ამის მიუხედავად, ოპოზიცია საკმაოდ უცნაურად იქცევა და ამ ადგილის მოსაპოვებლად არ იბრძვის.

**"ჩვენ შვიდპროცენტიანი ბარიერის დაძლევის საშუალება გვაქვს. მეტიც – მიგვაჩნია, რომ ჩვენ ხმათა 12 – 14 პროცენტსაც მოვაგროვებთ. მთავარია, რამდენად სწორად დათვლიან ხმებს საარჩევნო კომისიებში. ჩვენ რეალურად გვყავს სტაბილური ელექტორატი,"** – ეს საარჩევნო ბლოკ "ედპ-ტრადიციონალისტთა" ლიდერი აკაკი ასათიანია.

სანამ სხვა პარტიების კომენტარებზე გადავიდოდეთ, "ტრადიციონალისტთა" და "ეროვნულ-დემოკრატთა" ის შედეგები ვნახოთ, რომელიც მათ თუნდაც ბოლო სამ არჩევნებზე აჩვენეს.

1999 წლის საპარლამენტო არჩევნები: "ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" – ხმათა 4.45 პროცენტი. "ტრადიციონალისტების" ნადავლი უცნობია, რადგან მაშინ აკაკი ასათიანი ასლან აბაშიძის "აღორძინების" ფრთის ქვეშ იმყოფებოდა და პარლამენტში სწორედ ბლოკის წყალობით მოხვდა. 2002 წლის ადგილობრივი არჩევნები (ამ დროს პროპორციული არჩევნები მხოლოდ თბილისში გაიმართა): "ედპ" - 1.65 პროცენტი, ბლოკი "სახალხო პარტია" – "ტრადიციონალისტები" – 1, 96 პროცენტი.

2003 წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში კი არც ერთ პარტიას დამოუკიდებლად მონაწილეობა არ მიუღია. "ედპე" "მოქალაქეთა კავშირს" შეერწყა, "ტრადიციონალისტები" "დემოკრატებს" დაუმეგობრდნენ. თუმცა, თუკი იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ 2 ნოემბერს აწ უკვე ყოფილმა სახელისუფლებო ბლოკმა, ყველა მის ხელთ არსებული რესურსებისა და გაყალბების მექანიზმების ამუშავებით, მხოლოდ 21,32, ხოლო ბურჯანაძე-დემოკრატებმა – 8,79 პროცენტი მოიპოვეს, შეიძლება თამამად ვივარაუდოთ, რომ ამ ორმა პარტიამ საკუთარ საარჩევნო ბლოკებს ბევრი ვერაფერი შესძინა, განსაკუთრებით - "ტრადიციონალისტებმა", რადგან ეს რვა პროცენტი ბლოკმა, ძირითადად, ნინო ბურჯანაძის მაღალი რეიტინგის წყალობით მიიღო.

რაც შეეხება ბლოკ "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს - ახალ მემარჯვენეებს": ბლოკის ერთ-ერთი ლიდერის დავით საგანელიძის თქმით, ისინი უპრობლემოდ დაძლევენ ბარიერს. მეტიც, ამომრჩეველთა 12-15 პროცენტის გულის მოგებასაც შეეცდებიან. **"საქმე ის არის, რომ საქართველოში სამი მილიონ ორასი ათასი ამომრჩეველია. საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა მილიონ 600 ათასმა მიიღო. მათ გარდა, ქვეყანაში კიდევ მილიონ-ნახევარი ამომრჩეველი არსებობს. მათი ნაწილი საერთოდ არ დადის არჩევნებზე და პოლიტიკურად ინდიფერენტულია, დანარჩენი კი ის ამომრჩეველია, რომელიც 4 იანვარს უბნებზე იმიტომ არ მივიდა, რომ სააკაშვილისთვის არ უნდოდა ხმის მიცემა, ხოლო სხვა მისაღები კანდიდატურა არ არსებობდა. სწორედ ეს ამომრჩეველია ჩვენი რესურსი. თანაც, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამომრჩეველთა გარკვეული ნაწილი დღევანდელი ხელისუფლებით უკვე უმაყოფილოა. ამასთან ერთად, ჩვენი რეიტინგი ისედაც მაღალი იყო. 2002 წლის ადგილობრივ არჩევნებში, საქართველოს მასშტაბით, "ახლებმა" და "მრეწველებმა" პირველი და მეორე ადგილები გაიყვეს. 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში ჩვენ ბარიერი გადავლახეთ, ხოლო "მრეწველები" თითქმის მიუახლოვდნენ მას. ასე რომ, ელექტორატიც გვყავს და რესურსიც. ოპოზიციური ნიშა თავისუფალია და მის დაკავებას აუცილებლად შევეცდებით,"** – ამბობს დავით საგანელიძე.

პრინციპში, "ახლები" და "მრეწველები" მართლაც სარგებლობდნენ მაღალი რეიტინგებით, მაგრამ "მრეწველებს" ელექტორატი ჯერ კიდევ 2 ნოემბრის არჩევნების წინ შემოეფანტა, ხოლო "ახლების" რეიტინგი გვარიანად დაბლა დასცა 22-მა ნოემბერმა, როდესაც პარლამენტის სხდომის დაწყება სწორედ "ახლების" პარლამენტში მისვლამ განაპირობა. ამ ნაბიჯით "ახლებმა" საკუთარ ოპოზიციურ იმიჯს, ფაქტობრივად, ხაზი გადაუსვეს.

"სოციალისტური პარტია" ერთადერთი იყო, რომელიც ერთიანი ოპოზიციური საარჩევნო ბლოკისათვის ბოლო წუთამდე იბრძოდა, მაგრამ უშედეგოდ. აქედან გამომდინარე, "სოციალისტების" განცხადებით, ბარიერის დაწევისთვის ბრძოლა დღეს უკვე დაგვიანებულია. **"თანაც, მე, როგორც იურისტი, წინააღმდეგი ვარ საკონსტიტუციო ცვლილება კონსტიტუციის დარღვევით, ანუ ერთთვიანი საჯარო განხილვის გარეშე მივიღოთ. ჩვენთვის ამჯერად გამარჯვების ზღვარი შვიდპროცენტიანი ბარიერის დაძლევაზე გადის. და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ამას მივაღწიოთ. რესურსი ნამდვილად არის,"** – ეს "სოციალისტების" ერთ-ერთი ლიდერი ზაქარია ქუცნაშვილია.

1998 წლის შემდეგ "სოციალისტებმა" დამოუკიდებლად მხოლოდ 2002 წლის ადგილობრივ არჩევნებში მიიღეს მონაწილეობა და თბილისში ხმათა 2.94 პროცენტი მოიპოვეს. 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში ისინი "აღორძინების" ბლოკში, ხოლო 2003 წლის არჩევნებში – "მოქალაქეთა კავშირთან" ერთად გამოდიოდნენ.

რაც შეეხება "ლეიბორისტებს", მათი პროგნოზი გაცილებით ოპტიმისტურია – მინიმუმ, 20 პროცენტი. ამიტომაც, პარტიის ლიდერების თქმით, მათ არც კი სჭირდებათ ბარიერის დასაწევად ბრძოლა, რადგან ნამდვილი ოპოზიციონერები სწორედ ისინი არიან და **"მოსახლეობამ უკვე კარგად დაინახა, რომ სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძის სამეული მხოლოდ შევარდნაძის ხელდასხმულებია."** მოკლედ, განცხადებები "ლეიბორისტებისთვის" ჩვეულ ტონში კეთდება.

რაც შეეხება რეალურ ვითარებას, "ლეიბორისტები" ნებისმიერი დონის არჩევნებზე ყოველთვის დამოუკიდებლად გამოდიოდნენ და საკუთარი სტაბილური ამომრჩეველი ჰყავდათ. ასე მაგალითად, 1999 წლის არჩევნებზე, ოფიციალური მონაცემებით, მათ საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახეს, მაგრამ არაოფიციალურად ყველამ იცოდა, რომ ხმათა რვა პროცენტზე მეტი ჰქონდათ მიღებული. 2002 წლის ადგილობრივ არჩევნებში მათ თბილისში 25 პროცენტზე მეტი მოიპოვეს, თუმცა რეგიონებში გაცილებით მოკრძალებული შედეგები აჩვენეს. ბოლო, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში ხმათა 18 პროცენტზე მეტი მოიპოვეს. თუმცა, "ლეიბორისტების" რეიტინგი სწორედ 22 ნოემბრის მოვლენების შემდეგ დაეცა, როცა ისინი ქუჩაში გამოსული საკუთარი ამომრჩევლის გვერდით არ დადგნენ. დღეს არსებული ინფორმაციის თანახმად, მათ მოსახლეობის მხოლოდ 4-5 პროცენტი თუ უჭერს მხარს.

ერთი სიტყვით, ვითარება ოპოზიციური პარტიებისთვის არცთუ სახარბიელოა. ამის მიუხედავად, ისინი მაინც გამარჯვებაზე საუბრობენ. ასე რომ, არ არის გამორიცხული, შვიდპროცენტიანი ბარიერის დაწევა მათთვის სახარბიელო სულაც არ იყოს, რადგან არ არის გამორიცხული, ამ პარტიათა უმრავლესობამ ვერც ხუთპროცენტიანი ბარიერი დაძლიოს.


აკაკი ასათიანი


დავით საგანელიძე


ზაქარია ქუცნაშვილი

# ერაყი - აფეთქებები და სტრესები

პირველი გვერდიდან

ეროვნული გვარდიის სამხედრო ასეულის მედდას მაია ჟორჟოლიანს ერაყი აფეთქებებით და სტრესული სიტუაციებით დაამახსოვრდა. იგი ჯარისკაცების გარდა, ხშირად ეხმარებოდა ადგილობრივ მოსახლეობას.

მშვიდობისმყოფელთა განმარტებით, ერაყელთა დამოკიდებულება უცხოელებისადმი არც ისე სახარბიელო იყო, თუმცა მათ თვალში განსაკუთრებული სიმპათიებით სარგებლობდნენ ქართველები, რომელთაც ერაყელები, თურმე, **"წვერით, სახის ნაკვთებით და საუბრის მანერებით გამოარჩევდნენ."**

ვიცე-პოლკოვნიკ ბესიკ კაზალიკაშვილის თქმით, ქართველ მშვიდობისმყოფელებს არანაირი სახელფასო დავალიანება არ გააჩნიათ. რაც შეეხება სამ დაზარალებულ ოფიცერს, როგორც "24 საათთან" მათი საუბრისას გაირკვა, ისინი კარგად არ იცნობენ ხელშეკრულების პირობებს, თავიანთ უფლებებს. **"მგონი, უნდა მივიღოთ რაღაც დახმარება, ზუსტად ვერ გეტყვით,"** - ასეთი იყო ჯარისკაცების პასუხი.

**"როცა ქვედანაყოფი სამხედრო მისიის შემდეგ სამშობლოში უდანაკლისოდ ბრუნდება, იმის დასტურია, რომ იგი კარგად არის გაწვრთნილი,"** - განაცხადა გუშინ შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსმა გენერალმა გივი იუკურიძემ. ქართველი სამშვიდობოების დახვედრის საზეიმო ცერემონიალს ასევე ესწრებოდნენ უშიშროების საბჭოს მდივანი ვანო მერაბიშვილი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე პაატა გაფრინდაშვილი. ამ უკანასკნელმა ერაყიდან დაბრუნებული ქართველი სამხედროები დააიმედა, რომ ხელისუფლება მათი წარმატებული მომავლისათვის ყველაფერს გააკეთებს. აქ ურიგო არ იქნება, აღვნიშნოთ, რომ ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით, ქართველი სამშვიდობოების რისკის მატერიალური ანაზღაურება თანაბარია როგორც კოსოვოში, სადაც სიტუაცია სტაბილურია, ასევე ერაყში, სადაც ასიმეტრიული ოპერაციის ფარგლებში ომი კვლავ მიმდინარეობს. თავდაცვის უწყების ასეთი მოუქნელობა, რასაკვირველია, დასტურია იმისა, რამდენად ზრუნავს ჩვენი სახელმწიფო თავის ჯარისკაცზე.


მამა ომიდან დაბრუნდა.

ნეკროლოგი

# აკადემიკოსი კონსტანტინე წერეთელი

ქართულმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა - გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი - აღმოსავლეთმცოდნე და საზოგადო მოღვაწე, ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე, აკადემიკოსი კონსტანტინე წერეთელი. აკადემიკოსი კონსტანტინე წერეთელი ეკუთვნოდა ქართველ მეცნიერთა იმ ბრწყინვალე პლეადას, რომელთა ღვაწლმაც განსაზღვრა ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების თანამედროვე დონე.

ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე კონსტანტინე წერეთელი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე თავდადებულად და უანგაროდ ემსახურებოდა მეცნიერებას. მისმა შრომებმა ფართოდ გაუთქვეს სახელი სემიტოლოგიის ქართულ სკოლას, რომელსაც საფუძველი აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა ჩაუყარა. სასიქადულო მეცნიერის ღირსეული მოწაფე ათეული წლების მანძილზე ნაყოფიერად მოღვაწეობდა და მაგალითის მიმცემი იყო მეცნიერთა ახალი თაობებისათვის.

კონსტანტინე წერეთელი დაიბადა 1921 წლის 4 თებერვალს თბილისში მასწავლებლის ოჯახში. 1937 წელს, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, იგი შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელსაც წარჩინებით ამთავრებს 1941 წლის ნოემბერში კავკასიურ-აღმოსავლურ ენათა განხრით. იმავე წელს იგი ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში სპეციალობით "სემიტოლოგია (ებრაულ-არამეული ფილოლოგია)". 1945 წლიდან კ. წერეთელი იწყებს მუშაობას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის (მოგვიანებით - ენათმეცნიერების) ინსტიტუტის ახლო აღმოსავლეთის ენათა განყოფილებაში, რომელსაც აკადემიკოსი გიორგი წერეთელი ხელმძღვანელობდა. 1946 წელს კონსტანტინე წერეთელი იცავს დისერტაციას მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დაარსების დღიდან (1960 წ.) იგი ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის სემიტოლოგიის განყოფილებას.

1991 წელს კონსტანტინე წერეთლის ინიციატივით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იქმნება ებრაულ-არამეული ფილოლოგიის კათედრა, რომელსაც ამ დროიდან მოყოლებული იგი ედგა სათავეში. ამასთანავე, მისი ძალისხმევით, ფაკულტეტზე ცალკე გამოიყო ებრაულ-არამეული ფილოლოგიის სპეციალობა...

1974 წელს კ. წერეთელი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1988 წელს - ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად). 1993 წელს კ. წერეთელი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრად.

1994 წელს საქართველოს განათლების სამინისტროსთან იქმნება აღმოსავლურ ენათა სწავლების კოორდინაციის ცენტრი, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა აკადემიკოსი კონსტანტინე წერეთელი. აკადემიკოს კ. წერეთლის ინიციატივითა და ძალისხმევით შემოღებულ იქნა აღმოსავლური ენების სწავლება საქართველოს არაერთ საშუალო სკოლაში.

განუზომლად ფართო და მრავალმხრივია აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის სამეცნიერო ინტერესების სფერო და მდიდარი მისი მეცნიერული მემკვიდრეობა. კ. წერეთლის, როგორც ფართო დიაპაზონის სემიტოლოგის, კვლევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საგანს წარმოადგენდა ძველი ებრაული ენა და საზოგადოდ ებრაისტიკული პრობლემატიკა.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ აკადემიკოს კ. წერეთლის შრომებმა არამეულ დიალექტოლოგიაში საფუძველი ჩაუყარა ამ სამეცნიერო დარგის პრობლემათა ფართო კვლევას და ბიძგი მისცა მსოფლიო ორიენტალისტიკაში მის ინტენსიურ განვითარებას. დღეს ცოცხალი არამეული დიალექტოლოგიის კვლევის თვალსაზრისით, საინტერესო მუშაობა მიდის გერმანიასა და იტალიაში, აშშ-სა და ისრაელში, იაპონიასა და ინგლისში. აკადემიკოსი კ. წერეთელი სამართლიანად ითვლება არამეული დიალექტოლოგიის მამამთავრად.

კ. წერეთლის სამეცნიერო შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ქართულ-აღმოსავლურ ენობრივ და კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობებს. აქ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ქართულ-არამეული და ქართულ-ებრაული ურთიერთობანი, რომლებიც სათავეს წინაქრისტიანულ ხანაში იღებენ. ამდენად, მათ შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართველი ხალხისა და მისი კულტურის ისტორიის კვლევისთვის.

უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე კონსტანტინე წერეთლის კვლევის ძირითადი ობიექტი იყო ებრაულ-არამეული ეპიგრაფიკა. განუზომელია ამ დარგის მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის.

ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის აკადემიკოსი კ. წერეთელი 1981 წელს დაჯილდოვდა "საპატიო ნიშნის" ორდენით, ხოლო 1996 "ღირსების ორდენით".

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია კ. წერეთლის პედაგოგიური მოღვაწეობა, რომელიც 1944 წელს დაიწყო და ბოლო დღემდე გრძელდებოდა. სხვადასხვა დროს იგი კითხულობდა კურსებს არაბულში, ებრაულში, არამეულში, სემიტურ ენათა შესწავლის შესავალსა და შედარებით გრამატიკაში.

კ. წერეთელი ქართველ სემიტოლოგთა მთელი თაობის აღმზრდელია. მან მრავალ სემიტოლოგს დაულოცა გზა სამეცნიერო მოღვაწეობისათვის, მათ შორის უცხოელებსაც, რომლებიც ასპირანტურას მისი ხელმძღვანელობით გადიოდნენ. როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ, წარმატებით მოღვაწეობენ აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის მიერ მომზადებული სპეციალისტები.

1979 წელს აკადემიკოს კ. წერეთელს მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია, 1988 წელს - აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახელობის პრემია, ხოლო 1998 წელს ნაშრომთა ციკლისათვის "საქართველოს არამეული წარწერები", მას მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

კ. წერეთელს, ზემოაღნიშნული პრემიების გარდა, ცალკეულ სამეცნიერო შრომებში მიღებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამი პირველი ხარისხის პრემია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის იგი დაჯილდოვდა ივანე ჯავახიშვილის მედლით, ხოლო ებრაისტიკაში გაწეული ღვაწლისათვის მას გადაეცა ისრაელის მეცნიერებათა აკადემიის ჯილდო - ალბერტ აინშტაინის მედალი.

აკადემიკოსი კ. წერეთელი არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების წევრი იყო. იგი არჩეული იყო გერმანიის ორიენტალისტთა საზოგადოების (1971 წ.), გერმანიის აღმოსავლეთის შემსწავლელი საერთაშორისო საზოგადოების (1971 წ.), ხმელთაშუა ზღვის აუზის ცივილიზაციათა შემსწავლელი საერთაშორისო ასოციაციის (1975 წ.) წევრად და იწვევენ საზღვარგარეთის უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში ლექციებისა და მოხსენებების წასაკითხად (გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, ფინეთი, პოლონეთი, რუსეთი, ერაყი, ირანი), ასევე საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესებსა დაკონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად (ინგლისი, ავსტრალია, გერმანია, ფინეთი, ისრაელი, იაპონია). 1995 წელს იტალიაში გამოვიდა კ. წერეთლისადმი მიძღვნილი კრებული, რომელსაც ლათინური სახელწოდების ქვემოთ ქართულად აწერია "სემიტოლოგიური ძიებანი კონსტანტინე წერეთლის პატივსაცემად".

თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობით აკადემიკოსმა კონსტანტინე წერეთელმა თვალსაჩინო როლი ითამაშა ქართული და მსოფლიო ორიენტალისტიკის განვითარებაში. დიდი მეცნიერი და პედაგოგი, გულმხურვალე მამულიშვილი, დახვეწილი ინტელიგენტი - ასეთად დარჩება აკადემიკოსი კონსტანტინე წერეთელი ჩვენს მეხსიერებაში.

**მიხეილ სააკაშვილი, ნინო ბურჯანაძე, ზურაბ ჟვანია, ნოდარ ამაღლობელი, მზია ანდრონიკაშვილი, ანდრია აფაქიძე, ჯემალ აჯიაშვილი, გურამ ბათიაშვილი, გია ბერაძე, გია ბუღაძე, ერეკლე გამყრელიძე, თამაზ გამყრელიძე, გურამ გველესიანი, გრიგოლ გიორგაძე, ჯემშიდ გიუნაშვილი, რისმაგ გორდეზიანი, მალხაზ ზაალიშვილი, ალბერტ თავხელიძე, გურამ თევზაძე, მაგალი თოდუა, ანა კალანდაძე, ელიდა კვანტალიანი, ოთარ კვესიტაძე, ზურაბ კიკნაძე, ნიკო ლეკიშვილი, ქეთევან ლომთათიძე, ჯუმბერ ლომინაძე, მარიამ ლორთქიფანიძე, პეტრე მამრაძე, პარმენ მარგველაშვილი, როინ მეტრეველი, ოთარ ნათიშვილი, თენგიზ ონიანი, მინდია სალუქვაძე, გივი სანაძე, ვახტანგ სართანია, ავთანდილ სილაგაძე, ივერი ფრანგიშვილი, ნანა ფურცელაძე, თინათინ ყაუხჩიშვილი, მზექალა შანიძე, გურამ შარაძე, გურამ ჩიქოვანი, რამაზ ხეცურიანი, გიორგი ციციშვილი, ზურაბ წერეთელი, გიორგი ხარაძე, ანზორ ხელაშვილი, თეიმურაზ ხუროძე, რამაზ ხუროძე.**

## აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის ოჯახს

ქალბატონო ლეილა,

დიდი მწუხარებით შევიტყვე ბატონი კოტეს გარდაცვალების ამბავი. კიდევ ერთი შესანიშნავი მამულიშვილი და ღირსეული მოქალაქე დაკარგა საქართველომ.

მისი გარდაცვალება დიდი და აუნაზღაურებელი დანაკლისია ქართული მეცნიერებისა და კულტურისათვის.

ვიზიარებ თქვენს მწუხარებას. ამ მძიმე წუთებში თქვენს გვერდით მიგულეთ.

*მიხეილ სააკაშვილი*

## აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის დამკრძალავი კომისიისაგან

გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 2 და 3 მარტს 16 საათზე.

მისამართი: დ. უზნაძის ქ. № 2, I სადარბაზო, II სართული, ბინა 46

გამოსვენება აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შენობიდან ხუთშაბათს 4 მარტს 15 საათზე, პანაშვიდი 13 საათზე.

მისამართი: გ. წერეთლის ქ. № 3

# "მცირე ლიცენზიანტები" ხელისუფლების ყურადღების ცენტრში

პირველი გვერდიდან

გსეკ-ის გენერალურ დირექტორს დინ უაითს ენერგოსადისტრიბუციო სექტორში კორუფციის აღმოფხვრის გზად სწორედ "მცირე ლიცენზიანტების" გაუქმება ესახება.

მათ მიერ შექმნილი პრობლემების გამო ენერგოსადისტრიბუციო გიგანტი უკვე დიდი ხანია, ჩივის. როგორც დინ უაითი აცხადებს, ეს კომპანიები კორუფციული მექანიზმებით მუშაობენ, ხშირ შემთხვევებში არღვევენ ლიცენზიის პირობებს და მომხმარებელს ელექტროენერგიას ორჯერ უფრო ძვირად აწვდიან, ვიდრე გსეკ-ი. ამასთან, მათთან ფასიანია ხაზის გაყვანაც და საშუალოდ 100 დოლარი ღირს. დინ უაითის თქმით, ქუთაისში მოქმედი "მცირე ლიცენზიანტები" ენერგოსექტორს ნახევარი მილიონი ლარით აზარალებენ. ეს ზარალი იმითაა გამოწვეული, რომ მცირე კომპანიები თავის მიერ მოხმარებულ დენს გსეკ-ს აწერენ, მის საფასურს კი თავად კრეფენ. ბუნებრივია, ამისათვის მათ "სახელმწიფო ელექტროსისტემის" ქვესადგურებისა და გსეკ-ის ადგილობრივი ფილიალების ხელმძღვანელებთან კორუფციული გარიგებები სჭირდებათ. "ჩვენი კომპანიის ტარიფი 7,6 თეთრია, მათთან კი მომხმარებელი 14 თეთრს იხდის. ქუთაისის ფილიალის ყოფილი თანამშრომლები შეკრულები იყვნენ "მცირე ლიცენზიანტებთან", ხელოვნურად თიშავდნენ გსეკ-ის მომხმარებელს და ხალხი იძულებული ხდებოდა, "კომერციული დენი" გაეყვანა," – განაცხადა გუშინ უაითმა. მოკლედ, სწორედ ესაა ის კორუფციული ნიშა, რომლის ამოქოლვასაც გსეკ-ის ხელმძღვანელობა დიდი ხანია, მთავრობას სთხოვს.

თუმცა, უკვე ლიცენზირებული კომპანიებისთვის საქმიანობის აკრძალვა იოლი არ არის, ამიტომ გსეკ-ის მენეჯერები მათ მოლაპარაკების მაგიდასთან ეპატიჟებიან და გამოსავლის "ერთობლივად პოვნას" სთავაზობენ. **"ძირითადად, მცირე ლიცენზიანტები საკუთარი აქტივების გარეშე, ჩვენი კომპანიის აქტივების ხარჯზე მუშაობენ, მაგრამ თუ აღმოჩნდა ისეთი მცირე ლიცენზიანტი, რომელსაც გააჩნია საკუთარი ქონება, მზად ვართ, ეს ქონება ან შევიძინოთ, ან იჯარით ავიღოთ, ან ბიზნესის კომპენსაცია მივცეთ,"** – აღნიშნა უაითმა.


*დინ უაითი "მცირე ლიცენზიანტების" პრობლემას სემეკ-ის ხელით მოაგვარებს.*

სემეკ-მა მცირე ლიცენზიანტების საკითხი 10 მარტის სხდომაზე უნდა განიხილოს. როგორც სემეკ-ის წევრი პაატა ცინცაძე აცხადებს, **"დიდი ხანია, რაც ეს საკითხი დგას. ამ საკითხის დეტალური შესწავლა ჯერ კიდევ 2002 წელს დავიწყეთ, სალიცენზიო პირობები გავამკაცრეთ და მას შემდეგ მცირე კომპანიებისათვის 2002 წლის შემდეგ ლიცენზია არც მიგვიცია."**

სავარაუდოდ, კომისია "მცირე ლიცენზიანტების" საკითხს გსეკ-ის სასარგებლოდ გადაწყვეტს. სხვა თუ არაფერი, დღეს ეს საკითხი სახელმწიფო ენერგოსტრატეგიის რანგშია აყვანილი. წინასწარი ინფორმაციით, "მცირე ლიცენზიანტებს" 1 მაისამდე გსეკ-თან სადავო საკითხების განხილვა და მოგვარება დაევალებათ. ცინცაძის განმარტებით, გსეკ-ის მიერ შემოთავაზებული ვარიანტი კომისიისთვის მისაღებია, რადგან ამ ვარიანტით გათვალისწინებულია, რომ **"გსეკ-სა და "მცირე ლიცენზიანტებს" შორის მოლაპარაკება შედგეს, სადაც ორივე მხარეს საშუალება ექნება, ურთიერთხელსაყრელ პირობებზე შეთანხმდეს. მათ გსეკი მოგების სანაცვლო კომპენსაციას ჰპირდება."**

ჩანს, სწორედ ამ კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრის წესი იქნება ის მთავარი თემა, რომლის განხილვაც "მცირე ლიცენზიანტებს" გსეკ-ის მენეჯერებთან ერთად მოუწევთ.

ერთი სიტყვით, "მცირე ლიცენზიანტებს", რომელთა რიცხვიც მთელი საქართველოს მასშტაბით 26-ია, ხოლო გსეკ-ის მოქმედების არეალში 19 მოქმედებს, არჩევანი არ რჩებათ: სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, მათ საკუთარ ბიზნესზე უარი უნდა თქვან და იმ კომპენსაციით დაკმაყოფილდნენ, რომელსაც გსეკი მათი ქსელებით სარგებლობისათვის გადაიხდის.

# საბჭოთა კავშირის დროინდელი ანაბრები - პოლიტიკური სპეკულაციის საგანი

თამარ ხორბალაძე

ახალგამომცხვარ, დამოუკიდებელ სახელმწიფოებს საბჭოთა კავშირისგან მემკვიდრეობად, სხვა ბევრ პრობლემასთან ერთად, სსრკ-ს შემნახველ სალაროებზე რიცხული მოსახლეობის დანაზოგებიც დარჩა. საქართველოს ხელისუფლებამ მეზობელი ქვეყნების მთავრობებს "ხალხზე ზრუნვაში" ამჯერადაც "აჯობა" და, ედუარდ შევარდნაძის უშუალო მოწოდებით, საქართველოს მოსახლეობას ის ფულიც წაართვა, რაც ხელზე ჰქონდა, ანაბრებზე დაგროვილი თანხების გაორმაგებას შეჰპირდა და თანხები სალაროში შეატანინა. ამ მომენტიდან სალაროებიდან ფულის გამოტანა, ანუ გაცოცხლება მხოლოდ ერთეულების ხვედრი იყო. აღარაფერს ვიტყვით მანეთებში გატანილ და კუპონებით ანაზღაურებულ კრედიტებზე, რითიც აქვს დაგროვებული დღევანდელი უწარმატებულესი ბიზნესმენების გარკვეულ ნაწილს ძირითადი კაპიტალი.

დღეს ძალიან ბევრი შეიძლება ვისაუბროთ იმ უსამართლობასა და დანაშაულებრივ ქმედებებზე, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისის დროინდელმა ხელისუფლებამ (იგივე შევარდნაძის ხელისუფლებამ) ამ მიმართულებით განახორციელა, თუმცა ეს ცალკე საუბრისა და ცალკე ჟურნალისტური გამოძიების საგანია.

სხვა საქმეა, რომ ძარცვა მოხდა, მოხდა ჰიპერინფლაციაც და, რამდენად არაპოპულარულადაც არ უნდა ჟღერდეს ეს დღეს, საქართველოს მოსახლეობამ ამ თანხების უკან დაბრუნების შანსი, ალბათ, საბოლოოდ დაკარგა.

თუმცა ფაქტია, რომ აღნიშნული საკითხი, იქედან გამომდინარე, რომ იგი დღეს საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ეხება, მათ შორის - განსაკუთრებით გალატაკებულ ფენებს, კვლავ რჩება პოლიტიკოსთა პოპულისტური განცხადებებისა და გაჭირვებული ადამიანების სოციალურ ინტერესებზე თამაშის საგნად და ეს ბოლო დღეებმა განსაკუთრებული სიმწვავით დაადასტურა:

ჯერ იყო და, ორიოდე დღის წინ ავთანდილ მარგიანმა "გასცა" ანაბრების დაბრუნების დაპირება 20 პროცენტის "დატოვების" სანაცვლოდ; უკვე გუშინ კი საკონსტიტუციო სასამართლოში სწორედ ამ თემაზე გაიმართა "ლეიბორისტთა" მორიგი პროცესი.

მეანაბრეები სარჩელით მოითხოვენ შემნახველი სალაროების ანაბრის წიგნაკებში რიცხული თანხის ანაზღაურებას და ამ პრობლემის მოგვარებას უკვე მეხუთე წელია ცდილობენ. მათ უფლებებს სასამართლოში "საქართველოს ლეიბორისტული პარტიის" წარმომადგენელი ჯონდი ბაღათურია იცავს.

სასარჩელო მოთხოვნით უნდა გაუქმდეს ექსპრეზიდენტ შევარდნაძის მიერ გაცემული ბრძანებულებები, რომელთა საფუძველზე ინფლაციის გზით მანეთის კურსი დაეცა. მოსარჩელეები თანხის ანაზღაურებას 1 მანეთზე 1 აშშ დოლარზე მეტი ოდენობით მოითხოვენ, ანუ 10 ათასი მანეთის დასაბრუნებლად დაახლოებით 13.000 აშშ დოლარი უნდა გაიცეს.

რა თქმა უნდა, აბსოლუტურად გასაგები შეიძლება იყოს გაძარცვული მეანაბრეების სურვილი, დაიბრუნონ დაკარგული ქონება, თუმცა აბსოლუტურად გაუგებარია იმ პოლიტიკოსთა აქტივობა ამ მიმართულებით, ვისაც მშვენივრად მოეხსენება, რომ ზემოთ აღნიშნული მოთხოვნა საქართველოს სახელმწიფოს შესაძლებლობებს აშკარად სცდება.

1991 წლის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის ანაბრების მოცულობა 19 მილიარდ 186 მილიონი მანეთი იყო, ანუ ეს ნიშნავს, რომ იმ სარჩელით, რომელიც დღეს საკონსტიტუციო სასამართლოშია შეტანილი, მოსარჩელე მხარე 20-ზე მეტ მილიარდ დოლარს ითხოვს.

თუ აქვე იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დღემდე საქართველოს ბიუჯეტში წლიურად 1,3 მილიარდ ლარზე მეტი, ანუ - 600 000 დოლარი შედის, ცხადი ხდება, რომ სხვა ეკონომიკურ ფაქტორებს და არგუმენტებსაც რომ თავი დავანებოთ, სურვილის შემთხვევაშიც კი სახელმწიფოს მსგავსი ფუფუნების საშუალება არა აქვს.

რაც შეეხება ამ საკითხთან დაკავშირებით ახალი ხელისუფლების დამოკიდებულებას - ამ მიმართულებით, ჯერჯერობით, სრული გაურკვევლობაა. დღეს ხელისუფლებაში მოსულ პოლიტიკურ ძალებს ანაბრების თემა, სხვა პოპულისტური თემებისგან განსხვავებით, წინასაარჩევნოდაც არ "დაუპიარებიათ". ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი, ცხადია, ამ თემის წამოწევა სულაც არ შედის მის ინტერესებში, მით უმეტეს მაშინ, როცა ამ ანაბრების გასტუმრების მცდელობა კრახით ერთხელ უკვე დამთავრდა:

ეს მცდელობა (ისევე, როგორც ბევრი სხვა ხმაურიანი ინიციატივა) მიხეილ ჭკუასელის მმართველობის პერიოდზე მოდის, საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 დეკემბრის ბრძანებულებით, მოსახლეობის ანაბრების ანაზღაურების მექანიზმად დამტკიცდა შემდეგი კოეფიციენტები:

1992 წლამდე შემნახველ სალაროში შეტანილ პირველ 1000 მანეთზე - 100 ლარი, ყველა შემდგომ 1000 მანეთზე კი 10 ლარი.

ასეთი ინდექსაციით მოსახლეობის ანაბრების საერთო რაოდენობამ დაახლოებით 40 მილიონი ლარი შეადგინა, რაც, ერთი მხრივ, რთული "მოსანელებელი" იყო იმავე ჭკუასელისა და შემდგომი პერიოდის "გარღვეული" ბიუჯეტებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ - აბსოლუტურად მიუღებელი იყო ადამიანებისთვის, რომელთაც კომუნისტურ პერიოდში დაგროვებული 10 000 მანეთის სანაცვლოდ სახელმწიფო სულ რაღაც 190 ლარს სთავაზობდა.

მიუხედავად ამისა, ინდექსაციის ამ ვარიანტმა გარკვეული პერიოდის მანძილზე მაინც იმოქმედა და საზოგადოების განსაკუთრებულად შეჭირვებულმა ნაწილმა - პირველი ჯგუფის ინვალიდებმა და ბავშვებმა - თავისი ანაბრების ანგარიშში დაახლოებით 5,6 მილიონი ლარი მიიღეს.

2001 წლის 2 ივნისიდან ზემოთ აღნიშნული ინდექსაციის წესი გაუქმებულია ისევ პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე. ახალი წესი შექმნილი არ არის და, როგორც ჩანს, უახლოეს პერიოდში არც იქნება - 2004 წლის ბიუჯეტში მსგავსი მიზნებისთვის ხარჯი არ არის გათვალისწინებული.

თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ შიდა ვალის დაფარვა ამ ბიუჯეტით არ მოხდება - ამჯერად "შიდა ვალში" პრიორიტეტულია გასულ წელსა და შემდგომ წლებში დაგროვებული საპენსიო და სახელფასო დავალიანებები. სხვათა შორის, გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, რომ ხელისუფლება 2004 წლის პირველ კვარტალში 28 მილიონი ლარის ძველი დავალიანების გასტუმრებას გეგმავს.

სხვათა შორის, სსრკ-ს დროინდელი ანაბრების თემა აქტუალური მხოლოდ საქართველოში არ არის. გუშინ ეს საკითხი სომხეთის პარლამენტმაც განიხილა, სადაც მიიღეს გადაწყვეტილება, რომ თითოეულ 1000 მანეთზე მოქალაქეებს 35 დოლარს მისცემენ, რაც "ქართულ ვარიანტზე" ნაკლებია, თუმცა, მეორე მხრივ, სომხეთში არ აპირებენ ანაბარზე შეტანილი თანხის "დიფერენცირებას", ანუ ამ 35 დოლარს მეანაბრე ყოველ 1000 მანეთზე აიღებს, მიუხედავად ანაბარზე რიცხული თანხის ოდენობისა. ამისათვის სომხეთს 83 მილიონ დოლარზე მეტი დასჭირდება.

## მოკლედ

**თბილისი.** კომპანია "ფილიპ მორისი უკრაინა" კმაყოფილია "ომეგა" ჯგუფთან მყარი საქმიანი ურთიერთობებით. "ფილიპ მორისი უკრაინის" კიევის ფილიალის განცხადების თანახმად, "ომეგა" ჯგუფმა მათთან ურთიერთობაში დაამტკიცა, რომ მათი საიმედო საქმიანი პარტნიორია. "ფილიპ მორისს" გაფორმებული აქვს სალიცენზიო ხელშეკრულება კომპანია "ომეგასთან", რომელიც "ომეგა ჯგუფის" შემადგენლობაში შედის. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ თბილისში, ქეთევან წამებულის N10-ში „საქართველოს ბანკის" ახალი ფილიალი გაიხსნა. ფილიალის სერვის-ცენტრში კლიენტებს საშუალება ექნებათ, მიიღონ და ისარგებლონ VISA და Master Card-ის პლასტიკური ბარათებით, განახორციელონ ფულადი გადარიცხვები როგორც ანგარიშებზე, ისე Wester Union-ისა და „ელვა"-სისტემის ფულადი გზავნილების სერვისით, მიიღონ მოკლე და გრძელვადიანი კრედიტები, ისარგებლონ სალომბარდო მომსახურებით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ამ კვირაში მსოფლიო ბანკის საკრედიტო პორტფელის განხილვა დაიწყება. ივნისში მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭო განიხილავს საქართველოსათვის ფინანსური დახმარების პაკეტს, რომელშიც შედის სტრუქტურული გარდაქმნის კრედიტი (SAC IV) და 11-12 მლნ დოლარის ოდენობის კრედიტი, რომელიც საქართველოს ენერგოსექტორის ინვესტირებისთვისაა გამიზნული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე გუშინ WTI მარკის ნავთობის ერთი ბარელის ფასმა ორშაბათის ვაჭრობის შედეგად მიღებულ მაჩვენებელს 0.05 დოლარით გადააჭარბა და 36.91 დოლარი შეადგინა. "ინტერფაქსის" ცნობით, ნავთობის გაძვირების ძირითადი მიზეზი აშშ-ში მისი მოხმარების მოსალოდნელი ზრდაა, რაც ამერიკის მრეწველობის მაჩვენებლის გაუმჯობესებით და ეკონომიკური ზრდითაა გამოწვეული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოცდაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის იანვარ-თებერვლის შემოსავლების გეგმა 56 მილიონი ლარით განისაზღვრა, ფაქტობრივმა შესრულებამ კი 96 პროცენტი შეადგინა. ფონდში აცხადებენ, რომ შემოსავლების გეგმის შეუსრულებლობის მიზეზი ცენტრალური ბიუჯეტიდან გადმოსაცემი ტრანსფერია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეკონომიკის სამინისტროში სპეციალური დეპარტამენტი შეიქმნება, რომელიც რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაზე და პოსტკონფლიქტური ზონების ეკონომიკურ რეაბილიტაციაზე იმუშავებს. დეპარტამენტის ძირითადი მიზანი ქალაქსა და სოფელს შორის დღეისათვის დარღვეული ბალანსის აღდგენა იქნება. "ყველა ადამიანს უნდა მიეცეს საშუალება, საკუთარი წარმოება ქვეყნის ნებისმიერ კუთხეში დაიწყოს. ხელისუფლება ხელს შეუწყობს, რომ რეგიონში ნაწარმოები პროდუქცია მთელს ქვეყანაში გადანაწილდეს," – განმარტეს სამინისტროში. **ინტერ-პრესი**

**"ს/ს თელასის" განცხადება**

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:**

5 მარტს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:
გლდანის V მიკრორაიონის მაცხოვრებლებს.

5 მარტს, 11.00-დან 16.00-სთ-მდე:
საქნავთობის დასახლების მაცხოვრებლებს.

# თბილისის საკრებულოს წევრებს "თბილგაზის" ლობირებაში ადანაშაულებენ

გუშინ „ახალმა მენეჯმენტმა" თბილისის საკრებულოს წევრებს, „თბილგაზში" შესვლიდან ოთხი თვის შემდეგ, ანგარიში ჩააბარა. საკრებულოს ენერგეტიკის კომისიის სხდომა გუშინ ურთიერთბრალდებების ფონზე წარიმართა:

"თბილგაზის" გენერალურმა დირექტორმა მთავარი ყურადღება "თბილგაზის" "გაზპრომისადმი" ვალზე და "თბილგაზისადმი" დედაქალაქის ვალზე გაამახვილა:

ნოდარ გობიანიძის განცხადებით, კომპანიას "გაზპრომის" 7 მილიონ 432 ათასი დოლარი მართებდა. აქედან "თბილგაზს" გადახდილი აქვს 2 მილიონ 200 ათასი დოლარი. დედაქალაქის მთავრობას კი "თბილგაზის" 4 მილიონ 962 ათასი ლარის დავალიანება აქვს.

კომპანიის ხელმძღვანელმა უახლოეს გეგმებზეც ისაუბრა: „ახალი მენეჯმენტი" 160 საუბნო მრიცხველის შეძენას გეგმავს. 1 ივნისიდან კი დედაქალაქში ბუნებრივი აირის მომხმარებელთა ბინებში მრიცხველების დამონტაჟებას დაიწყებს.



თბილისის საკრებულოს საგანგებო ანტიკორუფციული კომისიის თავმჯდომარემ ბესო ჯუღელმა „ახალი მენეჯმენტი" 300-მდე ინკასატორის სამსახურიდან უკანონო გათავისუფლებაში დაადანაშაულა.

ჯუღელის ბრალდებას არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს ექსპერტთა ასოციაციის ხელმძღვანელ ზურაბ აბზიანიძის ბრალდება მოჰყვა. მან საკრებულოს წევრები "ახალი მენეჯმენტის" ლობირებაში დაადანაშაულა. აბზიანიძის განმარტებით, თბილისის საკრებულოს წევრები - ზურაბ მინდელი და ნანული ქაჩიბაია იმიტომ ლობირებენ "ახალ მენეჯმენტს", რომ მათი შვილები ამ ორგანიზაციაში მუშაობენ. ამ განცხადებას ორივე წევრის მწვავე რეაქცია მოჰყვა. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ ზაზა ბეგაშვილმა მოითხოვა "თბილგაზის" ყოფილი 300-მდე თანამშრომლის საქმიანობის შესწავლა და მათი უდანაშაულობის დადგენის შემთხვევაში სამსახურში აღდგენა. "ახალი მენეჯმენტის" საქმიანობის ანგარიშს თბილისის საკრებულოს სხდომა უახლოეს პერიოდში მოისმენს.

*24 საათი*

# სლოვაკეთში "კიას" ქარხანა აშენდება

თორნიკე შარაშენიძე

ევროპული ხავერდოვანი რევოლუციის შედეგად ჩამოყალიბებულმა სლოვაკეთმა ბოლო ორი წლის განმავლობაში მეორე მსხვილი ინვესტიცია მიიზიდა ავტომრეწველობის დარგში. სამხრეთ კორეის უმსხვილესი კომპანია "ჰიუნდაი" სლოვაკეთში ქარხანას ააგებს. ქარხანა "კიას" მარკის მანქანებს გამოუშვებს. ამ ინვესტიციას სლოვაკეთს პოლონეთი ეცილებოდა, მაგრამ "ჰიუნდაიმ" საბოლოოდ ჩეხოსლოვაკიის ყოფილ ნაწილზე შეაჩერა არჩევანი, რისი ძირითადი მიზეზიც შედარებით დაბალი საწარმოო ხარჯებია. იმავე მიზეზის გამო გასულ წელს პოლონეთმა კიდევ ერთი ინვესტიცია დაუთმო სლოვაკეთს; ფრანგულმა "პეჟო-სიტროენმა" დაბალი ხარჯების გამო სწორედ აქ გადაწყვიტა ქარხნის აგება.

"ჰიუნდაის" ქარხანაში 870 მილიონ დოლარს აბანდებს. ქარხნის მშენებლობა 2006 წელს დასრულდება და იგი ყოველწლიურად 200 ათას ცალ მანქანას გამოუშვებს. თუკი ასე გაგრძელდა, სლოვაკეთი აღმოსავლეთ ევროპის ავტომრეწველობის ცენტრად იქცევა და თავის ყოფილ უფროს ძმას - ჩეხეთსაც ჩამოიტოვებს, რომელიც "შკოდას" აწარმოებს (თუმცა, ეს უკანასკნელი გერმანული "ფოლკსვაგენის" კუთვნილებაა).

"ჰიუნდაის" ინვესტიციამდე სლოვაკეთმა უკვე 7 მილიარდი დოლარი მიიზიდა. აქედან დიდი ნაწილი ბოლო ორი წლის განმავლობაში შევიდა ქვეყანაში, მას შემდეგ რაც ხელისუფლების სათავეში ახალი სახეები მოვიდნენ. ისინი გაცილებით მეტ ნდობას უსახავენ უცხოელ ინვესტორებს და ქვეყანაში უკეთეს სამეწარმეო კლიმატს ქმნიან. ახლა სლოვაკეთს მთელ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი საგადასახადო განაკვეთი აქვს. გარდა ამისა, სლოვაკეთს მეტად ხელსაყრელი მდებარეობა გააჩნია – იგი ავსტრიას ესაზღვრება.

საერთოდ, ავტომრეწველობის სექტორში ინვესტიციის მოზიდვა მისასალმებელია, რადგან ეს სფერო ბოლო წლებში საგრძნობმა კრიზისმა მოიცვა და გამძაფრებული კონკურენციის გამო ბევრი ავტოგიგანტი ერთობ რთულ ვითარებაში იმყოფება ("ფიატი," "ფორდი"). აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან აქამდე ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში პოლონეთი იყო, სადაც რამდენიმე ქარხანა აიგო და ერთობლივი საწარმოებიც შეიქნა. მაგრამ საკმარისი იყო სლოვაკეთში ხელისუფლბის ცვლა, რომ ინვესტიციებმა მიმართულება იცვალა.

ცხადია, აღმოსავლეთ ევროპაში ქარხნის აგება "ჰიუნდაისთვისაც" მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა. ამ კომპანიამ "კია" რამდენიმე წლის წინ შეისყიდა, როცა უკანასკნელი სამხრეთ კორეის ცნობილი ეკონომიკური კრიზისის გამო გაკოტრდა. მაშინ ბევრი სპეციალისტი მიიჩნევდა, რომ "კიას" შესყიდვა მეტად რთულ მდგომარეობაში ჩააგდებდა "ჰიუნდაის," რომელიც თავადაც დაზარალდა კრიზისის დროს; მაგრამ, როგორც ვხედავთ, "ჰიუნდაი" უკვე "კიას" ქარხნებს აშენებს საზღვარგარეთ.

# სისხლიანი აშურა ერაყში




გუშინდელი დღე ერაყში ომის დაწყებიდან ყველაზე სისხლიანი და ტრაგიკული იყო. ბაღდადიდან 90 კილომეტრის დაშორებით მდებარე ქალაქ ქერბელაში ერთდროულად ექვსი აფეთქება მოხდა. პარალელურად სამი აფეთქება განხორციელდა თავად ერაყის დედაქალაქშიც. ორივე ქალაქში მომხდარი ტერორისტული აქტების შედეგად, სულ ცოტა, 140 ადამიანი დაიღუპა. მათი უმრავლესობა ერაყელი შიიტები არიან. აფეთქება შიიტების რელიგიურ სამგლოვიარო ცერემონიას – აშურას დაემთხვა. აფეთქება მოხდა პაკისტანშიც, სადაც თორმეტი შიიტი მლოცველი დაიღუპა.

აშურა შიიტებისათვის გამორჩეული დღეა და ის ალაჰის მოციქულ მოჰამედის შვილიშვილის, იმამ ჰუსეინის ხსოვნას ეძღვნება. წლევანდელ აშურას ერაყელი შიიტებისათვის განსაკუთრებული დატვირთვა და მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ის პირველად ჩატარდა ერაყში. აშურა სადამ ჰუსეინის მიერ აკრძალული ცერემონია იყო.

იმამ ჰუსეინი ისლამის შიიტურ რელიგიაში უდიდეს წამებულად არის მიჩნეული. ამ დღეს, შიიტები ქუჩებსა და მოედნებზე აწყობენ სპექტაკლებს და წარმოდგენებს, რომლებშიც მე-7 საუკუნის პერიოდია ასახული.

რადგანაც იმამ ჰუსეინი ქერბელასთან გამართულ ბრძოლაში დაიღუპა, აშურას ჩატარების ცენტრადაც სწორედ ქერბელა იყო დასახელებული. გუშინ დილიდანვე, მორწმუნე შიიტებმა განსაკუთრებული სამზადისი დაიწყეს. დილის ნამაზის შესრულების შემდეგ, მათ თვითგვემის რიტუალიც ჩაატარეს. ამ დროს, შიიტები ხმლებს და მძიმე მეტალის საგნებს ტანზე ირტყამენ, რითაც იმამ ჰუსეინის ტრაგიკული სიკვდილის სიმბოლიზირებას ახდენენ.

შიიტებმა იმამ ჰუსეინისათვის ბოლომდე პატივის მიგება ველარ შეძლეს. ქალაქის სხვადასხვა ადგილებში ერთდროულად ექვსი აფეთქება მოხდა. ქერბელაში მომხდარ ტერორისტულ აქტებს, სულ ცოტა, 85 შიიტი შეეწირა, ხოლო 300-ზე მეტი დაიჭრა.

პარალელურად, შიიტური ცერემონია იმართებოდა ბაღდადშიც. ერაყის დედაქალაქში მომხდარმა სამმა აფეთქებამ კი 56 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ხოლო ორასზე მეტი დაიჭრა. საინფორმაციო საშუალებები აცხადებენ, რომ მსხვერპლის რაოდენობა კიდევ გაიზრდება, რადგანაც დაჭრილთა შორის მრავალი ადამიანი მძიმე მდგომარეობაში იმყოფება.

**"ჩვენ ზუსტად არ ვიცით, რა მოხდა. შესაძლოა, ეს კამიკაძეთა ნამოქმედარიც იყოს, მაგრამ ზუსტად არაფრის თქმა არ შეგვიძლია,"** - აცხადებს აშშ-ს არმიის ბრიგადის გენერალი მარკ ჰერლინგი. ზოგიერთი წყაროს ცნობით, ასაფეთქებელი მოწყობილობები ნაგვის ყუთებში იყო ჩამონტაჟებული.

ბაღდადსა და ქერბელაში მომხდარმა ტერორისტულმა აქტებმა ორივე ქალაქის მოსახლეობა სრულ შოკში ჩააგდო. საინფორმაციო საშუალებები საყოველთაო ქაოსის და პანიკის შესახებ იუწყებოდნენ. **"კოალიციური ჯარები, ერაყის უშიშროების ძალებთან ერთად, საშინელი შედეგების ლიკვიდაციის მიზნით აქტიურად მუშაობენ,"** - განაცხადა აშშ-ს არმიის პირველი ჯავშანდივიზიის მაიორმა დევიდ გერკენმა. **"ვინც ეს განახორციელა, ტერორისტი და მკვლელია,"** - დასძინა მან.

ბაღდადში სამივე აფეთქება ალ-ყადამიას მეჩეთში მოხდა, როდესაც იქ მრავალი ქალი და ბავშვი იმყოფებოდა. მეჩეთის იმამის თქმით, ეს უცხოელი ტერორისტების ნახელავია, რადგანაც ერაყელი ამას არასდროს გააკეთებს.

აფეთქებაზე პასუხისმგებლობა, ჯერჯერობით, არც ერთ ორგანიზაციას არ აუღია თავის თავზე.

თუმცა, ამის გარეშეც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გუშინდელი ტერაქტი ერაყელი პარტიზანების ნამოქმედარია. რამდენიმე კვირის წინ, პენტაგონი სადაზვერვო ინფორმაციაზე დაყრდნობით იუწყებოდა, რომ ერაყელმა პარტიზანებმა ტაქტიკა შეცვალეს და მიზანში შიიტები ამოიღეს. ამით ისინი ერაყში ქაოსის და განუკითხაობის დათესვას აპირებენ.

შეიძლება ითქვას, რომ მიზანი ამ ეტაპზე მიღწეულია. 2004 წლის ორი მარტი ერაყში კიდევ დიდხანს ემახსოვრებათ.

# "ტექნიკური პრემიერი" არაპოპულარული რეფორმების მედროშე იქნება

რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრის პოსტზე დასახელებული მიხაილ ფრადკოვი მინისტრთა კაბინეტის დაკომპლექტებას შეუდგა. პირველი ვიცე-პრემიერის თანამდებობაზე მან ალექსანდრ ჟუკოვის კანდიდატურა წამოაყენა. ჟუკოვი სახელმწიფო დუმის ვიცე-სპიკერია და გამოკვეთილ ლიბერალურ ეკონომისტად მოიაზრება. ფრადკოვი იმედოვნებს, რომ პრეზიდენტი პუტინი ჟუკოვის კანდიდატურას დადებითად შეაფასებს. პარალელურად, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი სახელმწიფო დუმის ფრაქციებთან მართავს კონსულტაციებს. უმრავლესობის ფრაქციის - "ერთიანი რუსეთის" ლიდერებმა განაცხადეს, რომ ერთხმად უჭერენ მხარს ფრადკოვის კანდიდატურას. სახელმწიფო დუმა მის კანდიდატურას პარასკევს განიხლავს და ეჭვგარეშეა, რომ იმავე დღეს დაამტკიცებს კიდეც.

ფრადკოვმა კონსულტაციები საპარლამენტო ფრაქციებთან გუშინვე დაიწყო, მას შემდეგ, რაც ის ბრიუსელიდან მოსკოვში დაბრუნდა. მან უკვე მოასწრო "ერთიანი რუსეთის" და "კომუნისტების" ფრაქციებთან შეხვედრა. კომუნისტებმა უკვე განაცხადეს, რომ ისინი ფრადკოვის კანდიდატურას მხარს არ დაუჭერენ. მათ ასევე უარი განაცხადეს, ფრადკოვთან შეხვედრის დროს მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობის საკითხი განეხილათ.

ამის მიუხედავად, მიხაილ ფრადკოვი ახალი მთავრობის ახალი წევრების ძებნას აქტიურად განაგრძობს. ის არ გამორიცხავს, რომ მინისტრთა კაბინეტში აღმოჩნდნენ სერგეი შოიგუ და ალექსი გორდეევი.

დამკვირვებლების თქმით, მიხაილ ფრადკოვი მოსახლეობაში არაპოპულარული ლიბერალური რეფორმების გამტარებელი იქნება, რადგან სწორედ ასეთია კრემლისა და მისი მესვეურის ნება-სურვილი.

თუმცა, ფრადკოვი, ჯერჯერობით, ამ საკითხზე კომენტარს არ აკეთებს. **"მე არ ვაპირებ, ეს თემა დეტალურად განვიხილო. ყველაფერი ჯერ კიდევ წინაა,"** - განაცხადა პრემიერობის კანდიდატმა მოსკოვის აეროპორტში.

"ტექნიკური პრემიერი" – ასე შეაფასეს დასავლეთისა და რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა მისი კანდიდატურა. პრესის ცხოველ ინტერესს იწვევს მინისტრთა კაბინეტის მომავალი შემადგენლობა.

გაზეთი "იზვესტია" სახელისუფლებო წრეებზე დაყრდნობით იუწყება, რომ ახალ მთავრობაში შესაძლებელია მხოლოდ ერთადერთი ვიცე-პრემიერის პოსტი დარჩეს. ამ თანამდებობაზე კი, ასევე კულუარული წრეების ინფორმაციით, რუსეთის ფინანსთა მინისტრი და ვიცე-პრემიერის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი ალექსი კუდრინი იქნება. თუმცა, ფრადკოვის მიერ ალექსანდრ ჟუკოვისათვის ვიცე-პრემიერობის შეთავაზება ამ ინფორმაციის სანდოობას, ჯერჯერობით, ეჭვის ქვეშ აყენებს. ამჟამად რუსეთის მთავრობას ექვსი ვიცე-პრემიერი ჰყავს. დამკვირვებლები ასევე მიუთითებენ ფრადკოვისა და ძალოვანი უწყებების მჭიდრო კავშირზე. კერძოდ, არ გამორიცხავენ, რომ ფრადკოვს ზურგს უმაგრებდეს თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი. როგორც "ფაინენშალ ტაიმსს" ყოფილმა "კაგებეშნიკმა" და ამჟამინდელმა დეპუტატმა გენადი გუდკოვმა განუცხადა, ფრადკოვს არ შეიძლება "ძალოვანი" პრემიერი ეწოდოს, თუმცა მას ყველაზე კარგად ესმის სპეცსამსახურების მუშაობის სპეციფიკა.


მიხაილ ფრადკოვი კომუნისტებთან შეხვედრის დროს.

ანონიმური ზარი
თუ ანონიმურობა გიზიდავთ და არ გსურთ თქვენი ნომრის მოსაუბრისათვის გამჟღავნება, შეგიძლიათ ისარგებლოთ ჯეოსელის ახალი სერვისით ანონიმური ზარი. უბრალოდ აკრიფეთ: 7001, მობილური ოპერატორის ან ქალაქის კოდი და აბონენტის ნომერი. ის, რაც თქვენი მოსაუბრის ტელეფონის ეკრანზე დაიწერება, აუცილებლად ორივეს გაგაოცებთ.
ანონიმური ზარის 1 წუთის ღირებულებაა 90 თეთრი.
ჯეოსელი
GEOCELL
დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ნომრებზე: 928 და 822770177



# ვაშლის წვენი და ხორბლის ლუდი "ყაზბეგისგან"

*კომპანია “ყაზბეგი” უახლოეს მომავალში ქართველ მომხმარებელს ორი სახეობის ახალ სასმელს შესთავაზებს. ეს იქნება ვაშლის ნატურალური წვენი, რომელსაც გაზი არ ექნება და ახალი ტექნოლოგიით დამზადებული ხორბლის ლუდი. რაც შეეხება “ცივ ჩაის” და ოთხი დასახელების ლუდს, გაზაფხულის დადგომასთან ერთად, მათი წარმოება ორმაგად გაიზარდა.*

თამარ დვალი

თუ ამ დღეებში მარცხენა სანაპიროზე გაგივლიათ, შეამჩნევდით, რომ მტკვრის ჯებირებთან ლუდის მოყვარულთა რიცხვმა იმატა. გაზაფხულის დადგომასთან ერთად კომპანია “ყაზბეგმა” სეზონი გახსნილად გამოაცხადა და ლუდის წარმოებაც გაზარდა. იმის სანახავად, თუ ეკოლოგიურად რამდენად სუფთა გარემოში და როგორი ნედლეულისგან მზადდება პროდუქცია, გუშინ სააქციო საზოგადოება “ყაზბეგის” წარმომადგენლებმა ჟურნალისტები რუსთავის ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების ქარხანაში მიგვიწვიეს. ამიერიდან ქარხნის დათვალიერება ყველა მსურველს შეეძლება. **“ბევრს არ სჯერა, რომ “ცივ ჩაის” მართლა ნატურალური ხილისგან ვამზადებთ. ამ კითხვას თითქმის ყველა ნაცნობი მისვამს. საზღვარგარეთ არსებობს ტრადიცია, რომლის მიხედვითაც მომხმარებლები ექსკურსიაზე მიჰყავთ საამქროებში და ათვალიერებინებენ იმ პირობებს, რომელშიც პროდუქცია მზადდება. ჩვენ გვინდა, ამიერიდან მსგავსი ტრადიცია საქართველოშიც დამკვიდრდეს, “** – გვითხრა სააქციო საზოგადოება “ყაზბეგის” მთავარმა ტექნოლოგმა ნიკოლოზ მაზმიშვილმა.

მსოფლიოში ლუდის წარმოება ხუთი ათასი წლის წინათ მესოპოტამიაში დაიწყეს, საქართველოში კი ლუდის პირველი მწარმოებლები მოხევეები იყვნენ. ბევრ ქვეყანაში ლუდი ალკოჰოლს საერთოდ არ შეიცავს, თუმცა, ქართველი მომხმარებელი ასეთ ლუდს მაინცდამაინც არ ეტანება. არ ვიცი, მოხევეები როგორ ამზადებენ ლუდს, მაგრამ კლასიკური სტილით დამზადებულ ლუდს ჯერ სპეციალურ ქვაბში ხარშავენ, 7 დღის შემდეგ დასასვენებლად გადააქვთ და 40 დღის განმავლობაში ასვენებენ. ბოლოს მას სპეციალური დანადგარებით ფილტრავენ. 100 გრამი ლუდი დაახლოებით 57 კალორიას შეიცავს. როგორც დეგუსტატორები გვირჩევენ, ლუდი ჭიქიდან სამი სანტიმეტრის სიმაღლიდან უნდა ჩამოვასხათ. თუ იგი დიდხანს შეინარჩუნებს ქაფს, ეს იმას ნიშნავს, რომ მაღალი ხარისხისაა.

სააქციო საზოგადოება “ყაზბეგი”, რომელიც ოთხი დასახელების ლუდს აწარმოებს, დაახლოებით ორ თვეში უახლესი ტექნოლოგიით დამზადებულ პროდუქტს შესთავაზებს ქართველ მომხმარებელს. პირველად საქართველოში, ლუდის შემადგენლობაში, ქერთან ერთად, ხორბალსაც გამოიყენებენ. რაც შეეხება სახელს, ჯერჯერობით უცნობია, თუ რა დასახელების ლუდი დაიკავებს ადგილს “ყაზბეგის”, “თოფაძის”, “მონადირისა” და “პორტერის” გვერდით.

“ცივი ჩაი” 2000 წელს გამოჩნდა ქართულ ბაზარზე. წლეულს კომპანია “ყაზბეგი” ვაშლის წვენის ჩამოსხმასაც დაიწყებს. “ცივი ჩაისგან” განსხვავებით, მას გაზი არ ექნება. თუ რომელი ჯიშის ვაშლისგან დამზადდება პროდუქცია, ამას “ყაზბეგის” ტექნოლოგები საგულდაგულოდ ასაიდუმლოებენ. გუშინ ჟურნალისტებს ახალი პროდუქციის დაგემოვნების შანსი მოგვეცა. მინდა გითხრათ, რომ ის ისეთივე გემრიელია, როგორც საერთოდ ქართული ხილი.

რუსთავის ქარხანაში, რომელიც ყოველდღიურად ასობით ტონა სასმელს ასხამს, 500-მდე ადამიანია დასაქმებული. ის, რომ “ცივი ჩაისთვის” ნატურალურ ხილს იყენებენ, საკუთარი თვალით ვნახეთ. მომსახურე პერსონალი 15 ტონა ლიმონს ამუშავებდა. ჩემდა გასაკვირად, სასმელში, თურმე, ლიმონის გულს კი არა, მხოლოდ კანს იყენებენ.



*არჩევანს ხალხი გააკეთებს.*

# სასამართლო პროცესი და ერთი "ლეიბორისტი"

*საქართველოს მეანაბრეთა მიერ 7 წლის წინათ დაწყებული სასამართლო პროცესების სერია კვლავ გრძელდება. გუშინ საკონსტიტუციო სასამართლოში გამართული პროცესი ერთ-ერთი მოპასუხე მხარის, პრეზიდენტის წარმომადგენლის გამოუცხადებლობის გამო გადაიდო. სასამართლომ მორიგი პროცესი 11 მარტისთვის დანიშნა. როგორც მოსამართლეები ირწმუნებიან, თუ მოპასუხე მხარე მომავალ პროცესზეც არ გამოცხადდება, სასამართლო მის დაუსწრებლად განიხილავს საქმეს.*

ნანა ქადაგიშვილი

**“პირველად 1997 წელს ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში შევიტანე სარჩელი, მაგრამ ამაოდ. 1998 წელს საკონსტიტუციო სასამართლოს მივმართე. 7 წელია, სასამართლოდან სასამართლოში დავრბივარ, მაგრამ არაფერი გამომდის. ახალი პრეზიდენტის სახელზე დაწერილი განცხადება ოთხჯერ მივიტანე კანცელარიაში, მაგრამ ან სააკაშვილამდე არ მისულა, ან მანაც უყურადღებოდ დაგვტოვა,”** – საკონსტიტუციო სასამართლოში გუშინდელი პროცესი ერთ-ერთი მოსარჩელის, მეანაბრე ემზარ გრიგოლიას აღშფოთებული გამოსვლით დაიწყო. თუმცა, პროცესის გაგრძელება ვერ მოხერხდა, რადგან ორი მოპასუხე მხარიდან (პრეზიდენტი და პარლამენტი) სასამართლოში მხოლოდ პარლამენტის წარმომადგენელი გამოცხადდა და მანაც პროცესის გადადება მოითხოვა – უწყება გუშინ მივილე და საქმის შესწავლა ვერ მოვახერხეო. **“პროცესს ამჯერად კი გადავდებთ, მაგრამ არ გავაჭიანურებთ. თუ პრეზიდენტის წარმომადგენელი მომავალ პროცესსაც არ დაესწრება, საქმეს მაინც განვიხილავთ,”** – განაცხადეს მოსამართლეებმა.

ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში შეტანილი თანხის დაბრუნებას 4 446 877 მენაბრე ითხოვს. საკონსტუტიციო სასამართლოში ოთხმა მათგანმა შეიტანა სარჩელი. მოსარჩელეები პრეზიდენტის 2001 წლის 2 ივლისის №258 ბრძანებულებისა და პარლამენტის მიერ 2001 წლის 27 დეკემბერს რატიფიცირებული ადამიანთა უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის პირველი ოქმის ამოქმედებას მოითხოვენ. პრეზიდენტის ზემოთ აღნიშნული ბრძანებულების თანახმად, უნდა შექმნილიყო სახელმწიფო კომისია, რომელიც 10 თვეში საქართველოს მოსახლეობისთვის ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნების საკითხს მოაგვარებდა. ამ ბრძანებულების გამოსვლის შემდეგ 10 თვე კი არა, ორ წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ მეანაბრეთა მდგომარეობა არ შეცვლილა. ამასობაში ბევრი მათგანი გარდაიცვალა კიდეც. **“ადამიანები, რომელთაც ბანკებში ათასები ჰქონდათ შეტანილი, სიღატაკეში გარდაიცვალნენ. მათი ფულით კი შევარდნაძეები და თარგამაძეები გამდიდრდნენ. რატომ არ შეიძლებოდა, რომ დღევანდელ პროცესზე ედუარდ შევარდნაძე მოგეყვანათ და პასუხი მოგეთხოვათ. ახალი პრეზიდენტი მაინც მოვიდეს. მან ხომ თქვა, ხალხის აზრი მაინტერესებსო. პრეზიდენტისა და პარლამენტის წარმომადგენლების გამოცხადებას რა აზრი აქვს, მათ არაფრის გადაწყვეტა არ შეუძლიათ. პროცესს პრეზიდენტი და პარლამენტის თავმჯდომარე უნდა დაესწრონ. თუ ეს არ მოხერხდება, ჩვენი წერილები სააკაშვილს მაინც გადაეცით, თორემ კანცელარიის წერილების განყოფილების უფროსი ჩვენს განცხადებებს პრეზიდენტის ნაცვლად ფინანსთა სამინისტროს უგზავნის,”** – მეანაბრეებმა თხოვნასთან ერთად მოსამართლეებს კანცელარიაში შეტანილი წერილების ეგზემპლარები გადასცეს. ეს უკანასკნელნი კი შეჰპირდნენ, რომ მათ გასაჭირს სააკაშვილამდე მიიტანენ.

სხვათა შორის, გუშინდელ პროცესს “ლეიბორისტული” პარტიის წარმომადგენელი ჯონდი ბაღათურიაც ესწრებოდა. მართალია, იგი არც მოპასუხე იყო და არც მათი ოფიციალური წარმომადგენელი, მაგრამ სიტყვით გამოსვლას მაინც ცდილობდა. თუმცა, მოსამართლეებმა ამის საშუალება არ მისცეს. ბაღათურიამ მეანაბრეებისადმი თანაგრძნობა მხოლოდ ტელეკამერების წინ დააფიქსირა.

*ფოსტა*

# კმარა სეთურობა და ბაღვაშობა!

## ანუ, ასლან, წადი!

ნოემბრის ცნობილმა მოვლენებმა საბოლოოდ ჩამოგლიჯა ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების “მუდმივი და ნამდვილი ოპოზიციონერის” ნიღაბი ა. აბაშიძესა და მის რეჟიმს, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ დაამტკიცა,რომ მაშინდელი დაპირისპირება ცენტრალური და რეგიონული ხელისუფლების პირველ პირებს შორის ხალხის თვალის ასახვევად მოგონილი უხამსი თვალთმაქცობა იყო. მოტყუებულ და დაბნეულ მოსახლეობაში გაჩნდა უამრავი კითხვა, რომელიც დიდი ხნის წინ უნდა დასმულიყო, მაგრამ არაუშავს, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს...

ათ წელზე მეტია გვაყვედრიან, რომ “მხედრიონი”არ შემოუშვეს, ააშენეს ხიდები, შეაკეთეს უნივერსიტეტის შენობა, სამშობიარო სახლი, ჩამოაყალიბეს საოპერო თეატრის დასი, გაჰყავთ გვირაბი, არიგებენ ხელფასებსა და პენსიებს და სხვა.

დიახ, ბატონებო, ვხედავთ, ვიცით და გულწრფელად მადლიერნი ვართ იმ სიკეთისთვის, რაც გიკეთებიათ, მაგრამ ერთი ეს გვითხარით, რა უნდა გეკეთებინათ? რა შედის ხელისუფლების მოვალეობაში? გამუდმებით რას გვაყვედრით და გვამადლით თავს? თუ ასე ძნელია საქმის კეთება და მძიმეა მონომახის ქუდი, ვინმემ ძალით დაგაკავათ? თქვენი ხარჯებით ააშენეთ რამე? იქნებ ხელფასებსაც და პენსიებსაც თქვენი ჯიბიდან არიგებთ? პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ რომ ერთსა და იმავეს გაიძახით, არაფერი გაუკეთებიათო, ერთი ეს გვითხარით, რა უნდა აკეთოს მასწავლებელმა, პროფესორმა, მსახიობმა, მომღერალმა და ა. შ., თუ არა თავისი კონკრეტული საქმე? ნუთუ გგონიათ, რომ ვინმე მართლა შეუცვლელი და ყოვლისშემძლეა? ნუთუ მართლა გგონიათ, რომ თქვენზე ნაკლებად გააკეთებს ვინმე იმას, რასაც თქვენ საქმეს ეძახით? ნუთუ მართლა დაიჯერეთ თქვენს მიერვე შეთხზული სასაცილო (სატირალი თუ არა) მითი “აღმატებული გენის” შთამომავალთა ისტორიული მისიის შესახებ, რომელიც თურმე მემკვიდრეობით გადადის? ვერ ხვდებით, რა სასაცილო მდგომარეობაში იგდებთ თავს თქვენივე შეთხზული ზღაპრების გამო? ან იქნებ გგონიათ, რომ ვინმეს სჯერა თქვენი მითები აყვავებული, აღორძინებული აჭარისა და “სიმშვიდის ოაზისის” შესახებ?

იქნებ თქვენს მიერ დამადლებული სანიმუშო წესრიგი ის არის, რომ ნარკომანია ელვის სისწრაფით ვრცელდება ახალგაზრდობაში და ხელისუფლების მაღალ ეშელონებშიც შეაღწია?! ან თუნდაც ის, რომ საგანგებო მდგომარეობის პირობებშიც კი დღისით, მზისით, ყველას თვალწინ “დაუდგენელი პირები” კლავენ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს! აყაჩაღებენ ბენზინგასამართ სადგურს და ხოცავენ ხალხს! ფიზიკურად უსწორდებიან ან აპატიმრებენ ოპოზიციის წარმომადგენლებს, პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს, შავრაზმელების ხელით არბევენ სადღესასწაულოდ გამოსული ხალხის მიტინგს და ცდილობენ შეაჯახონ მას მოსახლეობის მეორე ნაწილი, კრძალავენ მიტინგებს, იმავდროულად კი უწყვეტი სიგნალებით და “აღორძინების” დროშების ფრიალით გამუდმებით დაჰქრიან უმეტესწილად უნომრო მანქანები; სასმელი წყლის ნაცვლად ონკანში ტალახი მოდის და ქუჩები ფეკალური მასით ყარს!!!

იქნებ აგვიხსნათ, რატომ და რომელი კანონის საფუძველზე გაჩეხეს ასე უმოწყალოდ რაიონების გამგებლებმა ტყეები, რის სავალალო შედეგსაც უკვე ვიმკით? ან იქნებ გვეტყვით, თუ სად გაქრა სანაოსნოს გემები, როგორია ბაზრობებისა და საბაჟოების რეალური შემოსავლები, რამდენ ათეულ და ასეულჯერ აღემატება ისინი თქვენ მიერ დეკლარირებულს და ვის ჯიბეებში ილექება ეს თანხები მთელი ამ ცამეტი წლის განმავლობაში? გაგვარკვიეთ, ვის და რისთვის სჭირდება მეთამბაქოების, მეღვინეობის, მეჩაიეობის, მეხილეობის, მეციტრუსეობისა და სხვა დარგების მიზანმიმართული განადგურება ან თამბაქოს, ჩაის, ციტრუსებისა და ხილის გადამამუშავებელი ქარხნების მიწასთან გასწორება! იქნებ იმისთვის, რომ მოსახლეობას სტაბილური შემოსავლების წყარო გამოსცლოდა, ხერხემალში გადამტვრეულიყო და “მამა-მარჩენალის” მოწყალების ამარა დარჩენილიყო?

სად გაქრა ცირკი, კინო-თეატრები, საზაფხულო თეატრები, მოსწავლეთა პარკი, დელფინარიუმი და დასვენების სხვა კერები, რატომ აღიგავა პირისაგან მიწისა ან გაჩერდა: მანქანათმშენებელი ქარხანა, ფეხსაცმლის ფაბრიკა, ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, თევზკომბინატი, ხის დამამუშავებელი კომბინატი, ხორცკომბინატი და სხვა საწარმოები? “თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასაო”,- ამ გამოთქმისა არ იყოს, ისე წაიყვანეთ საქმე, სასმელ წყალსაც კი თურქეთიდან ვეზიდებით, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩაიზე, სიგარეტსა თუ წვენებზე, სამაგიეროდ შექმენით სიგარეტის, ფქვილის, ბენზინის, ნავთის საფეხბურთო ტოტალიზატორებისა და სხვა უამრავი სახის მაფიოზური კლანები, რაც თქვენი უსაზღვრო გამდიდრების წყაროდ იქცა, მაშინ როცა მაღალმთიან აჭარაში ნებისმიერი სოფელი, რომ მოიარო, ხშირად ერთ ლარსაც ვერ იშოვი კაცი. თქვენ კი დააქროლებთ ნაძარცვი ფულით ნაყიდ უკანასკნელი მოდელის უძვირფასეს მანქანებს და ცდილობთ ამით შექმნათ მთელ აჭარაში ცხოვრების მაღალი დონის ილუზია.

იქნებ აგვიხსნათ, რისთვის არის გამიზნული და რა ჯდება ა. აბაშიძის ბოლოდროინდელი გაუთავებელი საზღვარგარეთული ვოიაჟები, ან თუნდაც ქორწილშიც კი სპეციალური თვითმფრინავით გამგზავრება, მაშინ როცა ქვეყნის პრეზიდენტი ოფიციალური ვიზიტების დროს ჩვეულებრივი სარეისო თვითმფრინავით მგზავრობს!

თუ ყველაფერ ამას საერთო მდგომარეობით ხსნით და ე. შევარდნაძის კორუმპირებულ რეჟიმს ეჯიბრებოდით ქვეყნის ძარცვა-გლეჯაში, აქაური გვაროვნულ-ოჯახური კლანური რეჟიმიც უნდა გაჰყოლოდა მას! რახან ეს ასე არ მოხდა, კეთილი ინებეთ შეეგუეთ მონოპოლიის დაკარგვასა და კონკურეტულ გარემოში არსებობას, ნუ რეაგირებთ ოპოზიციის გააქტიურებასა და საერთოდ, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე არაადეკვატურად, ალოგიკურად და ისტერიულად.

ნუთუ ნორმალურია ის, რომ რეგიონის ხელმძღვანელი ბოიკოტს უცხადებს საპრეზიდენტო არჩევნებს, სამარცხვინო ვაჭრობის საგნად აქცევს ადამიანის ისეთ უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ უფლებას, როგორიცაა არჩევნებში მონაწილეობა, საუბრობს რაღაც აბსურდულ თემაზე რეფერენდუმის გამართვის შესახებ, ხოლო როცა ხვდება რომ ახალ ხელისუფლებას ვეღარ დააშანტაჟებს, იძულებულია მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, თანაც საღამოს რვის ნახევარზე! ამით კიდევ ერთხელ აგდებს უხერხულ მდგომარეობაში თავისივე მომხრეებს, რადგან მათ არჩევნებში მონაწილეობის შანს აღარ უტოვებს.

ნუთუ ნორმალურია ის, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისაკენ მოწოდება კრიმინალად აღიქმებოდა, ხოლო პოლიციის საქმიანობის ლამის ძირითად მიმართულებად იყო ქცეული დევნა დროშისა, რომელიც შემდეგ სახელმწიფო დროშად გამოცხადდა?

ნუთუ ნორმალურია ის, რომ ხელისუფლების დაქირავებული მოლაყბეები ეწევიან წმინდა წყლის დემაგოგიას ავტონომიის, რელიგიის და სახელმწიფო ხუთჯვრიანი დროშის ირგვლივ, რათა შექმნან დაპირისპირების ნიადაგი ერთადერთი მიზნით – ისევ და ისევ თავად მოგვევლინონ მედიატორისა და მხსნელის როლში?

არის თუ არა ყოველივე ეს სეპარატისტული პოლიტიკა?

არის თუ არა სეპარატიზმის გამოვლინება ის, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი ლაპარაკობს რეფერენდუმზე და თანაც ისეთი საკითხების ირგვლივ, რომლებიც აშკარად განკერძოებისაკენ სწრაფვას მიანიშნებენ?

არის თუ არა სეპარატიზმის გამოვლინება საგანგებო მდგომარეობის უკანონოდ გამოცხადება და თანაც განუსაზღვრელი ვადით?

არის თუარა სეპარეტიზმის გამოვლინება ჩოლოქის უკანონო საბაჟოს შექმნა, რაც ხალხის ყვლეფის კიდევ ერთ კერად იქცა?

არის თუ არა სეპარატიზმის გამოვლინება ცენტრალური ხელისუფლებისაგან უკონტროლო სპეცდანიშნულების რაზმების ჩამოყალიბება, მთელი რეგიონის მასშტაბით “აღორძინების” მხარდამჭერთათვის იარაღის დარიგება და გამუდმებული შანტაჟი ე. წ. “აფხაზეთიზაციით”?

აქვს თუ არა გამართლება იმას, რომ რეგიონის ხელმძღვანელი მთელი ცამეტი წლის განმავლობაში ქვეყნის დედაქალაქში არ ჩადის, რითაც ხაზს უსვამს ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობას?

დიახ, ბატონებო! ამ კითხვებს პასუხები სჭირდება.თანაც არამარტო ამ კითხვებს. ეს მხოლოდ ზღვაში წვეთია, ისევე როგორც თქვენი სატრაბახო ვაიბიუჯეტია წვეთი რეალურ ზღვა შემოსავლებში. რამდენჯერაც არ უნდა ააგდოთ სიტყვა ბანზე და გვმოძღვროთ თქვენი სახელგანთქმული “მიღწევების” შესახებ მითით, ამ კითხვებს ვერსად გაექცევით!

ასეც რომ არ ყოფილიყო, ესე იგი, ყველაფერი სანიმუშოდაც რომ გეკეთებინათ, გექნებოდათ კი უფლება ხელისუფლებაში განუსაზღვრელი ვადით ყოფნისა? ნურას უკაცრავად! დღეს 21-ე საუკუნეა და არა ფეოდალიზმის ეპოქა, თუნდაც გვიანდელი ან პოსტგვიანდელი!

შეეჯიბრებით ვინმე საკუთარი ქვეყნისათვის სასიკეთო საქმეების კეთებაში რეიგანს, ქლინთონს და სხვა რომელიმე დემოკრატიული ქვეყნის ბევრ ექსპრეზიდენტს?

შეთხზა მათ შორის ვინმემ მითი საკუთარი განუმეორებლობისა და შეუცვლელობის შესახებ?

8-10 წელი – ეს არის ნებისმიერ ცივილიზებულ და დემოკრატიულ ქვეყანაში არჩევით თანამდებობაზე ერთი და იმავე პიროვნების ყოფნის მაქსიმალური ვადა. ამის შემდეგ იგი უპირობოდ უნდა წავიდეს. ვინც ამას ხვდება, მიდის კიდეც და ოქროს ასოებით შედის ისტორიაში. ვინც არა და გააქვთ! (შევარდნაძის, უარეს შემთხვევაში – სადამ ჰუსეინის, ან ჩაუშესკუს მსგავსად)...

ასე რომ, პრობლემას ქმნის არა ის, ვინც ოპოზიციაშია და ცდილობს მშვიდობიანი და დემოკრატიული გზით (რა თქმა უნდა, არა იარაღით) ხელისუფლებაში მოსვლას, არამედ ის, ვინც ყველა ვადის გასვლის შემდეგაც გაუმართლებლად ებღაუჭება სკამს და თავისი ქმედების გამართლების მიზნით ცდილობს შეიქმნას მამა-მარჩენალის, აღმატებული გენის წარმომადგენლის შეუცვლელისა და ერთადერთის იმიჯი. ასეთ პოლიტიკას კი ნამდვილად არ აწყობს სტაბილური შემოსავლების მქონე მოსახლეობა, რადგან მას ფოჩიანი კამფეტებით ვეღარ მოისყიდი. ამიტომაც ადანაშაულებენ ყველაფერში თბილისს, ვაშინგტონსა თუ ბომბეის, თორემ ყველამ კარგად იცის, როგორ შეიძლება უმოკლეს ვადაში წელში გამართო ხულოელი, შუახეველი, ქედელი მით უმეტეს ხელვაჩაურელი, ქობულეთელი და ბათუმელი კაცი. ამიტომაც აღარავის აძლევს ხელს იმ მამულიშვილთა ხსენება, ვინაც კომუნისტური იდეოლოგიის პირობებშიც კი შეძლო დაესაბუთებინა და დაენერგა კერძო თამბაქოსა და ციტრუსების წარმოება, რითაც აჭარის მოსახლეობა ფეხზე დააყენა და წელში გამართა.ამიტომაც ეშინიათ აჭარის ხელისუფალთ უბრალო სიტყვისა – “კმარა” იქნება ეს, “გეყოთ” თუ “წადით”, თორემ თვითონაც კარგად იციან, რომ მათზე თოფის სროლას არავინ აპირებს. ამიტომაც მიმართავენ შანტაჟს “აფხაზეთიზაციით”, თორემ თვითონაც შესანიშნავად ესმით, რომ აჭარას დანარჩენ საქართველოსთან არ ჰქონია და არც არასდროს ექნება რაიმე პრობლემა.

ბოლოს და ბოლოს გაიგოს ყველამ, რომ არქიფო სეთურობისა და ლიპარიტ ბაღვაშობის დრო სამუდამოდ გაიყოლია ე. შევარდნაძის კორუმპირებულმა რეჟიმმა!

საზოგადოებას დღეს ლიდერები სჭირდება და არა უკონტროლო, მოტრაბახე მეთაურები. ამიტომ საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ უნდა შექმნას რეალური ბერკეტები ურჩი ქვეშევრდომის კონტროლისა (ეს მარტო ასლან აბაშიძეს არ ეხება), პირველ რიგში, საერთოდ უნდა გაუქმდეს ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის პოსტი და აღდგეს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა.

ნებისმიერ შემთხვევაში ასლან აბაშიძე ვეღარ მიიღებს მონაწილეობას მომავალ არჩევნებში! გაიგოს ყველამ, რომ ეს არ არის ვინმეს ახირება. იგი ავტონომიურ რესპუბლიკას უკვე ცამეტი წელია ხელმძღვანელობს, რაც მეოთხე ვადის ტოლფასია.

საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას სწორედ მაშინ შეექმნება სერიოზული პრობლემები, თუ ასლან აბაშიძე მეხუთეჯერ დააპირებს წრეზე წასვლას. ასეთ შემთხვევაში მას კანონის სრული დაცვით მკაცრად უნდა მოეთხოვოს პასუხი ყველა კითხვაზე და ასევე კანონის ძალით უნდა შეახსენონ, რომ:

ა) ისარგებლა რა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ალალ-მართლობით და გულუბრყვილობით, ასლან აბაშიძე თავის დროზე აჭარის ა. რ. უმაღლეს ხელისუფლებაში მოვიდა კონსტიტუციის არაერთი დარღვევით ანუ უკანონოდ.

ბ) ასევე უხეშად დაარღვია ასლან აბაშიძემ კონსტიტუცია, როცა გარეკა აჭარის ა. რ. უზენაესი საბჭო და მოახდინა ხელისუფლების უზურპაცია, ბოლოს კი მთავარსარდლადაც მოგვევლინა.

გ) ასლან აბაშიძე აჭარის მოსახლეობას არასდროს არ აურჩევია, იგი არჩევანის წინაშე არასდროს დამდგარა, ვინაიდან ასლან აბაშიძის კანდიდატურა ყოველთვის ერთადერთი იყო. ასეთ პირობებშიც კი ადგილი ჰქონდა არჩევნების გაუგონარ ტოტალურ გაყალბებას, რასაც საარჩევნო კომისიების მაშინდელი წევრებიც ადასტურებენ.

დ) ასლან აბაშიძემ ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებიდან უკანონოდ გააძევა ოპოზიცია და დაამყარა ერთპიროვნული დიქტატურა, რომლის პირობებში გამეფებული კორუფციის მასშტაბებიც სათანადოდ გამოსაძიებელია.

ე) სათანადო სახელი უნდა დაერქვას ნოემბრის ცნობილი მოვლენებისას “აღორძინების” მიერ საქართველოს პარლამენტის შენობაში იარაღის არსენალის შეზიდვას და დამალვას. (უნდა დაფასდეს იმ პიროვნებების ამაგიც, ვინც, როგორც ამბობენ, არ დაემორჩილა ავანტიურას და არ გასცა იარაღის გამოყენების ბრძანება).

ერთი სიტყვით, ასლან აბაშიძის ნათესაურ-კლანური უკონტროლო რეჟიმი ე. შევარდნაძის კორუმპირებული რეჟიმის პირმშოა და დროა რაც შეიძლება უმტკივნეულოდ და უპრობლემოდ გაჰყვეს მას!

**ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ- მასწავლებლები:**
**თამაზ ფუტკარაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი**
**ნუგზარ მგელაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი**
**თემურ ავალიანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი**
**ნაზი მიქელაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი**
**ზებურ ავალიანი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი**
**ჯუმბერ კახიძე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი**
**ალექსანდრე ბათაძე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი**
**ოთარ ცეცხლაძე, უფოსი მასწავლებელი**
**მურმან დუმბაძე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი**
**პაატა აროშიძე, მასწავლებელი**
**მაია თოიძე, მასწავლებელი**
**რუსუდან ნიჟარაძე, უფროსი მასწავლებელი**
**ხათუნა თავდგირიძე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი**
**კახაბერ სურგულაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი**
**მალხაზ სიორიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი**
**ციცინო სარაჯიშვილი, უფროსი მასწავლებელი**
**ნინო მიქელაძე, ლაბორანტი**
**ელგუჯა მაკარაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი**
**ოთარ შაინიძე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი**
**მამია ფაღავა, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი**
**თენგიზ მოისწრაფიშვილი, უფროსი მასწავლებელი**
**ციური ქათამაძე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი**
**ზეინაბ ასანიძე, მასწავლებელი**
**ირმა მექვაბიშვილი, მასწავლებელი**
**მერაბ მეგრელიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი**
**რეზო ქათამაძე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი**
**მედეა ჩარკვიანი, მასწავლებელი**
**გურამ ბახტაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი**
**რამაზ ხალვაში, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი**
**შოთა ჯიჯეიშვილი, ფილოლოგიის**

# როგორ იტაცებდა ერთი კლანი მსხვილ ბიზნესს

პირველი გვერდიდან

**“რედაქციაში მოსვლა პრეზიდენტ შევარდნაძის შვილების მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა გადაგვაწყვეტინა. საქართველოში თუ კი ვინმე ანგრევდა ბიზნესს, ახორციელებდა პოლიტიკურ დევნას და ამ გზით ითვისებდა სხვის ქონებას, ეს იყვნენ ედუარდ შევარდნაძის ოჯახის წევრები და მათი მაფიოზური კლანის წარმომადგენლები, რომლებიც ბიზნესმენთა საქმიანობაში უცერემონიოდ ერეოდნენ, თავიანთ მდგომარეობას იყენებდნენ. სად იყო მაშინ ახლა გადემოკრატებული, ადამიანის უფლებებისა და კანონის დამცველად გამხდარი მანანა შევარდნაძე, როცა მისი ბიძაშვილი ნუგზარ შევარდნაძე სხვების ძარცვა-ტერორით მილიონერი გახდა; რატომ არ იღებდა ხმას მანანა შევარდნაძე, როცა შევარდნაძეების კლანი, ქონების წართმევის მიზნით, ხალხს უკანონოდ იჭერდა,”** – ამ სიტყვების ავტორი ყოფილი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე პაატა გველესიანი გახლავთ. ის და მისი ძმა ზაზა გველესიანი მათი ბიზნესის დანგრევაში და მათ მიმართ განხორციელებულ დევნაში კომპანია “ივერია პლუსის” მფლობელს ნუგზარ შევარდნაძესა და მისი შეკვეთის შემსრულებლებს, შსს-ს მაღალჩინოსნებს ადანაშაულებენ.

საქმე ისაა, რომ ბიზნეს-კონფლიქტი, უფრო ზუსტად, სამოქალაქო დავა, რომელიც 2001 წელს გველესიანებსა და მათ პარტნიორ ირაკლი ქველიძეს შორის დაიწყო, როგორც გველესიანები აცხადებენ, შსს-ს მაღალჩინოსანთა მიერ განხორციელებული პროვოკაციებით, შანტაჟითა და მუქარით გაგრძელდა. საბოლოოდ კი, მოხდა ისე, რომ გველესიანები, რომლებმაც თხილის ბიზნესის აწყობას რამდენიმე წელიწადი მოანდომეს, ერთ საათში გაკოტრებულები აღმოჩნდნენ. მეტიც, ზეპირ მუქარებს ძალოვანებმა ძალის დემონსტრირებაც მიაყოლეს და ჯერ ერთი, ხოლო შემდეგ მეორე ძმა კრიმინალებად გამოაცხადეს. თხილის ბიზნესში ფეხის მოკიდებისთვის წარმოებული ხუთწლიანი საქმიანობა სამწლიანმა სამართლებრივმა დავამ ჩაანაცვლა. გველესიანებმა სამი წლის მანძილზე ყველა სამართალდამცველი ინსტანცია მოიარეს, რათა მათ ირგვლივ აღმართული ბარიერი გადაელახათ. იმ 600-ზე მეტ საჩივარს შორის, რომელიც გველესიანების მიერ სხვადასხვა ინსტანციებში შევიდა, 300-ზე მეტი პრეზიდენტ შევარდნაძის კანცელარიას ჩაბარდა, თუმცა, უშედეგოდ. არადა, ყველა საჩივარში ნათქვამი იყო, რომ: **“2001 წლის 21 აგვისტოდან განვიცდით დევნას, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის კახა თარგამაძის, მისი ყოფილი პირველი მოადგილის ზურა ჩხაიძის, შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკების - დავით კაჭკაჭიშვილის, მისი მოადგილის მალხაზ ლიპარტიას, კახა თარგამაძის მეჯვარის და მეგობრის, მიშა იმედაშვილის მხრიდან, რომლებიც ნუგზარ შევარდნაძის დავალების საფუძველზე მოქმედებდნენ”.**

ყველაფერი ასე დაიწყო. გველესიანებს მათმა ყოფილმა პარტნიორმა ირაკლი ქველიძემ თხილის გადამამუშავებელი ქარხნიდან წილი მოსთხოვა. მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდა და პარტნიორებმა მას 150 ათასი დოლარი გადაუხადეს, რაც იურიდიულად დადასტურებულია კიდეც. მოგვიანებით, ქველიძემ დამატებით 500 ათასი დოლარის გადახდა მოითხოვა და მას შემდეგ, რაც უარი მიიღო, როგორც ძმები გველესიანები ჰყვებიან, 2001 წლის 17 ივნისს ყოფილი პრეზიდენტის ძმისშვილმა ნუგზარ შევარდნაძემ ისინი "საქმის გასარჩევად" მიიწვია. **“საუბარს უძღვებოდა ნუგზარ შევარდნაძე, შეხვედრას ესწრებოდა მისი მეგობარი, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი ამირან კობახიძე. ნუგზარ შევარდნაძესთან "საქმის გარჩევა", დაახლოებით, სამი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა დავინაიდან ქველიძის პრეტენზიების დაკმაყოფილებაზე - 500 ათასი დოლარის გადახდაზე კატეგორიული უარი განვაცხადე, რადგან ის უსაფუძვლო იყო, ჩვენი შეხვედრა დამთავრებულად გამოცხადდა,”** – აცხადებს პაატა გველესიანი.

თუმცა, საქმის გარჩევა 2001 წლის 4 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტროში გაგრძელდა. გველესიანების განცხადებით, ამჯერად - შს მაშინდელი მინისტრის მეგობრის მიშა იმედაშვილის კაბინეტში. **“შეხვედრის დროს მიშა იმედაშვილმა მითხრა, რომ შსს-ს კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს მიერ მომზადებულია განცხადება, რომ იგი მოლაპარაკებულია კახა თარგამაძესთან და თუ მე ქველიძეს 500 ათას აშშ დოლარს არ გადავცემდი, კახა თარგამაძე შსს-ს კორუფციის სამმართველოს მუშაკებს გამომიგზავნიდა, რომლებიც ჩემს საკუთრებაში მაშინ ჯერ კიდევ არსებულ ორგანიზაციებს შეამოწმებდნენ, აღძრავდნენ სისხლის სამართლის საქმეს და დამიჭერდნენ და, ასეთი ზეწოლის შედეგად, მაინც მაიძულებდნენ 500 ათასი დოლარის გადახდას. მანვე მითხრა, რომ კახა თარგამაძესთან და ქველიძესთან შეთანხმებით, დასახელებული თანხა განაწილებული იყო შსს სამინისტროს მაღალჩინოსანთა შორის. შემოთავაზებული წინადადების მიღების შემთხვევაში, 10 ათასი დოლარი წინასწარ უნდა გადაგვეხადა,”** – ჰყვება პაატა გველესიანი, რომლის თქმითაც, იგი არ დათანხმდა. ამის შემდეგ, ფალსიფიცირებული და კანონის დარღვევით მოპოვებული დოკუმენტების გამოყენებით, შსს-ს კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლმა სამმართველომ 2001 წლის 17 აგვისტოს შუამდგომლობით მიმართა ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოს და გველესიანების კომპანიების "მუზა-97"-ისა და "ზელა"-ს შემოწმების ნებართვა მოითხოვა. საქართველოს კანონის - "სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ" – თანახმად, სასამართლომ შუამდგომლობა დააკმაყოფილა, ოღონდ, შემოწმების ჩატარება საგადასახადო ინსპექციას დაევალა. შსს-მ სასამართლოს ბრძანება დაარღვია და 2001 წლის 21 აგვისტოს "მუზა-97"-ის ოფისში თხუთმეტამდე შეიარაღებული პირი შეიჭრა - როგორც შემდეგ გაირკვა, შინაგან საქმეთა სამინისტროს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლები. მათ ბლოკირება გაუკეთეს შ.პ.ს. "მუზა-97"-ის ადმინისტრაციულ შენობას და უკანონო ჩხრეკები ჩაატარეს როგორც ადმინისტრაციული კორპუსის კაბინეტებში, ისე წარმოების მთელ ტერიტორიაზე. ბუღალტერიიდან ამოიღეს და უკანონოდ დალუქეს "მუზა-97"-ის საბუღალტრო-საფინანსო და სხვა სახის დოკუმენტები. შსს-ს ეს უკანონო ქმედება გველესიანებმა ისანი-სამგორის სასამართლოში გაასაჩივრეს. 2001 წლის 3 სექტემბერს სასამართლომ შსს-ს მოქმედება უფლებებისა და თავისუფლებების უკანონო შეზღუდვად ცნო და მათ მიერ უკანონოდ ამოღებული საფინანსო და სხვა დოკუმენტების უკან დაბრუნების გადაწყვეტილებაც გამოიტანა, რაც მხოლოდ სასამართლო აღმასრულებლის ჩარევის შემდეგ მოხერხდა. **“ამის შემდეგ ულტიმატუმები მაინც არ წყდებოდა. როგორც მეუბნებოდნენ, ან ნახევარი მილიონი დოლარი უნდა გადამეხადა ან დაჭერის საბაბს მომიძებნიდნენ,”** – ამბობს პაატა გველესიანი.

ამ რევიზიიდან ცოტა ხანში საქმე მართლაც აღიძრა. ამჯერადაც საქმე შსს-ს ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველომ აღძრა და ზაზა გველესიანი საბაჟო წესების დარღვევაში დაადანაშაულა. თუმცა, გველესიანების კონტრარგუმენტები გენერალურმა პროკურატურამ განიხილა და აღძრული საქმე შეწყვიტა, როგორც დადგენილებაში წერია, “დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო”. მალე კიდევ ერთი საქმე აღიძრა - გველესიანების სამემკვიდრეო ქონების შპს “სასტუმრო მუზის” მიერ შემოტანილი თხილის გადამამუშავებელი მანქანა-დანადგარების კონტრაბანდის ფაქტზე. საქმე კვლავ ზაზა გველესიანის წინააღმდეგ აღიძრა. გველესიანის საჩივარი გენერალურმა პროკურატურამ კვლავ შეისწავლა და ზაზა გველესიანი ამჯერადაც გაამართლა – დანაშაულის არარსებობის გამო, საქმის შეწყვეტის დადგენილება გამოიტანა.

ამის პარალელურად, “მუზა-97”-ში საგადასახადო ინსპექცია შევიდა და ფინანსური რევიზიის ჩატარება დაიწყო. პაატა გველესიანი აცხადებს, რომ ამ რევიზიის ავტორი კვლავ შსს-ს მაღალჩინოსნები იყვნენ. საგადასახადო ინსპექციამ შპს-ში ექვსი წლის წინანდელ დარღვევას მიაგნო და მორიგი საქმე აღიძრა – ამჯერად, გადასახადების დამალვაში პაატა გველესიანი დაადანაშაულეს. საუბარი იყო 1997 წელს “შპს “სასტუმრო მუზის” მიერ დაფუძნებულ “მუზა-97”-ისთვის ბალანსიდან ბალანსზე უძრავი ქონების გადაცემაზე, რაც დღგ-თი დასაბეგრ ოპერაციად ჩაითვალა. გველესიანების მიერ დამალულმა გადასახადმა ანუ, ბიუჯეტისთვის მიყენებულმა ზარალმა კი 53 ათას ლარს მიაღწია. არადა, პაატა გველესიანის განცხადებით, 1997 წელს ის საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე იყო და სამეწარმეო საქმიანობით დაკავებული არ ყოფილა. ვაკე-საბურთალოს სასამართლომ პაატა გველესიანის დაპატიმრების სანქცია გასცა და იგი საერთაშორისო ძებნილადაც გამოცხადდა, რადგან ამ სადამსჯელო ღონისძიების შესახებ გველესიანებს შეატყობინეს და ორივე ძმა იძულებული გახდა, თავი გერმანიისთვის შეეფარებინა. გველესიანები სიმართლის ძებნას გერმანიიდან ცდილობდნენ და იმ შედეგს მიაღწიეს, რომ პაატა გველესიანის ძებნა შეწყდა. თუმცა, საქმის გამოძიება დღესაც მიმდინარეობს. ოღონდ, თავად ბრალდებულის მოთხოვნით, საქმის ძიების უფლება თბილისის პროკურატურას, როგორც დაინტერესებულ მხარეს ჩამოერთვა და შიდა ქართლის პროკურატურას გადაეცა. საქმის გამოძიება გაიწელა, რადგან მხოლოდ 9 თვე ექსპერტიზის ჩატარებას დასჭირდა და კვალიფიციური პასუხი ვერ გაკეთდა. საქმე ისაა, რომ სამი სხვადასხვა შემადგენლობის კომისიის მიერ სამი სხვადასხვა შინაარსის დასკვნა დაიწერა და ექსპერტებმა სადავოდ გამხდარ საკითხს საბოლოო პასუხი ჯერ კიდევ ვერ გასცეს.

თუმცა, გველესიანების ისტორია ამით არ ამოწურულა. საქართველოში დაბრუნებულ გველესიანს ერთი ახალი საქმეც აღუძრეს – იგი თაღლითური გზით 18 ათასი ლარის მითვისებაში დაადანაშაულეს. პაატა გველესიანი კარგა ხანს დადიოდა ინსტანციიდან ინსტანციაში, საკუთარი სიმართლის დამტკიცებას ცდილობდა და საბოლოოდ იგი მართლაც გამართლდა. სასამართლომ დანაშაულის არარსებობის გამო თბილისის პროკურატურის მიერ აღძრული საქმე შეწყვიტა.

ამ სამწლიანი თავდასხმების მოგერიებისას, ბიზნესის კეთების საშუალება გველესიანებს, რა თქმა უნდა, აღარ ჰქონდათ. შესაბამისად, აწყობილი საქმე – თხილის ბიზნესი – დაინგრა. ხოლო ევროპაში გახსნილი არხები, რის საფუძველზეც საქართველოდან გატანილ თხილს ევროპაში ბაზარი ეხსნებოდა, დაიკეტა. გველესიანების ქონება კი ბანკ “რესპუბლიკის” საკუთრებაში გადავიდა. საქმე ისაა, რომ ძმებმა გველესიანებმა მათ ხელთ არსებული ქონების გარანტად ჩადების სანაცვლოდ, ბანკ “რესპუბლიკიდან”, რომელიც სულხან პაპაშვილის ძმის საკუთრება გახლდათ, კრედიტი აიღეს. მათ ირგვლივ განვითარებული მოვლენების გამო კი, ბიზნესის კეთება ვეღარ განახორციელეს. გველესიანებს ჩამოართვეს მემკვიდრეობით მიღებული სასტუმრო “მუზა”, თხილის გადამამუშავებელი ქარხანა და სატრანსპორტო საშუალებები. გველესიანებისთვის მიყენებული მატერიალური ზარალი 3 მილიონ დოლარს ბევრად სცილდება, მორალურ ზარალზე გველესიანები აღარ საუბრობენ. ამიტომაც, გენერალურ პროკურატურაში პაატა და ზაზა გველესიანების განცხადება ცოტა ხნის წინ შევიდა.

**“2001 წლიდან დღემდე გენერალურ პროკურატურაში 80 საჩივარი შევიტანე, 10 - შინაგან საქმეთა სამინისტროში და მხოლოდ ორი წლის შემდეგ, 2003 წლის 18 ივლისს მივიღე ერთადერთი პასუხი, გენერალური პროკურორის მოადგილე თვალავაძისგან, რომელმაც მაცნობა, რომ თურმე, პოლიციის მუშაკების მიერ ჩვენს მიმართ განხორციელებული უკანონო მოქმედებები არ დადასტურდა.**

**ჩვენს ახლანდელ საჩივარში ვითხოვთ ყველა იმ პირის პასუხისგებაში მიცემას, რომლებმაც ამხელა დარტყმა მოგვაყენეს. საუბარია შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელ პირებზე, რომლებიც მისი ყოფილი უფროსის კახა თარგამაძის დავალებით, ნახევარ მილიონ დოლარს გვძალავდნენ და როდესაც ეს თანხა ვერ მიიღეს, ორგანიზება გაუკეთეს ჩვენს მიმართ სისხლის სამართლის საქმის უკანონოდ აღძვრას,”** – აცხადებენ ძმები გველესიანები, რომელთა საქმის გამოძიებაც გენერალური პროკურორის ირაკლი ოქრუაშვილის რეზოლუციით უკვე დაიწყო და რომლის შესახებაც ძმებმა გველესიანებმა გენერალური პროკურატურის გამომძიებელს უკვე ახსნა-განმარტებები ჩააბარეს.

გარდა ამისა, ზაზა გველესიანმა შსს-ს მაღალჩინოსნების წინააღმდეგ თბილისის საოლქო სასამართლოს სარჩელით მიმართა და მათ მიერ მისთვის მიყენებული მორალური და მატერიალური ზარალის ანაზღაურება მოითხოვა. შსს-ს მაღალჩინოსნებისთვის დაკისრებული ზიანის ანაზღაურება - 600 ათას ლარი, ზაზა გველესიანის გადაწყვეტილებით, საპენსიო ფონდში გადაირიცხება. სასამართლო პროცესი 9 მარტს ჩატარდება და კითხვებზე პასუხის გაცემა შსს-ს ეკონომიკური დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროსის მოადგილეს მალხაზ ლიპარტიას მოუწევს.

**“ჩვენ გაგვანადგურეს იმის გამო, რომ მაშინ არსებული ტრადიციის მიხედვით, ნუგზარ შევარდნაძეს, რომელიც ყველა მსხვილი ბიზნესიდან წილს იღებდა, მოთხოვნილი თანხა არ გადავუხადეთ. ყველასთვის ცნობილი ფაქტია: შევარდნაძის ოჯახის წევრები უცერემონიოდ ერეოდნენ ნებისმიერი ბიზნესმენის საქმიანობაში, ხოლო თუ ვინმე გაბედავდა და მათ წინააღმდეგ ხმას ამოიღებდა, ურჩების “ჭკუაზე მოსაყვანად” კახა თარგამაძე და მისი უწყება ჰყავდათ. თუ მისი ძალითაც ვერაფერს გახდებოდნენ, შევარდნაძეების კლანის ქონების დამცველი და მათი საბანკო ოპერაციების მწარმოებელი სულხან პაპაშვილი ბანკ “რესპუბლიკის” სახითაც მზადყოფნაში იყო,”** – აცხადებენ ძმები გველესიანები, რომელთაც გენერალური პროკურორის ირაკლი ოქრუაშვილის დიდი იმედი აქვთ.

როგორც ჩანს, გენერალურ პროკურატურას უახლოეს პერიოდში ახალი ხმაურიანი საქმის გახსნა მოუწევს. დაიდება თუ არა გენერალურ პროკურატურაში ახალი საქმე – ნუგზარ შევარდნაძის საქმე, ამას უახლოეს ხანებში ვნახავთ.



ძმები გველესიანები შსს-ს მაღალჩინოსნებს უჩივიან.

# პროკურატურა გუბერნატორისა და გამგებლის ურთიერთობებით ინტერესდება

ხათუნა ჯანგირაშვილი

**“კონკრეტულად არაფერი უკითხავთ, ზოგადი კითხვები დამისვეს, ძირითადად, ჩემი და ლევან მამალაძის ურთიერთობებით დაინტერესდნენ”,** - ეს განცხადება გუშინ, თბილისის პროკურატურაში, დაახლოებით, საათნახევრიანი დაკითხვის შემდეგ გააკეთა ბოლნისის ყოფილმა გამგებელმა ზურაბ ჯაფარიძემ.

ზურაბ ჯაფარიძე დაკითხვაზე ქალაქის პროკურორის ვალერი გრიგალაშვილის სატელეფონო გამოძახების საფუძველზე მივიდა.

შეგახსენებთ, ეს ის ზურაბ ჯაფარიძე გახლავთ, რომელიც ბოლნისის გამგებლად ქვემო ქართლის ყოფილმა გუბერნატორმა, ამჟამად ძებნილმა ლევან მამალაძემ დანიშნა და რომლის სახელიც 2 ნოემბრის არჩევნების დროს, ნაციონალებსა და ლევან მამალაძის მხარდამჭერებს შორის ბოლნისში მომხდარი გაწევ-გამოწევისას ფიგურირებდა. ზურაბ ჯაფარიძემ ბოლნისის გამგებლის თანამდებობა ვარდების რევოლუციის შემდეგ დატოვა.

ყოფილი გამგებელი გუშინწინ პროკურატურამ ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის ლევან მამალაძის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის სტატუსით დაკითხა. შეგახსენებთ, ლევან მამალაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე ქრთამის გამოძალვის ბრალდებით არის აღძრული, რომლის საფუძველზეც გაცემულია მამალაძის დაპატიმრების ბრძანება და გამოცხადებულია ძებნა.

**“დარწმუნებული ვარ, რომ არაფერი კანონსაწინააღმდეგო არ ჩამიდენია და დაკითხვაზეც ადვოკატის გარეშე ამიტომ გამოვცხადდი”,** - აცხადებს ზურაბ ჯაფარიძე. მან გუშინ გაიგო, რომ მის მიმართ გამოძიებას კვლავ ექნება შეკითხვები და კიდევ მოუწევს პროკურატურაში დაკითხვაზე გამოცხადება.

როდის, როგორ და რა ვითარებაში გაიცნო ზურაბ ჯაფარიძემ ლევან მამალაძე და როგორ მოხდა მისი ბოლნისის გამგებლის თანამდებობაზე დანიშვნა – ეს ის ძირითადი კითხვები გახლავთ, რომელიც (როგორც დაკითხული და დამკითხველები ჩვენთან საუბარში აცხადებდნენ) გუშინ დაუსვეს ზურაბ ჯაფარიძეს.

ჩვენი ინფორმაციით, გამოძიება ჯაფარიძისა და მამალაძის ბიზნესურთიერთობით არის დაინტერესებული და ჯაფარიძეს უმოკლეს ხანში უამრავ შეკითხვაზე მოუწევს დეტალური პასუხების გაცემა.

**“მამალაძის საქმეში, რომლის საფუძველზეც ის ძებნილად არის გამოცხადებული, უამრავი დეტალია და მრავალ ეპიზოდს მოიცავს. მამალაძისა და ჯაფარიძის საქმიანობის გზები ერთმანეთს კვეთს, მათ საქმიანობაში საერთო შეხების წერტილებია. ჯაფარიძემ დასმულ კითხვებს ნახევრად პატიოსნად უპასუხა, ანუ ზოგიერთ კითხვას გულწრფელი პასუხი გასცა, ზოგიერთს - თავი აარიდა. რა ვკითხეთ და რა გვიპასუხა, ეს საკითხი კონფიდენციალურია”,** - განაცხადა “24 საათთან” საუბრისას თბილისის პროკურორმა ვალერი გრიგალაშვილმა. ის რამდენიმე დღეში ზურაბ ჯაფარიძეს კიდევ დაიბარებს დაკითხვაზე და მისგან გულწრფელი პასუხების მიღების იმედი აქვს.



ზურაბ ჯაფარიძეს პროკურატურაში მისვლა კიდევ მოუწევს.

# წარუდგინეს თუ არა ბრალი პოლიციის მაღალჩინოსნებს?

*გუშინ გენერალურ პროკურატურაში საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს ყოფილ უფროსს დავით კობახიძესა და შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილ მოადგილეს დავით თოდუას განმეორებით კიდევ რამდენიმე საათის განმავლობაში ჰკითხავდნენ. დაკითხვიდან გამოსულმა თოდუამ და კობახიძემ (ისევე, როგორც მათმა ადვოკატებმა) ისე დატოვეს გენერალური პროკურატურის ტერიტორია, ჟურნალისტებთან კომენტარი არ გაუკეთებიათ.*

ორი დღის წინათ გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი აცხადებდა, რომ დავით თოდუასა და დავით კობახიძეს გამოძიება ბრალს ორ დღეში წარუდგენდა. მართლაც, წაუყენეს თუ არა ბრალი გუშინდელი დაკითხვისას გამომძიებლებმა თოდუასა და კობახიძეს, ეს თავად დაკითხულებს გუშინ არ გაუმჟღავნებიათ. ამ კითხვაზე პასუხი პროკურატურის წარმომადგენლებისგანაც ვერ შევიტყვეთ. “მკაცრი მითითება გვაქვს, კომენტარები უფლების მიღების გარეშე არ გავაკეთოთ”, - ასეთ პასუხს აძლევდნენ “24 საათს” გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფის წევრები.

ერთი სიტყვით, მიმართავს თუ არა გენერალური პროკურატურა სასამართლოს შუამდგომლობით თოდუასა და კობახიძისთვის აღმკვეთი ღონისძიების თაობაზე, გუშინ უცნობი დარჩა. თოდუა-კობახიძისთვის ბრალის წარდგენა-არწარდგენის ფაქტი გასაიდუმლოებული აღმოჩნდა. არადა, იმას, რომ პოლიციის ორივე მაღალჩინოსანი პროკურატურაში ბრალის წარსადგენად უნდა გამოცხადებულიყო, რამდენიმე დღის წინ უკეთდებოდა აფიშირება.

გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი ორი დღის წინ არ გამორიცხავდა საგზაო პოლიციის რამდენიმე თანამდებობის პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას. შეგახსენებთ, სისხლის სამართლის საქმე, რომელთან დაკავშირებითაც თოდუა და კობახიძე დაკითხეს, ავტომანქანების უკანონო განბაჟებას ეხება. საუბარია 15 ათასი ავტომობილის უკანონო განბაჟებაზე, რომლითაც ბიუჯეტს 287 ათასი ლარის მატერიალური ზარალი მიადგა.

შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი ბარამიძე, ჯერჯერობით, არ ასახელებს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოსა და საპასპორტო სავიზო სარეგისტრაციო სამსახურების ყოფილი უფროსების - შალვა ოგბაიძისა და დავით თოდუას შემცვლელთა ვინაობას. “ეს საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის”, - ასეთ კომენტარებს აკეთებდა გუშინ გიორგი ბარამიძე. ბარამიძე გამორიცხავს ავტომანქანების უკანონო განბაჟების საქმეზე ოგბაიძის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას და აცხადებს, რომ ოგბაიძემ თანამდებობა პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა.

*24 საათი*

# მკვლელების დაპატიმრებამდე დაღუპულ ქალს არ კრძალავენ

*გუშინ დილიდან ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალკახათის მოსახლეობამ ზუგდიდი-ანაკლიის საავტომობილო გზა და ზუგდიდი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალი გადაკეტა. მათ პროტესტს ის ფაქტი იწვევს, რომ 28 თებერვალს ყაჩაღური თავდასხმისას მომხდარი ელისო ქირიას მკვლელობა სამართალდამცველებს ჯერ არ გაუხსნიათ და, შესაბამისად, არც მკვლელები დაუპატიმრებიათ.*

როგორც ცნობილია, ტრაგიკული ინციდენტი 28 თებერვალს, ღამით მოხდა. ავტომატებით შეიარაღებულმა ხუთმა ნიღბიანმა ბოროტმოქმედმა მოტყუებით შეაღწია ფაჟავების საცხოვრებელ სახლში. ოჯახის უფროსმა ზურაბ ფაჟავამ თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწია, რასაც ყაჩაღებმა სროლის დაწყებით უპასუხეს. რამდენიმე წუთიანი შეუჩერებელი სროლის შედეგად სასიკვდილოდ დაიჭრა ოჯახის დიასახლისი ელისო ქირია. ის ადგილზევე გარდაიცვალა. ამის შემდეგ თავდამსხმელებმა სროლითვე უკან დაიხიეს და მიიმალნენ.

თვითმხილველთა განცხადებით, ბოროტმოქმედები ყუმბარმტყორცნითაც იყვნენ შეიარაღებულნი. პოლიციის ვარაუდით, ყაჩაღები ფაჟავების ოჯახს თხილის მარაგის წასაღებად დაესხნენ თავს. მართლაც, სიკვდილს გადარჩენილი ოჯახის უფროსი ზურაბ ფაჟავა აცხადებდა, რომ სახლში 500 კილოგრამამდე თხილს ინახავდა.

ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს ინფორმაციით, ისინი ბოროტმოქმედების ძებნას შემთხვევის ღამესვე შეუდგნენ, თუმცა კი, ყაჩაღების კვალმა ისინი აფხაზი სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებამდე მიიყვანა. მიუხედავად ამისა, სამართალდამცველები ირწმუნებიან, რომ არც ერთი თავდამსხმელი ეროვნებით აფხაზი ან აფხაზეთის მკვიდრი არ იყო. მათი ვარაუდით, თავდამსხმელები შარშან, გაზაფხულზე, საქართველოს ციხეებიდან გახშირებული გაქცევებისას გისოსებს თავდაღწეული პატიმრები უნდა იყვნენ, რომლებიც ამჯერად თავს აფარებენ აფხაზეთის ტერიტორიას. სამეგრელოს პოლიცია მათ შესახებ მეტი ინფორმაციის მოპოვებას ჭუბურხინჯის ტრადიციულ ოთხმხრივ შეხვედრაზე გეგმავს, რომელიც ხუთშაბათს გაიმართება. შეხვედრაზე ქართული მხარე დამნაშავეთა დაკავებას მოითხოვს.

დაღუპული ახალგაზრდა ქალის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს კი მოცდა აღარ სურთ. გუშინ ისინი სამართალდამცველებისგან მკვლელობის სასწრაფო გამოძიებას ითხოვდნენ. გარდაცვლილის მეუღლის ზურაბ ფაჟავას განცხადებით, პოლიციას უკვე გააჩნია ინფორმაცია ეჭვმიტანილების შესახებ, თუმცა მათი დაკავება ჭიანურდება.

საპროტესტო აქციაზე მისულმა ზუგდიდის პოლიციის უფროსმა კახა რაფავამ თავდამსხმელთა დასაკავებლად რამდენიმე დღე ითხოვა, რამაც აქციის მონაწილეთა უკმაყოფილება გამოიწვია. მიუხედავად ამისა, ისინი რამდენიმე საათში დაიშალნენ. ზურაბ ფაჟავა აპირებს, სამეგრელოში უკვე არაერთხელ აპრობირებულ პროტესტის ფორმას მიმართოს და აცხადებს, რომ მეუღლეს მანამდე არ დაასაფლავებს, სანამ მკვლელებს არ დააკავებენ. მისივე თქმით, საპროტესტო აქცია შეიძლება ხვალ ან ზეგ ზუგდიდში გაგრძელდეს. გარდაცვლილის მეუღლე არ გამორიცხავს ასევე ცხედრის გადასვენებას ზუგდიდში, სამხარეო ადმინისტრაციის ან ქალაქის გამგეობის შენობასთან.

*24 საათი*

# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

## აფხაზურ კლუბში



დისკუსია "აფხაზურ კლუბში".

გასულ ოთხშაბათს "აფხაზურ კლუბში" მორიგი დისკუსია გაიმართა თემაზე – აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების არჩევნები. კლუბში მოწვეულნი იყვნენ სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების დარგში გოგა ხაინდრავა, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლონდერ ცაავა და პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი აფხაზეთიდან გივი ლომინაძე. დისკუსიას დაესწრნენ ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის - "შერიგების რესურსების" კოორდინატორი საქართველოში პაატა ზაქარეიშვილი, საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი კონსტანტინე ჟღენტი, საქართველოში უკრაინის საელჩოს მრჩეველი სერგეი გერმანი და აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სიახლე იყო პაატა ზაქარეიშვილის წინადადება, რომლის მიხედვით პოლიტიკურად და სამართლებრივად სწორი იქნება, თუ აფხაზეთის დეპუტაციისთვის გათვალისწინებულ ადგილებს საქართველოს პარლამენტში ცარიელს დავტოვებთ. სახელმწიფო კი გამოაცხადებს, რომ ეს ადგილები მხოლოდ მაშინ შეივსება, როცა პარლამენტის არჩევნები აფხაზეთის ტერიტორიაზეც ჩატარდება და მასში მონაწილეობას აფხაზებიც მიიღებენ. ეს ის შემთხვევაა, როცა ცარიელი სკამები უფრო ბევრს ნიშნავს, ვიდრე შევსებულიო, - აღნიშნა ზაქარეიშვილმა.

დღეს 14 საათზე "24 საათის" რედაქციაში "აფხაზურ კლუბში" მოწვეულები არიან: ბრიტანული ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" ხელმძღვანელი ჯონათან კოენი, გაერო-ს წარმომადგენელი აფხაზეთის საკითხებში ჰაიდი ტალიავინი, აშშ-ს საელჩოს წარმომადგენლები და სხვები, რომლებიც აფხაზეთის საკითხში საერთაშორისო ორგანიზაციების როლზე ისაუბრებენ.

*24 საათი*

## მოხუცი აფხაზის ვარდები მიხეილ სააკაშვილისთვის

*ფსოუში, თურმე, ცხოვრობს ერთი მოხუცი აფხაზი, რომელიც ამბობს, რომ მოუთმენლად ელოდება აფხაზეთში საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის შესვლას, რათა ვარდებით დახვდეს. ეს ამბავი საზოგადოება "სამურზაყანოს" თავმჯდომარემ ბატონმა მურმან ყოლბაიამ გვითხრა. იგი სულ ახლახან დაბრუნდა გალიდან.*

ზაზა ფაჩუაშვილი



*მურმან ყოლბაია*

**- ბატონო მურმან, რა მდგომარეობაა გალის რაიონში?**

- გალის რაიონში დღეს, როგორც არასდროს, ისეა გააქტიურებული კრიმინალური ძალები. ბოლო 10 წლის მანძილზე ასეთი მძიმე ვითარება არასოდეს ყოფილა.

ბეგარითა და გადასახადებით ხალხი უზომოდაა შევიწროებული. სამი კრიმინალური ჯგუფი მოქმედებს. მათ დანაწილებული აქვთ გალის ტერიტორია, გავლენის სფეროები და ხალხისგან არნახულ გადასახადებს ითხოვენ. ამას ემატება გალის განათლების განყოფილების გამგის, ქალბატონი ალუმას თვითნებობა, რომელიც კატეგორიულად კრძალავს ქართულ ენაზე სწავლებას. აღარაფერს ვამბობ იმ შემზარავ ფაქტზე, რომ თუ გალში ვინმე სამაგალითო ახალგაზრდა ქართველი გამოჩნდა, რომელიც ხალხში ავტორიტეტს მოიპოვებს, კრიმინალები მას საჯაროდ კლავენ, ყოველგვარი მიზეზის გარეშე. 22 ასეთი შემთხვევა იყო.

**- რა გადასახადებზეა საუბარი?**

- ადრე ნატურით მიჰქონდათ, ახლა ფულს ითხოვენ, თანაც პროდუქტის უმაღლესი შეფასებით. გადასახადის დაკისრება ხდება თითოეული ძირი თხილისა თუ მანდარინის მიხედვით; მაგრამ ამას "ვინღა ჩივის", როცა ზემო სოფლებში (ღუმორიში, ოქუმი, რეჩხი, პირველი გალი და სხვა), ვისაც პლანტაციები არა აქვთ, მაინც სთხოვენ გარკვეულ გადასახადს, მაგალითად 100 კილო თხილის საფასურს, რაც იქაური მაცხოვრებლისთვის საკმაოდ სოლიდური თანხაა.

**- მაინც რამ განაპირობა კრიმინალთა ასეთი გააქტიურება?**

- როგორც ხალხი ვარაუდობს, კრიმინალებმა იგრძნეს, რომ მათი თარეშის აღსასრული ახლოვდება და მაქსიმალურად ცდილობენ დიდი ნადავლის ამოღებას. ყოველივე ეს ქმნის მორიგი, მეხუთე წმენდის საშიშროებას, რათა კიდევ ერთხელ საფუძვლიანად გაძარცვონ სახლები და წაასხან საქონელი. ეს ვითარება აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ახალმა ხელისუფლებამ და შესაბამისი ზომები დროულად მიიღოს.

აქვე მინდა მათ გასაგონად ვთქვა, რომ უკვე მერამდენედ ვნახე, გალში როგორ უკეთებდნენ ქართულ ნომრებს დიდ ცისტერნებს, რათა ზუგდიდში კონტრაბანდული ბენზინი შემოეტანათ.

**- ამასთან დაკავშირებით როგორია სოხუმის ხელისუფლების პოზიცია?**

- რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ამ ძალების წინაშე სოხუმის ხელისუფლება უძლურია (კრიმინალებს მხოლოდ პარტიზანების ეშინოდათ, მაგრამ, მოგეხსენებათ, რომ 1998 წლის გალის ავანტიურის შედეგად პარტიზანული მოძრაობა დაიშალა).

ოფიციალური გადასახადიც არსებობს, რომელიც 2 ლარი იყო და 7 ლარამდე გაზარდეს. ენგურის ხიდზე პატარა ხელჩანთასაც კი ვერ გადაიტან, თუ არ გადაიხადე.

**- გალის რაიონში თუ ცხოვრობენ აფხაზები და როგორი ურთიერთობა აქვთ მათ ქართველებთან?**

- გალის რაიონში ერთი სოფელია, სადაც აფხაზები ცხოვრობენ და მათ ქართველებთან ჩვეულებრივი კეთილმეზობლური დამოკიდებულება აქვთ. უფრო მეტიც, აფხაზები ნატრობენ ძველ დროს და იმ ურთიერთობების აღდგენას, რაც ომამდე იყო.

**- თქვენ თვითონ თუ ელაპარაკეთ აფხაზებს ამის თაობაზე?**

- კი, აფხაზებთანაც მქონდა საუბარი. რამდენიმე მაგალითს გეტყვით. ერთხელ გალიდან ვბრუნდებოდი. გზაში მანქანა დამეწია. მძღოლმა გამიჩერა და მიმიპატიჟა. აფხაზური კილო ჰქონდა. უკან ახალგაზრდა ქალი იჯდა და ტიროდა. ცოტა გავიარეთ და იმ აფხაზმა გემრიელად შეაგინა თავის ხელისუფლებასაც და ჩვენსასაც (ეს "ვარდების რევოლუციამდე" იყო). მერე მითხრა, მე ტყვარჩელელი აფხაზი ვარო, ეს ჩემი და არის, თბილისშია გათხოვილიო და 9 წელია, არ მინახავსო. მოკლედ, მისი თქმით, ტყვარჩელელ აფხაზებს ერთი სული აქვთ, როდის დაბრუნდებიან ქართველები და ძველებური ცხოვრება დაიწყება.

პირდაპირ მითხრა: ჩვენ ისევ თბილისმა უნდა გვიპატრონოს, თორემ გადავშენდებითო. ის კაცი გვარად არგუნი იყო. სწავლება რუსულ ენაზე ყოფილა, დღე არ გავა, ვინმე არ დააყაჩაღონო, - გამწარებული იყო კაცი.

გალში შევხვდი ერთ ქართველს, რომელიც მოსკოვიდან ფსოუს გავლით ბრუნდებოდა და ღამის გათევა ფსოუში მოუწია. თურმე, ძალიან კარგად გაუმასპინძლდნენ აფხაზურ ოჯახში და მეორე დღეს ფულიც არ გამოართვეს. ოჯახის უფროს კი უთქვამს: დადგება, შვილო, დრო, როცა გვეშველება თქვენც და ჩვენც. მე ვარდები მაქვს მომზადებული და ველოდები სააკაშვილის შემოსვლას, რომ ვარდებით დავხვდე.

ამას წინათ, ვაგზლის ტერიტორიაზე ჩვენთან მოვიდა კაცი და დამტვრეული მეგრულით გვეკითხება: ვინ ხართ, თქვენ შემოგევლეთო, მე სოხუმელი ყოლბაია ვაროო. ასე მოულოდნელად შევხვდი თბილისში აფხაზ მოგვარეს. დავსხედით, ვისაუბრეთ. მიცვალებული გადმოუსვენებიათ და იმას გამოჰყოლია. ჩვენ დიდი ხანია მივედით იმ დასკვნამდე, რომ ერთად უნდა ვიცხოვროთო. მისი თქმით, ის ხალხი, ვინც ჩვენს შერიგებას ხელს უშლის, ენგურს გამოღმა უფრო იყო, ვიდრე გაღმა. და მე ვეთანხმები მას.

აქვე გიამბობთ სოხუმში მცხოვრები ქართველი ქალების მონაყოლს, რომლებიც სოხუმში მშვიდობის პროსპექტზე მეგრულად ლაპარაკისთვის დაუკავებია ერთ პოლიციელს და განყოფილებაში მიუყვანია. უფროსი გადარეულა და ის პოლიციელი უშვერი სიტყვებით უგინებია: ეს ის ხალხია, ვინც აქ ცხოვრობდა და იცხოვრებსო, შენ კი ისევ იმ მთებში გისვრი, საიდანაც ჩამოეთრიეო.

ასეთია რიგითი აფხაზების აზრი, რომლებიც თავადაც შევიწროებულნი არიან. რა თქმა უნდა, ასე არ ფიქრობენ სოხუმის ხელისუფლებაში, მაგრამ ისინი საზოგადოების მცირერიცხოვან ნაწილს წარმოადგენენ.

სხვათა შორის, მათ არც ზოგიერთი ჩინოვნიკი ჩამოუვარდება. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ზუგდიდში ვსტუმრობდით ერთი პატივცემული პიროვნების ოჯახში, სადაც ორი საათის განმავლობაში სამჯერ დარეკა ერთმა აფხაზმა ჩინოვნიკმა და სამივეჯერ ერთი და იგივე კითხვა დაგვისვა – "что с нами будет?"

ჩვენ დავამშვიდეთ და ვუთხარით, რომ ცუდი არაფერი მოხდება და ყველაფერი ისე იქნება, როგორც მას გაუხარდება. ვიცი, რომ იგი ქართველების დაბრუნების მომხრეა.

**- თქვენი მონაყოლიდან ჩანს, რომ შერიგების პერსპექტივა აღარ უნდა იყოს ძალიან შორეული.**

- ჩვენ, როცა საზოგადოება "სამურზაყანო" ჩამოვაყალიბეთ, აფხაზებთან კონტაქტები გვქონდა და ვამბობდით, რომ ჩვენმა თაობამ აფხაზეთის მოუგვარებელი პრობლემა მომავალ თაობებს არ უნდა დაუტოვოს. აქვე ვამბობთ, რომ ჩვენ ომს გამოვრიცხავთ, მაგრამ ყოველნაირად დავეხმარებით სოხუმის ხელისუფლებასთან ოპოზიციაში მყოფ საღად მოაზროვნე ძალებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ქართველებმა და აფხაზებმა კვლავაც ერთად უნდა ვიცხოვროთ აფხაზეთში. ბოლოს და ბოლოს, ნათესაურ კავშირებს რომ თავი დავანებოთ, რა ვუყოთ იმას, რომ ჩვენ ერთი და იგივე გვარის ხალხი, ზოგი ქართველები ვართ, ზოგი - აფხაზები. სწორედ ამიტომ არის ომი გამორიცხული, შერიგება კი – გარდაუვალი.

### ცხოვრებისეული ისტორიები

## ჩემი უახლოესი მეგობარი აფხაზი იყო

მე სოხუმელი ვარ. ქალაქის პირველ აფთიაქში ვმუშაობდი. ჩვენი კოლექტივი საკმაოდ მრავალრიცხოვანი და ინტერნაციონალური იყო: ორმოცდარვა ქალი ვიყავით და ერთი მამაკაცი გვყავდა – აფთიაქის უფროსი. ერთად, მეგობრულად ვცხოვრობდით აფხაზები, სომხები, რუსები და ქართველები. მე ყველასთან კარგი ურთიერთობა მქონდა, თუმცა, უნდა ვთქვა - ჩემი უახლოესი მეგობარი აფხაზი იყო.

ერთხელ ორი ახალი თანამშრომელი მივიღეთ: ქალ–ვაჟი. ისინი ძალიან მალე დაგვიმეგობრდნენ. მერე მათ ერთმანეთი შეუყვარდათ და დაქორწინდნენ. ყველაფერი მშვენივრად იყო, ვიდრე აფხაზეთში ცნობილი მოვლენები არ განვითარდა. ოთხმოცდაათიანი წლებიდან ურთიერთობები ცოტათი დაიძაბა... მერე ომი იყო... ჯერ მათ, აფხაზებმა დატოვეს სოხუმი, ჩემი ახლობელი ახალგაზრდა ცოლ-ქმარიც იძულებული გახდა, აფხაზეთიდან წასულიყო. ისინი, როგორც გავიგე, მოსკოვში გადავიდნენ საცხოვრებლად.... მერე უკვე ჩვენ – ქართველები გამოგვყარეს აფხაზეთიდან...

მეც დავტოვე სოხუმი.

აფხაზეთიდან წამოსვლის შემდეგ, იმავე წელს, მოსკოვში მომიხდა წასვლა ერთი გარემოების გამო – საკუთარი ბიზნესი წამოვიწყე და აფთიაქი გავხსენი. მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა საბითუმო ბაზები, ამიტომ იძულებული ვიყავი მოსკოვში წავსულიყავი წამლების ჩამოსატანად. იქ ძალიან ბევრი ნაცნობი და ახლობელი რუსი მყავდა და მათი დახმარების იმედი მქონდა. იმათთან ჩავედი სტუმრად.

ერთ მშვენიერ დღეს, ვზივარ მოსკოვის მეტროში და ჩემს პირდაპირ მჯდომ შუახნის მამაკაცში ჩემი აფხაზი მეგობრის ბიძა შევიცანი. მანაც დამინახა და მიცნო. რა თქმა უნდა, გამოველაპარაკეთ ერთმანეთს. მისგან გავიგე, რომ ჩემი მეგობარი – ლიკა თავის მეუღლესთან ერთად აფთიაქში მუშაობს, კარგად ცხოვრობს. ალბათ, ძალიან გაუხარდება შენი ნახვაო, – მითხრა ბიძამ. მინდა შევნიშნო, რომ ჩვენი შეხვედრა მოხდა ომის დამთავრებიდან სულ ცოტა ხანში, 1994 წლის ზამთარში.

მეგობრის ბიძას მივეცი ჩემი ტელეფონი, მისამართი და ვუთხარი, თუ ლიკას უნდა ჩემი ნახვა, დამირეკოს-თქო...

იმ დღეს სახლში საკმაოდ გვიან მივედი. სახლში მისულს, ჩემმა ნათესავმა, ვისთანაც ვსტუმრობდი, მითხრა, რომ ვიღაც ლიკამ უკვე რამდენჯერმე დაგირეკა, შენ გიკითხაო. მე ეს ძალიან გამიხარდა. აი, ახლაც, ამდენი წლის მერე, ამ ამბავს რომ ვიხსენებ, ტანში ჟრუანტელი მივლის... ძალიან გამიხარდა, რომ ლიკა დაინტერესდა ჩემით და ჩემი ნახვა მოუნდა. მაშინვე დავურეკე. მიუხედავად იმისა, რომ უკვე საკმაოდ გვიანი იყო, ის დაჟინებით მთხოვდა შეხვედრას...

ჩვენ მეორე დღეს შევხვდით ერთმანეთს. მან და მისმა მეუღლემ ისე თბილად და ისეთი სიყვარულით მიმიღეს, თითქოს ის ომი არც ყოფილიყო, განშორების და ტკივილის ის გაუსაძლისი თვეები. ლიკას მეუღლე მეხუმრებოდა - აა, აი, ექსტრემისტიც მოვიდა, ჩვენ ახლა შენ მძევლად აგიყვანთო... ჩვენ დიდხანს ვისაუბრეთ, გავიხსენეთ წარსული, აფხაზეთში გატარებული დრო. გავიხსენეთ, როგორ მეგობრულად ვცხოვრობდით სოხუმში, როგორი ურთიერთობები გვქონდა. ეს ისეთი თბილი შეხვედრა იყო, მათთან ყოფნისას სულ მეგონა, რომ ისევ იქ, სოხუმში, ჩემს მეგობრებთან ერთად ვიყავი და არც არაფერი მომხდარა...

მათგან წამოსული, მთელი გზა მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობდი: ვის რა ჯანდაბად უნდოდა ის წყეული ომი...

***რუბრიკას უძღვება ლელა მარგიანი***
***რადიოპროექტი – "ცხოვრებისეული ისტორიები" ხორციელდება ინგლისური საერთაშორისო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" მიერ. ჩანაწერები მოგვაწოდა რადიოპროგრამა "პოსტფაქტუმმა".***

### თვალსაზრისი

## სასტუმრო "ივერიაში" მცხოვრებ დევნილებს გამოსახლება ემუქრებათ

უკანასკნელ წლებში სასტუმრო "ივერია" საქართველოში აფხაზეთის პრობლემის არსებობის სიმბოლოდ იქცა. მას შემდეგ, რაც 1992 წლის შემოდგომაზე ქართულმა ჯარმა და მოლაშქრეებმა გაგრა დატოვეს, ხელისუფლებამ სასტუმროში პირველი დევნილები დროებით ჩაასახლა. მას შემდეგ 12 წელი გავიდა. ათასამდე ადამიანი საკუთარ ქვეყანაში ლტოლვილის სტატუსით ცხოვრობს. დედაქალაქის ცენტრში კი ცხოვრების ერთადერთი "პრივილეგია" იმაში მდგომარეობს, რომ დევნილები ხელისუფლებას, თანამოქალაქეებს და საერთაშორისო საზოგადოებას საკუთარ არსებობას ახსენებენ. ქართველთა ტრაგედიის სიმბოლოდ ქცეულმა, ყოფილი საბჭოთა "ინტურისტის" ფოტოსურათებმა ამ წლების მანძილზე მსოფლიო პრესის წამყვანი გამოცემები მოიარა.

როგორც ჩანს, "ცნობილ" სასტუმროში მცხოვრებმა დევნილებმა დროა, განგაში ატეხონ. კერძო ინვესტორები, გასაიდუმლოებულ ვითარებაში, "ივერიელი" დევნილების გარეუბნებში მდებარე უიაფეს ბინებში გადასახლების პროექტს ამზადებენ. ამასთან, დევნილებს არავინ არაფერს ეკითხება. ასევე არავინ საუბრობს საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზეც – პროექტის თანახმად, დევნილი ოჯახი, დაპირებული, აფხაზეთში დაბრუნების ნაცვლად, გარეუბანში, რომელსაც ქალაქსაც ვერ უწოდებ, ვიწრო და მოუწყობელ ბინას მიიღებს, თანაც ოთახზე – ოთახს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დევნილებს არსად დაუსვამთ თავიანთი გადასახლების საკითხი და არც ბინის უფასოდ მიღება მოუთხოვიათ.

"ივერიის" რეკონსტრუქციის პროექტის მზადების შესახებ პრესაში გაჟღერებული ინფორმაცია თბილისის მთავარმა არქიტექტორმა ირაკლი როსტომაშვილმა დაადასტურა.

მან აღნიშნა: "ჯერჯერობით, ეს მხოლოდ პროექტია, სასტუმროს რეკონსტრუქციის სურვილი, რომლის განხორციელება ქალაქის ხელისუფლებას უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორების ჯგუფთან ერთად სურს". ვინ არიან ეს გამოუცნობი ინვესტორები და რა თანხის გამოყოფას გეგმავენ ისინი პროექტის განსახორციელებლად, გასაიდუმლოებულია. ყოველ შემთხვევაში, მთავარმა არქიტექტორმა, რომელიც, მისივე თქმით, პროექტს ხელმძღვანელობს, ამაზე საუბარი არ მოისურვა.

მიუხედავად მტკიცებისა, რომ პროექტი ჯერ მხოლოდ დამუშავების სტადიაშია, მისი ავტორები, როგორც ჩანს, მის წარმატებაში დარწმუნებულები არიან. მაგალითად, თბილისის საფონდო ბირჟის 19 თებერვლის ვაჭრობებზე, უცნობმა მყიდველებმა სასტუმრო "ივერიის" აქციათა 28 პროცენტი 617 ათას ლარად შეიძინეს. სხვათა შორის, სასტუმრო მისი ამჟამინდელი მფლობელების მიერ მხოლოდ ერთ მილიონ დოლარად არის შეფასებული. არ არის გამორიცხული, რომ "ივერიის" აქციათა გაყიდვა გაგრძელდება, ანუ, ჯერჯერობით უცნობი ინვესტორები მალე სასტუმროს სრულუფლებიანი მფლობელები გახდებიან და ათასი დაუცველი ადამიანის ბედის განკარგვას შეძლებენ.

მთავარი არქიტექტორი, თავის მხრივ, დევნილთა გადასახლებისთვის "ბინების ძებნით არის დაკავებული", თუმცა აღნიშნავს, რომ გასახლების პროცესი მას არ ეხება.

"ჩემი ამოცანაა, ხელისუფლებას მოვახსენო, რომ არსებობს სასტუმროს რეკონსტრუქციის ბიზნეს-გეგმა; რომ ჩვენ შევარჩიეთ ბინები და მივაგენით სამშენებლო კომპანიას, რომელიც სასტუმრო "ივერიას" პირვანდელი სახით აღადგენს. ხოლო ის, თუ ვინ და როგორ გაასახლებს დევნილებს, არ ვიცი და არც მინდა ამ საქმეში მონაწილეობა", - აღნიშნა მან.

ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ გაასახლებს დევნილებს, რომლებიც, სავარაუდოდ, ასეთ "ახალსახლობას" არ შეეგუებიან. საინტერესოა, დაავალებენ თუ არა ამას პოლიციას, ანუ გავხდებით თუ არა ადამიანების სპეცდანიშნულების რაზმების გამოყენებით გასახლების მოწმენი?

სამაგიეროდ, არქიტექტორმა უკვე ზუსტად იცის, რომ საცხოვრებელი, სადაც დევნილებს გადაასახლებენ, მისი თქმით, "რა თქმა უნდა, ძვირადღირებული არ იქნება". ანუ, პირდაპირ რომ ითქვას, ეს უიაფესი ბინები იქნება, რომელთა მონახვასაც ფონიჭალაში ან ვაზისუბანში შეძლებენ. უძრავი ქონების ბაზარზე არსებული ფასების თანახმად, ასეთი ბინის ღირებულება 1500 დოლარს არ აღემატება. ინვესტორებმა, რომლებიც ახლო მომავალში სასტუმროდან დიდ შემოსავლს მიიღებენ, დევნილების ხარჯზე ფულის დაზოგვა გადაწყვიტეს.

შეკითხვას - "რატომ არ შეიძლება გადასახლების პრობლემასთან დაკავშირებით სპეციალური სახელმწიფო კომისიის შექმნა, რომელიც "ივერიაში" მცხოვრები ცალკეული მრავალსულიანი ოჯახების საცხოვრებელ პირობებს გააუმჯობესებს?" - არქიტექტორმა გაღიზიანებულად უპასუხა: "აი, დაიწყო! ამ კომისიით, საქმე უსასრულოდ გაიწელება". მისივე ვარაუდით, პროექტი მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს.

პროექტის ავტორები, როგორც ჩანს, ჩქარობენ მოახსენონ დამკვეთებს ტერიტორიის "გაწმენდის", ხოლო ხელისუფლებას – ქალაქის ცენტრში მოჩვენებითი კეთილდღეობის შექმნის შესახებ. არ არის გამორიცხული, რომ ეს მოხსენება საკმაოდ მაღალ დონეზე გაკეთდეს. როსტომაშვილის თქმით, "ივერიის" რეკონსტრუქციის იდეას მიხეილ სააკაშვილი ჯერ კიდევ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარედ ყოფნის დროს უჭერდა მხარს. თუმცა იმაზე, თუ რა პირობებში ვარაუდობდა ახალი პრეზიდენტი დევნილთა გადასახლებას, როსტომაშვილს არაფერი უთქვამს.

ჩემმა კითხვამ - "ვინ არის პასუხისმგებელი დევნილებთან მოლაპარაკებებზე, დათანხმდებიან თუ არა ისინი შეთავაზებულ პირობებს?" - როსტომაშვილის განცვიფრება გამოიწვია: "ისინი ხომ საცხოვრებელს საკუთრებაში მიიღებენ, კიდევ რა უნდათ?"

მაგრამ დევნილებს ხომ ბევრად მეტი – აფხაზეთში დაბრუნება სურთ, მანამდე კი იმის გარანტია სჭირდებათ, რომ, სანამ ისინი სავალალო მდგომარეობაში იმყოფებიან, მათ ინტერესებს სახელმწიფო დაიცავს.

მთავარმა არქიტექტორმა განაცხადა, რომ დევნილებს "ჩვენს ძმებად" მიიჩნევს, მაგრამ იქვე დასძინა, რომ მას მიშენებებით დამახინჯებული "ივერიის" ხედი აღიზიანებს. მე მგონი, ეს გულწრფელად არ ჟღერს. საინტერესოა, უცდია თუ არა როსტომაშვილს საკუთარი ძმის ოჯახის გარეუბანში მდებარე ერთოთახიან ბინაში გასახლება. ან თუ უფიქრია, ერთოთახიანი ბინის დაპროექტება რომელიმე სახელმწიფო მოხელის ოჯახისთვის, რომელმაც დევნილთა დასახმარებლად გამოყოფილი თანხები მიითვისა. სხვათა შორის, საქართველო, ისრაელის შემდეგ მეორე ქვეყანაა მსოფლიოში, ერთ სულ მოსახლეზე აშშ-სგან მიღებული დახმარების დიდი მოცულობის მიხედვით. თბილისში დევნილთა ცხოვრების პირობებიდან გამომდინარე, ეს ციფრები ძნელი დასაჯერებელია.

"ივერიის" მობინადრეებში ასეთი "ახალსახლობის" პერსპექტივა აღშფოთებას იწვევს. უმრავლესობას აინტერესებს, რატომ არ კითხულობს არავინ მათ აზრს და რატომ ჩათვალეს პროექტის ავტორებმა, რომ მთავარი მათთვის თბილისში საკუთარი ბინის მიღებაა?

"ჩვენ მხოლოდ ერთი რამ – აფხაზეთში დაბრუნება გვსურს. ერთხელ უკვე გაგვყარეს სახლებიდან, ომი, შიმშილი, სილატაკე გადავიტანეთ, ახლა უკვე საქართველოს ხელისუფლებას უნდა, გაგვყაროს, ამჯერად - ჯურღმულებში. არ გვჭირდება თბილისში მათი ბინები, სახლში გვინდა დავბრუნდეთ, რომ არსებობას არავინ გვაყვედრიდეს. მაშინ პირდაპირ გვითხრან, რომ სახელმწიფოს არ ვჭირდებით, მოგვცენ საერთაშორისო ლტოლვილთა სტატუსი, ჩვენ უარს ვიტყვით მოქალაქეობაზე, დავწვავთ ქართულ პასპორტებს და იმ ქვეყანაში წავალთ, რომელიც ჩვენზე და ჩვენს შვილებზე იზრუნებს," - მითხრა სასტუმროს ერთ-ერთმა მკვიდრმა. "ივერიის" დანარჩენი მაცხოვრებლების კომენტარები, მათი გადასახლების თაობაზე, ბეჭდვითი გამოცემის ჩარჩოებში არ ჯდება.

აღსანიშნავია, რომ "ივერიის" მაცხოვრებელთა აბსოლუტურ უმრავლესობას სჯერა, რომ საქართველოს პრეზიდენტი ამ პროექტის შესახებ ინფორმირებული არ არის.

"არ შეიძლება, სააკაშვილს ეს უნდოდეს. ქალაქის ცენტრში მთელი სამყაროსათვის იმის შესახსენებლად ვიმყოფებით, რომ აფხაზეთის კონფლიქტი მოუგვარებელია. ყოველდღე, სასტუმროსთან ჩავლისას, საქართველოს ხელისუფლებას და თბილისში ჩამოსულ უცხოელ სტუმრებს დევნილთა პრობლემის გახსენება უწევთ," - ამბობენ დევნილები.

ახალი პრეზიდენტის მგზნებარე გამოსვლის მოსმენისას - ეს საქართველოს პრეზიდენტის უკანასკნელი არჩევნებია, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე არ ტარდებაო, - დევნილები ამბობდნენ: "აი, ნახავთ, მიშა დაგვაბრუნებს სახლში. თანაც, არც ისე დიდხანს უნდა ვიცადოთ".

მაგრამ, რა გამოდის? – ერთი წელიც არ გავა და, აფხაზეთში დაბრუნების ნაცვლად, დევნილები თბილისის გარეუბნებში შეიძლება აღმოჩნდნენ? ადამიანების ნდობას მოფრთხილება სჭირდება. იგი ძნელი მოსაპოვებელია, თუმცა მისი დაკარგვა იოლია. ეს უნდა ახსოვდეთ მათ, ვინც ამგვარ პროექტებს ხელისუფლებაში უწევს ლობირებას. მათ, ვინც ხელისუფლებაში სერიოზულად და დიდი ხნით მოვიდა, მხოლოდ დღევანდელი დღით არ უნდა იცხოვრონ.

ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, თუ რაში შეიძლება გადაიზარდოს ადამიანების აღშფოთება, რომლებიც მოატყუეს. ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს, სჭირდება თუ არა მას თბილისში, კერძო ინვესტორების გამო მოწყობილი, დევნილთა აქციები.

ასევე, ალბათ დროა იფიქრონ სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაზე, საკუთარი სახელმწიფოს მოქალაქეებისთვის, რომლებიც 12 წელია, დევნილებად ცხოვრობენ, ჯერჯერობით, მშობლიურ მხარეში დაბრუნების რეალური პერსპექტივების გარეშე. ამ საკითხს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და არ შეიძლება მისი მოგვარების კერძო ინვესტორებისთვის გადაბარება. იქნებ, კმარა ყველაზე დაუცველ ადამიანებზე ეკონომიის კეთება?

ის, რომ თბილისის მთავარი არქიტექტორი შენობის რეკონსტრუქციის ამოცანას თავს გაართმევს, ეჭვს არ იწვევს. არც არავინ არის იმის წინააღმდეგი, რომ ბიზნესმენებმა ფული იშოვონ და გადასახადები იხადონ, მაგრამ არ შეიძლება ბიზნესის "ზვიგენებს" სოციალურად დაუცველი ადამიანების ბედი ხელში ჩაუგდო.

ხომ შეიძლება უფრო ცივილიზებული მეთოდის გამონახვა. თუ ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ევროპული ქალაქის იერის მიღებაში თბილისს მხოლოდ "ივერია" უშლის ხელს, ხომ შეიძლება მივმართოთ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებას და გამოცდილებას. რატომ არ ჩართავენ ამ საკითხში გაერო-ს, ეუთო-ს და დონორ სახელმწიფოებს, მით უმეტეს, იმ ნდობის ფონზე, რომლითაც საერთაშორისო საზოგადოების თვალში ახალი პრეზიდენტი სარგებლობს?

შეიძლება საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით და მათი კონტროლით ტენდერის პირობებში დევნილებისთვის შენობის აშენება. რა თქმა უნდა, იგი უფრო კეთილმოწყობილი უნდა იყოს, ვიდრე საბჭოთა დროში აშენებული სასტუმრო ძველი კომუნიკაციებით. ასევე გასათვალისწინებელია, რომ "ივერია" "ბომჟების" საცხოვრებელი არ არის. აქ ერთი რეგიონიდან წამოსული ადამიანები, ხშირად - ყოფილი მეზობლები, ცხოვრობენ, ისინი ერთმანეთს ეხმარებიან, სიხარულს და გაჭირვებას უზიარებენ და ამის წყალობით, მათ ბავშვებს არ ავიწყდებათ, სადაურნი არიან.

არ არის საჭირო ახალი საცხოვრებლის მათთვის საკუთრებაში გადაცემა – დევნილებს ამის პრეტენზია არ აქვთ. ახალ შენობაში იქამდე აცხოვრონ, სანამ აფხაზეთში საკუთარ სახლებში დაბრუნებას შეძლებენ, ბინებს კი სახელმწიფოს დაუბრუნებენ. აფხაზეთში დაბრუნება ხომ დევნილების ყველაზე სანატრელი ოცნებაა, ხოლო ხელისუფლებისთვის - უმთავრესი პრიორიტეტი. მაშ, უნდა იქონიონ თუ არა დევნილებმა პრეზიდენტის მხარდაჭერის იმედი?

*ია ბარათელი*

**რადიო "მწვანე ტალღა"**

ამიერიდან ყოველ ორშაბათს 11.00-დან 12.00 საათამდე პროექტი "თქვენი აფხაზეთი" რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში წარმოგიდგენთ დიალოგს, პირდაპირ ჩართვებს, კითხვა-პასუხს.

**FM 107,4**

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

www.24hours.ge
24
B

ნომრის სტუმარი

# მღვდელი ზაზა თევზაძე:
# გამოსავალი ჭეშმარიტი რწმენაა

პირველი გვერდიდან

**- მამაო, შენ პირველი იყავი საქართველოს სამღვდელოებიდან, ვინც მხარი დაუჭირა საზოგადოებრივ აღშფოთებას ჯერ კიდევ მაშინ, როცა არავინ იცოდა, რომ საერთო-სახალხო მღელვარებას ცოტა ხანში ვარდების რევოლუცია დაერქმეოდა. რა გამოძრავებდა იმ დროს — წინასწარ იცოდი შედეგი?**

- წინასწარ ვიცოდი გულგრილობის შედეგი. ვხედავდი, სადამდე შეიძლებოდა მივეყვანეთ უმოქმედობას და ინერტულობას. მე, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქემ, ჩემი სინდისისა და სარწმუნოების წინაშე დაუშვებლად მივიჩნიე გაჩუმება, რომელიც იმ დროს სიცრუის ხელშეწყობას ნიშნავდა და ღიად, გარეგნულად გამოვხატე ის, რაც ჩემში შინაგანად უკვე დიდი ხანია, არსებობდა.

**- იქნებ გვეტყოდი, რა დამოკიდებულება იყო ეკლესიაში წინანდელი ხელისუფლების ოპოზიციისადმი მაშინ, როცა შენ პირველად გამოჩნდი მერიის წინ შეკრებილი ხალხის წინაშე და ხალხის ახლანდელი ლიდერებიც ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ცოტა ხანში ისინი ახალი ხელისუფლების წინამძღოლები გახდებოდნენ.**

- სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ ეს დამოკიდებულება თითქმის ცალსახად ნეგატიური იყო. სამღვდელოება თითქმის ერთხმად იყო ძველი ხელისუფლების კურსის მომხრე და მის რიგებშიც ასევე ისმოდა უკვე ცნობილ კონტექსტში სოროსის სახელი და ხშირად ახსენებდნენ მასონთა შეთქმულებასაც.

**- ახლა კი უნდა გაგაწყვეტინო... იქნებ ერთხელაც გამოვთქვათ, როგორც იტყვიან, ღია ტექსტით, რას უნდა ნიშნავდეს, როცა ეკლესია ოპერირებს ისეთი უცნაური კატეგორიით, როგორიც "მასონთა შეთქმულებაა"?**

- რა თქმა უნდა, მასონთა შეთქმულება, თავისთავად, მითია, მაგრამ მის გამოჩენას საქართველოში სრულიად ობიექტური მიზეზები აქვს. ამ მითის გამოჩენა ჩვენში დაიწყო მაშინ, როცა დაემხო საბჭოთა ხელისუფლება და მოხდა კაპიტალიზმისადმი კონკრეტული ბოლშევიკური სიძულვილის ჩანაცვლება დასავლური ცივილიზაციის მიმართ ზოგადი სიძულვილით. ამ ზოგადი სიძულვილის ძირითადი მატარებლის როლი მართლმადიდებელმა იერარქიამ აიღო თავის თავზე. ეს ბუნებრივიცაა, რადგან საბჭოთა იდეოლოგიის პირობებში გაზრდილი ადამიანებისათვის ძალიან ძნელია მტრის ხატის გარეშე ცხოვრება. მტრის ხატი საზოგადოების მაინტეგრირებელ ფუნქციას ასრულებდა. ეკლესიას ასეთი მაინტეგრირებელი რეალურად არ სჭირდება, რადგან იგია სხეული ქრისტესი და მისი გამაერთიანებელი თვით მაცხოვარი იესო ქრისტეა. ბუნებრივია, დავასკვნათ, რომ შეთქმულების თეორიის სიძლიერე ეკლესიაში პირდაპირი შედეგია სარწმუნოების სისუსტისა.

**- მაშ ასე, როცა პირველთაგანვე საძულველმა ადამიანებმა მიაღწიეს თავიანთ მიზანს და მათ გამარჯვებას ვარდების რევოლუცია დაერქვა, როგორ შეიცვალა მათ მიმართ დამოკიდებულება ეკლესიაში?**

- ცალსახად უნდა ითქვას, რომ სურათი მკვეთრად შეიცვალა. ახლა უკვე ყველა ღიად უჭერს მხარს ახალ ხელისუფლებას და მასთან მეტ-ნაკლებად მჭიდრო კავშირების გაბმას ცდილობს. მართალია, ძალიან ძნელი იქნება ამ ადამიანების მოქმედებასა და ღიად გამოხატულ დამოკიდებულებას გულწრფელი ვუწოდოთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის შეიძლება კონსტრუქციულიც აღმოჩნდეს.

**- მეც ამ აზრისა ვარ, მაგრამ მაინც საინტერესო იქნება იმის გაგება, თუ როგორი უნდა იყოს საერო ხელისუფლებისა და მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა, ასე ვთქვათ, იდეალურ ვითარებაში?**

- ვფიქრობ, რომ ამ ურთიერთობის მთავარი ნიშანი დისტანციურობა უნდა იყოს. არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ეკლესიისა და ხელისუფლების შერწყმა. ამ მდგომარეობაში ორივე მხარეს ხელი შეეშლება...

**- ესე იგი, თუ ვიტყვით, რომ ეკლესია სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი უნდა იყოს, არ შევცოდავთ...**

- ეკლესიას აქვს თავისი უპირველესი დანიშნულება, რომელიც იმ მარადიულ ღირებულებებს შეეხება, რომელთა გამტარებელიც არის იგი ამქვეყნიურ რეალობაში. მაგრამ ერთი რამ, მართლაც, შეგვიძლია ვთქვათ: ხელისუფლებისა და საზოგადოების დიალექტიკურ, კონსტრუქციულ დაპირისპირებაში ეკლესია, რა თქმა უნდა, საზოგადოების მხარეს დგას.

**- ახლა კი ისიც ვნახოთ, რამდენად სრულდება ეს იდეალი ჩვენს ქართულ სინამდვილეში.**

- ამის აღსაწერად იძულებული ვარ, დავუბრუნდე საბჭოთა ხელისუფლების დამხობის ისტორიულ მომენტს. ათწლეულობის განმავლობაში რელიგიური ტრადიცია, ამ სიტყვის ფართო გაგებით, შეწყვეტილი იყო. როდესაც იდეოლოგიური წნეხი მოიხსნა, ხალხში რელიგიურობის აღდგენა მოხდა, მაგრამ მაღალი რელიგიურობა კი არ წარმოშობილა, არამედ პირველყოფილი, სტიქიური. სწორედ ამის გამო, როცა სარწმუნოების ნამდვილი შინაარსი დავიწყებულია, მის ადგილს იკავებს შეცდომის შიში, შესაბამისად, ადამიანის ნებისმიერი სულიერი გამოვლინების მიმართ მტრული დამოკიდებულება. ეს პირველყოფილი რელიგიურობა იმოსება ცრუ მისტიციზმის, რელიგიური ნაციონალიზმის, მესიანიზმის, კონფესიონალიზმის სამოსში და საკუთარ თავს ერთადერთ ჭეშმარიტებად ასაღებს. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში ძნელია ეკლესიამ, ერთი მხრივ, საზოგადოებაში მისთვის შესაფერი ადგილი დაიკავოს და, მეორე მხრივ, ხელისუფლებასთან დიალოგში სათანადო ტონი იპოვოს.

**- რამდენადაც მე ამ პასუხიდან შემიძლია დავასკვნა, საეკლესიო წიაღში არსებული სტიქიური, პირველყოფილი რელიგიურობისა და მისი შორს მიმავალი შედეგების აღმოფხვრა სიახლე კი არ იქნება, არამედ ეკლესიისადმი პირვანდელი სამოციქულო სახის დაბრუნება...**

- დიახ, გეთანხმები.

**- იანვრის ბოლოს ჩვენ ერთად მივიღეთ მონაწილეობა რუს ექსპერტებთან შეხვედრაში. ისინი ამტკიცებდნენ, რომ რახან საქართველომ მტკიცედ აიღო კურსი ევროკავშირში შესვლაზე, მალე მას მოსთხოვენ, რომ განხორციელებულ იქნეს ძირითადი მოთხოვნები ადამიანის უფლებათა სფეროში, მათ შორის სინდისის თავისუფლებაც. ასე რომ, მალე სიტუაცია მოწესრიგდება და საზოგადოება, ეკლესია და ხელისუფლება თავის კონკრეტულ როლს იპოვის...**

- მე ბედნიერი ვიქნებოდი, ყველაფერი ერთბაშად რომ მოწესრიგებულიყოს გარედან მოთხოვნით, მაგრამ ასე არ ხდება. თუ არ არსებობს შეგნება იმისა, რომ სარწმუნოება ადამიანის თავისუფალი არჩევანის საგანია, რომ ამ საკითხებში ძალადობა არა მარტო ზნეობრივად, არამედ თეოლოგიურად და ლოგიკურადაც დაუშვებელია, მაშინ ეს მოწესრიგების პროცესი შეიძლება ძალიან გართულდეს და გაჭიანურდეს. შეიძლება ვერც მიაღწიოს თავის სასურველ დაგვირგვინებას.

**- აქვს თუ არა ეკლესიას შინაგანი რესურსი იმისათვის, რომ ეს მდგომარეობა დაძლიოს?**

- რესურსი როგორ არა აქვს! მე ვიტყოდი, რომ საჭიროა გარკვეული ნების არსებობა. თუ ცვლილებების ნება იარსებებს, რესურსიც გამოჩნდება. ცოტა ხნის წინათ ვთქვით, რომ ეკლესია სამოქალაქო საზოგადოების მხარეს დგას. ეს ნიშნავს, რომ მას მჭიდრო ურთიერთობა უნდა ჰქონდეს სამოქალაქო საზოგადოებასთან და ამ უკანასკნელისთვისაც ეკლესიის წიაღში მიმდინარე პროცესები გამჭვირვალე უნდა იყოს. ჩვენ ადრეც გვქონდა ამის მაგალითები, უახლოეს წარსულში. მე ვგულისხმობ საკათალიკოსო საბჭოს, რომელიც 1927 წლამდე ფუნქციონირებდა საქართველოში და უმაღლეს სამღვდელოებასთან ერთად მასში საერო პირები, საზოგადოების წევრებიც იყვნენ ჩართული. ჩემი სათქმელი იქით მიმყავს, რომ თუ არ იქნება მონაწილეობა და თანაზიარობა, მაშინ არ იქნება არც პასუხისმგებლობა არც ერთი მხრიდან. როგორც კი ასეთი კავშირი აღდგება, მაშინვე გამოჩნდებიან საზოგადოებაში ეკლესიის ბედით გულწრფელად დაინტერესებული ადამიანები და სამღვდელოებაც ანგარიშს გაუწევს საზოგადოებაში არსებულ სულიერ წყურვილს.

**- მაგრამ ჯერჯერობით ეს არ განხორციელებულა... ნების არსებობა, მართლაც, მნიშვნელოვანია, მაგრამ რადგანაც ის უკვე ათ წელზე მეტია, თავისთავად არ ჩნდება, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მის წარმოსაქმნელად აუცილებელია გარეგანი სტიმული. ეს სტიმული შეიძლება მოვიდეს ან საერო ხელისუფლების, ან ქართული საზოგადოების, ან მსოფლიო ქრისტიანული ერთობის მხრიდან. პირველ ორს ასე თუ ისე შევეხეთ, რას იტყვი მესამე წყაროზე?**

- სამწუხაროდ, ზემოთ უკვე დასახელებული მიზეზების გამო საქართველოს ეკლესიამ კატასტროფულად შეასუსტა თავისი კავშირები სრულიად საქრისტიანოსთან. ის გამოვიდა მსოფლიო ეკლესიათა საბჭოდან, დატოვა ევროპის ეკლესიათა კონფერენცია. ჩვენ უკვე აღარა გვაქვს ურთიერთობა ქრისტიანულ მსოფლიოსთან, ანუ, ბერძნულად, ეკუმენესთან. თუ მდგომარეობა ისეთივე დარჩა, როგორიც დღესაა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მალე ტოტალიტარული სექტის მდგომარეობაში აღმოჩნდება.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

მღვდელი ზაზა თევზაძე "24 საათის" რედაქციაში.

**- აქ ისევ ორი ვარაუდია: ამ ვითარებისთვის ნიადაგი ან თავისთავად იქმნება ადგილობრივი უმეცრების საფუძველზე, ან გარედან ხდება მისი ინსპირირება. მაგალითად, ცნობილია სმოლენსკის მიტროპოლიტის, კირილეს მიერ გამოთქმული თეორია ე. წ. დაბადებით მართლმადიდებლების შესახებ. თითქოსდა არსებობს ასეთი კატეგორია ადამიანებისა, რომლებიც დაბადებიდანვე, თავიანთი კულტურული თუ ეთნიკური წარმოშობის გამო ეკუთვნიან მართლმადიდებელ ეკლესიას. ეს უაღრესად მატერიალისტური თეორიაა, რომელშიც სარწმუნოება გენეტიკურ ნიშნამდეა დაყვანილი. ამ თეორიაში არ მოიპოვება ადგილი ქრისტესთვის, რომელიც ადამიანის თავისუფალ სულიერ არჩევანს მოითხოვს. გასაგებია, რომ ამგვარი აზრები ელამუნება ადგილობრივი რელიგიური ნაციონალისტების ყურთასმენასაც...**

- მართალია. შესაძლებელია, არც არსებობდეს რაღაც ბოროტი განზრახვა, მაგრამ ერთდროულად მოქმედებს "ჭკვიანი მტრისა" და "ბრიყვი მოყვრის" ფაქტორი. ამის საპირისპიროდ შეიძლება ვთქვათ, რომ ბოლო დროს ისტორიის ინსტიტუტში ჩატარდა კონფერენცია "რელიგია და საზოგადოება". იქ, კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია II-მ თავის მოხსენებაში თქვა, რომ საჭიროა ცივილიზაციათა შორის დიალოგი და იზოლაციონიზმის დაძლევა. ეს თითქოს სასიკეთო ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ, სამწუხაროდ, კათოლიკოსის მოთხოვნა და ეკლესიის რეალური პოლიტიკა საკმაოდ დაშორებულია ერთმანეთს. ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ კათოლიკოს-პატრიარქი ეკლესიის წიაღში არსებული ფანატიკური ჯგუფების მძევალია, ფაქტი კი ისაა, რომ საპატრიარქო აშკარად კვერს უკრავს ამ ფანატიკური ჯგუფების აზრებსა და მისწრაფებებს. ისინიც, შესაბამისად, ისე იქცევიან, თითქოს პატრიარქი მარტო მათი იყოს. ეს კი მათი კი არა, სრულიად საქართველოს პატრიარქია...

**- სხვათა შორის, ჩვენს ქართულ სინამდვილეში ძალიან პოპულარულია, ასე ვთქვათ, შანტაჟი სეპარაციის მუქარით. აი, ასლან აბაშიძეც იმუქრება, თუ თავს არ გამანებებთ, აფხაზეთი განმეორდებაო, იქით კიდევ გარკვეული დაჯგუფებები სქიზმით ემუქრებიან პატრიარქს...**

- უნდა ვთქვა, რომ ადამიანი, რომელიც სქიზმით იმუქრება, ფაქტობრივად, უკვე არის კიდეც სქიზმაში. აი, თქვენს გაზეთში, თუ არ ვცდები, 12 თებერვალს გამოქვეყნდა ინტერვიუ მიტროპოლიტ აბრაამთან. ამაზე, ასე ვთქვათ, ოპერატიული რეაგირება მოახდინეს რადიკალურმა ჯგუფებმა, რომლებმაც ჯერ უშუალოდ გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება, შემდეგ კი დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება იმისათვის, რომ მოხდეს ეკლესიიდან დეკანოზ **ბასილი კობახიძის**, მღვდლის, **გიორგი ჩაჩავასა** და ჩემი განკვეთა. ამ ხელმოწერათა დიდი რაოდენობა, მათი სიმრავლე უნდა იქცეს კათოლიკოს-პატრიარქზე ზეწოლის იარაღად. მართალია, მათ უკან საკმაოდ მაღალი საეკლესიო იერარქიაც დგას, კონკრეტული ეპისკოპოსები, რომლებიც მათ მხარს უჭერენ და აქეზებენ, მაგრამ სულიერი ჭეშმარიტება და ეკლესიის მიერ ნაქადაგები უწყება, მისი საბოლოო გადაწყვეტილება უმრავლესობის აზრს კი არ უნდა ემყარებოდეს, არამედ გაცილებით უფრო მაღალ საფუძვლებს. რადიკალების მხრიდან ამგვარი მოქმედებაც არ მიმაჩნია ეკლესიისთვის შესაფერისად. ვფიქრობ, საპატრიარქომ ანგარიში არ უნდა გაუწიოს მასზე უხეშ ზეწოლას და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

**- ნიშნავს თუ არა ეს, რომ მდგომარეობის გამოსწორება ადვილია და უბრალოდ არავის სურს ეს?**

- ადვილია-მეთქი არ ვიტყოდი, მაგრამ შესაძლებელია.

**- თუმცა, ჯერჯერობით რადიკალები მაინც აღწევენ თავიანთ მიზნებს. ნაწილობრივ ეს საზოგადოების სულიერი მოუმზადებლობით აიხსნება, მაგრამ იმითაც, რომ სასულიერო პირს დიდი გავლენა აქვს. დღეს საქართველოში მღვდლად ყოფნა ნიშნავს თუ არა საჯარო ტრიბუნის ფლობას?**

- ხალხში სასულიერო პირის მიმართ არსებობს ბუნებრივი მოწიწება. ეს, ბუნებრივია, დიდ შესაძლებლობებს განიჭებს, მაგრამ დაკარგულია სულიერი საწყისი. რას ვგულისხმობ? იმას, რომ იესო ქრისტეს ჭეშმარიტების ქადაგება საკრამენტული ქმედებით და მღვდელმსახურებით კი არ დაუწყია, არამედ იგავებით მიმართა ადამიანებს. დაანახა მათ უზენაესი სიმარტივისა და ნათელი სიცხადის ის დონე, სადაც ადამიანი შეიძლება შეხვდეს ღმერთს. ამ დონის არსებობა კი შეუძლებელია საკუთარ თავში დაეჭვებისა და სინანულისაკენ სწრაფვის გარეშე. რადიკალები და ფანატიკოსები არ ცდილობენ, ადამიანებს საკუთარი თავი აპოვნინონ, ისინი მზა რეცეპტებს აძლევენ და სინანულის გაღვიძების მაგიერ საკუთარ ჭეშმარიტებაში სრულ დარწმუნებულობას ანიჭებენ. ეს გაცილებით უფრო ადვილია. ჭეშმარიტების ქადაგება კი ყოველთვის თავგანწირვის ზღვარზე ხდება.

**- მაშინ ის გვამცნე, რაში ხედავ გამოსავალს?**

- გამოსავალი ერთია: ჭეშმარიტი რწმენა, რომელიც ათავისუფლებს ადამიანს საკუთარი თავისადმი უსაზღვრო ნდობისაგან.





# აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი**
ჟან-ჟაკ ბრიკერი, მორის ლესაგი
"ინსტიქტი"
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
გეორგ ბიუხნერი
"ვოიცეკი"
რეჟისორი: ანდრო ენუქიძე
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
მარიო სანტანელი
"დედა-დედოფალი"
კითხულობენ: მურმან ჯინორია, სოფიკო ჭიაურელი
დას: 18:00 სთ.

## პრეზენტაციები

**კინოს სახლი**
სამთო-სათავგადასავლო და ექსტრემალური ფილმების პირველი ფესტივალის გამარჯვებულთა დაჯილდოვება
დას: 16:00 სთ.

**კაფე "კარუზო"**
რადიოსადგურების – "ფორტუნასა" და "ფორტუნა პლიუსის" ვებ-საიტების პრეზენტაცია
დას: 16:00 სთ.

## გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
ნატა ჩაჩუას პერსონალური ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა

დამსახურებული მხატვრის ავთო მოსიაშვილის პერსონალური ნამუშევრების გამოფენა

**N გალერეა**
ფოტოსააგენტო "პატკერფოტოს" ფოტოგამოფენა

**TMS**
იური ბერიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

## წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

ხუთშაბათს 4 მარტს, 17 საათზე ზაალ სამადაშვილი ციკლით "ახალი განზომილება" წარმოგიდგენთ სტუმარს, ლაშა ბაქრაძეს. თემა – რას ნიშნავს ევროპა.

***მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50***

## პრეზენტაცია "პარნასში"

წიგნის მაღაზია "პარნასში" დღეს ვაჟა ოთარაშვილის წიგნის - "დედა ქართულ პოეზიაში" პრეზენტაცია გაიმართება. წიგნში ყველა დროის ქართველი პოეტების საუკეთესო ლექსებია შესული, რომლებიც დედებს ეძღვნებათ.

"ქართველი დედა ეროვნულ ცნობიერებაში ყველაზე აღმატებული, სპეტაკი და სათუთია. კაცობრიობის ისტორიაში ბადალი არ მოეძებნება ივერიელ დედათა თავგანწირვას სარწმუნოებისათვის, მამულისათვის, ქმარ-შვილისთვის. ამიტომაც ბუნებრივია, ქართველისთვის დედა მარად ცოცხალი ხატებაა" – აღნიშნა ვაჟა ოთარაშვილმა, რომელმაც წიგნის პრეზენტაცია დედის დღეს – 3 მარტს საგანგებოდ დაამთხვია.

## ახალი კინოთეატრი გლდანში

დღეს გლდანში ახალი კინოთეატრი გაიხსნება. კინო - "ახმეტელი" გაიხსნება ფილმით, "ზღვის მბრძანებელი". კინოთეატრი ამერიკული სტანდარტებით აშენდა, ის ახალი ტექნიკითა და აპარატურით არის აღჭურვილი. კინოდარბაზი 318 მაყურებელზეა გათვლილი.

კინოთეატრ "ახმეტელის" გახსნა იმ დიდი პროექტის პირველი ეტაპი იქნება, რომლის განხორციელებაში ქართულ მხარეს ამერიკული ინვესტორი კომპანია "მედია პოლისი" ეხმარება. ამ პროექტის მთავარი მიზანია, საქართველოში გასართობი ცენტრების ქსელი ჩამოყალიბდეს, რაც კინოთეატრების პროდუქციის მომხმარებლის რაოდენობას გაზრდის. პროექტის თანახმად, საქართველოში 2007 წლისთვის მაღალი სტანდარტების 7-8 კინოთეატრი გაიხსნება. მომავალში ახალი კინოთეატრების გახსნა ვაზისუბანსა და ვარკეთილშიც იგეგმება.

## "ერისიონი" კვლავ გასტროლებისთვის ემზადება

ანსამბლი "ერისიონი" რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში გასტროლებზე მიიწვიეს. ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელის ჯემალ ჭკუასელის თქმით, მოსკოვში, პეტერბურგსა და ვორონეჟში დაგეგმილი კონცერტების თარიღები დაზუსტებული ჯერ არ არის და ამჟამად რუსულ მხარესთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

მისივე თქმით, 16 მარტს "ერისიონი" მოსკოვში მიემგზავრება და კრემლის ყრილობათა სასახლეში კონცერტებს გამართავს, შემდეგ დაბრუნდება და რუსეთში გასტროლებზე ხელმეორედ გაემგზავრება.

პარალელურად ანსამბლის ხელმძღვანელი მოლაპარაკებებს ისრაელისა და თურქეთის მხარეებთანაც აწარმოებს.

*ინტერ-პრესი*

## ანჩისხატის გუნდი გერმანიაში

ანჩისხატის მგალობელთა გუნდის ერთთვიანი ტურნე ორ ქალაქში — კიოლნსა და დიუსელდორფში იგეგმება.

გუნდის ლოტბარის, მალხაზ ერქვანიძის თქმით, ანჩისხატის მგალობელთა გუნდი გერმანელი მსმენელის წინაშე ქართული ხალხური სიმღერებით წარდგება. შესრულდება აგრეთვე რამდენიმე ქართული საგალობელიც.

ანჩისხატის მგალობელთა გუნდი გერმანიაში შარშანაც იმყოფებოდა. გასტროლებს ორგანიზებას უწევს გერმანიაში მოქმედი საზოგადოება „ლილე". გერმანიაშივე გაიმართება ორ დისკიანი ალბომის პრეზენტაციაც, რომელიც იქვე გამოიცა. მალხაზ ერქვანიძის თქმით, გასტროლებზე გუნდის წევრები აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის შემდეგ გაემგზავრებიან. მანამდე კი, მონაწილეობას მიიღებენ თბილისში დაგეგმილ სააღდგომო ფესტივალში.

*მედია-ნიუსი*

# შეტყობინება ბგერებით

### მუსიკოსები ინიციატივით გამოდიან

ვერა ნეფარიძე

*ძნელია, ახალი უწოდო ინიციატივას, როდესაც ხელოვანები და, მით უმეტეს, მუსიკოსები სამშვიდობო აქციებს მართავენ. დასავლეთში ძალიან დიდი ხანია, რაც მსგავსი მოთხოვნები და მოწოდებები როკ-კონცერტების საფუძვლად იქცა. საქართველოში ნინო ქათამაძისა და "ინსაითის" გარშემო მუსიკოსების შემოკრების მიზეზი გახდა: დაძაბულობა აჭარაში, ყოველდღიური დაჭერები, დაუსრულებელი არჩევნების კარს მომდგარი მორიგი რაუნდი... მოკლედ, ნინო ქათამაძის ინიციატივით, მუსიკოსების ჯგუფი მშვიდობისკენ მოუწოდებს ქართულ პოლიტიკურ სპექტრსა და საზოგადოებას.*



"დღეს საქართველოში არსებული სიტუაცია, ფაქტობრივად, რაღაც ზღვარზეა სიმშვიდესა და დაძაბულობას შორის. მე ვერ დავარქმევდი მშვიდობას, როდესაც საქართველო გადაიქცა საარჩევნო ქვეყნად. სექტემბრიდან სულ არჩევნებია. მე არ ვიცი, შეიძლება ეს ვიღაცისთვის მშვიდობაა. ჩემთვის პიროვნულად, როგორც ადამიანისთვის, პროდიუსერისთვის უბრალოდ, ყურადღების მისაქცევია ეს ყველაფერი. როდესაც აჭარაში დაძაბულია სიტუაცია და ისვრიან. ამასთან ერთად, ამ კონცერტით ვამტკიცებთ, რომ ასეთ სიტუაციაშიც შეიძლება იყო შემოქმედებითად აქტიური და პოზიტიური. ჩვენ გვინდა, უბრალოდ, მოვითხოვოთ, ცოტა უფრო კომფორტულ გარემოში უკეთესად ვაკეთოთ ჩვენი საქმე", - მოწოდების შინაარსს აკონკრეტებს იდეის თანაავტორი, პროდიუსერი ირაკლი ნადარეიშვილი.

- "დაიწყე ახალი მშვიდობიანი დღე", - ნინო ქათამაძემ და მისმა პროდიუსერმა ირაკლი ნადარეიშვილმა მორიგი საკონცერტო პროექტი ამ მოწოდების ირგვლივ ააგეს. მათთან ერთად პროექტში მონაწილეობენ: საგანგებოდ პროექტზე სათანამშრომლოდ საფრანგეთიდან ჩამოსული ირაკლი ხუციშვილი (გიტარა), "ინსაითის" წევრები (გოჩა ყაჭეიშვილი, უჩა გუგუნავა, დავით აბულაძე), რომა რცხილაძე (კლავიშები) და მერაბ სანოძე (პერკუსია).

გუშინაც, ისევე როგორც ყოველთვის, "ინსაითისა" და ირაკლი ნადარეიშვილის თანამშრომლობის მორიგი შედეგი პირველად მასმედიის წარმომადგენლებს გააცნეს. თუმცა, მათ გარდა, პრეზენტაციაზე იდეის მხარდამჭერები და "ინსაითის" მეგობარი მუსიკოსებიც გამოჩნდნენ. პრეზენტაცია, მართლაც, განსაკუთრებული გამოვიდა. გუშინ დიდი საკონცერტო დარბაზის ფოიეში კონცერტამდე პირველად შესრულდა ახალი საკონცერტო პროგრამა. ახალ, ეთნო-მუსიკალურ პროექტს ავტორებმა "მსოფლიო მუსიკა" (ერთ-ერთი მუსიკალური მიმდინარეობის სახელწოდების - World Music მიხედვით) დაარქვეს. საკონცერტო პროგრამაში გამოყენებულია მთლიანად ქართული თემები (მაგალითად, გუშინ "დიდოუ ნანას" საკმაოდ საინტერესო და შთამბეჭდავი ვერსია მოვისმინეთ). მათ შორის ყანჩელის, თორაძისა და მემანიშვილის ნაწარმოებებიცაა. რა გამოვიდა ცნობილი თემების ინტერპრეტაციებიდან, ამას უფრო ათ მარტს კონცერტზე გავიგებთ. თავად მუსიკოსები კი თანამშრომლობით და თვენახევრიანი მუშაობით კმაყოფილები ჩანდნენ. "მგონი კარგად გამოგვივიდა. მე პირადად ძალიან მომწონს", - არ დაუმალავს ირაკლი ხუციშვილს. "ერთ თვეში გააკეთო ხარისხიანი პროდუქტი, ეს ნაღდი, ჯანსაღი ურთიერთობების დამსახურებაა. მსგავსი გრძნობა ფილარმონიაში დღემდე არ მქონია", - თქვა რომა რცხილაძემ. "ჩვენ გავაკეთეთ ის, რაც გვინდოდა", - მოკლედ გამოხატა სათქმელი მერაბ სანოძემ. "ეს იქნება ერთი ლამაზი დღე, რომელსაც ჩვენ ქართველ ხალხთან ერთად გავაკეთებთ, - თქვა დაგეგმილი კონცერტის შესახებ თავად ნინო ქათამაძემ, - რაც შეეხება სამუშაო პროცესს... ის გზა, რაც ავირჩიე ცხოვრებაში, არის ის, რომ ძალიან კარგად ვიმღერო, თუნდაც, სიბერის ჟამს მაინც. მე ვფიქრობ, რომ ამ პროცესს გავდივარ ახლა. ამ პროექტში მთლიანად ქართული მუხტია, უბრალოდ, შეიძლება შესრულების მანერა იყოს სხვადასხვა, თუნდაც ჯაზი. თუმცა, ჩემი აზრით, ჯაზი, უბრალოდ, თავისუფლებას ნიშნავს, თავისუფალი მოქმედებაა და მეტი არაფერი".

გუშინ მედიამ ორსაათიანი საკონცერტო პროგრამის თხუთმეტწუთიანი მონაკვეთი მოისმინა. კოლეგების შთაბეჭდილებებზე ვერაფერს მოგახსენებთ – მე კი, ეჭვიც არ მეპარება, რომ დიდ საკონცერტო დარბაზში ათ მარტს ნამდვილად საინტერესო საღამო მელის. რაც შეეხება პროექტის მომავალს, ირაკლი ნადარეიშვილის თქმით, ახალი საკონცერტო პროგრამა არ იქნება ერთჯერადი. ის ჩაიწერება როგორც ვიდეოზე (სხვათა შორის, ნიაზ დიასამიძე გუშინაც აგროვებდა მასალას ვიდეოფილმისთვის), ისე აუდიოზე. პროგრამის სიცოცხლისუნარიანობაზე კი, ალბათ, მაინც ჯობს, კონცერტის შემდგომ ვისაუბროთ.

# ახალი სასწავლო კურსი - "ქართული სახლი"

სალომე კიკალეიშვილი

*პირველი მარტიდან, ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტის დიზაინის კათედრის მეორე კურსელებს ახალი კურსი - "ქართული სახლი" ეკითხებათ.*



წარსულის მოდერნიზება მომავალში; ნაკლებად ცნობილი ქართული არქიტექტურული ტრადიციების ევოლუცია და განვითარება თანამედროვეობაში – აი ის ზოგადი მიზნები, რომელსაც კომპანია "არსი" თავის პროექტში - "ქართული სახლი" ისახავს მიზნად. არქიტექტურისა და სამშენებლო მენეჯმენტის კომპანია, რომელიც მშენებლობისა და დიზაინის პროფილით უკვე 15 წელია მოღვაწეობს, ფართო საზოგადოებისათვის უფრო ცნობილი და პოპულარული 2002 წელს გახდა, როდესაც საქველმოქმედო "კედლის აქცია" მოაწყო, ჩიქოვანის ქუჩაზე 1500 მეტრის სიგრძის ნაცრისფერი, უსახური, ბეტონის კედელი, რამდენიმე კვირაში, აკადემიის სტუდენტებისა და მხატვრების დახმარებით მხიარულ, ხალისიან კედლად გადააქცია, და ერთ ჩვეულებრივ, ცოტა არ იყოს მიუვალ ადგილს, თავისი კოლორიტი შეუქმნა.

"ქართული სახლი" - სწორედ ასე ჰქვია, კომპანიის პროექტს, რომლის პრეზენტაციაც 2003 წლის აპრილში, ქარვასლაში შედგა. პროექტის მიზანია ქართული არქიტექტურული ტრადიციების პოპულარიზაცია, საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება, სასწავლო კურსის შემოღება და ბოლოს, მუზეუმის - "ღია ცის ქვეშ" რეაბილიტაცია (სადაც კომპანიამ უკვე ჩაატარა ხარჯთაღრიცხვა და ერთ-ერთ სამომავლო გეგმად მუზეუმის აღდგენასა და მის ცოცხალ ორგანიზმად გადაქცევას ისახავს მიზნად). პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო, ზემოთ ხსენებულ მუზეუმში 6 თვის მანძილზე გადაღებული და შეგროვილი ქართული სახლის ფოტოები, რომლითაც კომპანია მთელი ზაფხულის განმავლობაში მოგზაურობდა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩაჰქონდა "ქართული სახლის" ფოტო-გამოფენა. პროექტის პოპულარიზაციისთვის გადადგმულ პირველ ნაბიჯებს, კონკურსი "ქართული დიზაინი" მოჰყვა (ჩატარდება ყოველწლიურად), რომელშიც მონაწილეებს ევალებოდათ ძველი, ტრადიციული ელემენტების გათანამედროვება, ანუ ისევ და ისევ ის ამოცანა, რასაც პროექტი ისახავდა მიზნად. ამ გამოფენის ფოტოებით ღია ბარათები და 2004 წლის კალენდარი "ქართული სახლი" გამოიცა.

პირველი მარტიდან, ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტის დიზაინის კათედრაზე, კათედრის ხელმძღვანელ კოკა ამირეჯიბთან ერთად, კომპანია "არსი" მეორე კურსის სტუდენტებს ახალ სასწავლო კურს "ქართულ სახლს" სთავაზობს.

პროექტის კოორდინატორი, **ნანა მეფარიშვილი** - "ეს, ალბათ, ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო ეტაპია, თუმცა ჩვენ არ ვისახავთ მიზნად, ერთი სემესტრის მანძილზე სტუდენტებისათვის სუფთა აკადემიური განათლების მიცემას. უბრალოდ, გვინდა დავაინტერესოთ ძველი ქართული ტრადიციის გამოყენებით, დავანახოთ ტრადიციული ქართული არქიტექტურა, როგორც რესურსი და მოვძებნოთ მათი განვითარების გზები. ამ რესურს, მშვენივრად იყენებენ უცხოელები. მაგალითად, იაპონელები, რომლებიც დროის წყვეტის გარეშე ზუსტად ათავსებენ წარსულისა და მომავლის ელემენტებს. თანამედროვე მინით და ბეტონით აშენებენ ტიპიურ, ტრადიციულ იაპონურ სახლს. მაშინ რატომ არ უნდა შეგვეძლოს ჩვენ, ჩვენი ტრადიციის გამოყენება? ამ ეტაპზე კურსს გაუძღვება რამოდენიმე მოწვეული პირი, მათ შორის იქნებიან ხელოვნებათმცოდნე, მოქანდაკე, არქიტექტორი, პოეტი. დაწყებული თემით - რა არის საერთოდ სახლი, ტრადიციული ქართული სახლის შესწავლით თუ უცხოეთის ისევ და ისევ ტრადიციის ევოლუციის მაგალითების მოყვანით დამთავრებული, თითქმის ყველაფერზე წაეკითხებათ ლექცია. რა თქმა უნდა, როცა ამ ევოლუციაზე ვლაპარაკობთ, გვერდს ვერ აუვლით ამის ერთ-ერთ ყველაზე კარგ მაგალითს - სუხიშვილების "ასა-ფართის", რომლის შესახებაც თავად ნინო სუხიშვილი წაიკითხავს ლექციას. თეორიული და პრაქტიკული სამუშაოების გარდა, ჩატარდება დისკუსიები, შეძლებისდაგვარად ვივლით მუზეუმში "ღია ცის ქვეშ", სტუდენტებს ამა თუ იმ კუთხის სახლის შესახებ ბუკლეტებს დავამზადებინებთ. ბოლოს კი სტუდენტებს დაურიგდებათ ილუსტრაციებით დართული, მთელი კურსის ჩანაწერი და, რა თქმა უნდა, წამახალისებელი პრიზებიც იქნება: "არსში" პრაქტიკა, ჩვენი სარეკომენდაციო წერილი, "ქართული სახლის" ინტერნეტ საიტზე www.georgianhouse.ge საუკეთესო ნამუშევრების გამოფენა და კურსის ბოლოს ძველ ქართულ ნასახლარზე ლაშქრობა. თუ ამ ყველაფერმა გაამართლა, მაშინ იგი ყოველწლიურ სახეს მიიღებს და შესაძლებელი იქნება მომავალში აკადემიის სტუდენტებსაც წაეკითხოს."

დღეს, თენგიზ აბულაძის ქუჩაზე, ახალ ოფისში გადასული "არსი", რომელიც გაზაფხულისთვის ოფისის პრეზენტაციას გეგმავს, კიდევ ერთ მნიშვნელოვან პროექტზე, კერძოდ კი წიგნის - "ქართული სახლის" შექმნაზე მუშაობს. "თუ ჩვენი ოფისის ბიბლიოთეკაში უამრავი წიგნია: იაპონური სახლი, ფინური სახლი... რატომ არ უნდა იყოს "ქართული სახლი"? ამიტომაც, მომავალში ვაპირებთ, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული, პოპულარული ენით დაწერილი წიგნი გამოვცეთ. არა მარტო ქართულ ენაზე და თანაც დიდი ტირაჟით, რათა უცხოეთის ბაზარზე გატანის საშუალება გვქონდეს და ამით უცხოეთში, ტრადიციული ქართული არქიტექტურის პოპულარიზაციას შევუწყოთ ხელი", ამბობს ნანა მეფარიშვილი.

# ცეკვის ჯადოქარი

### ვახტანგ ჭაბუკიანს 94 წელი შეუსრულდებოდა



"რომ არ ყოფილიყო ვახტანგ ჭაბუკიანი, მაშინ არც ჩვენ ვიქნებოდითო" – თქვა ერთხელ მიხაილ ლავროვსკიმ.

მისი მოწაფეები, დღეს მსოფლიო საბალეტო ხელოვნების წამყვანი მოცეკვავეები არიან: ნინო ანანიაშვილი, ირმა ნიორაძე, იგორ ზელენსკი, ნიკა ცისკარიძე...

ვახტანგ ჭაბუკიანი არ იყო უბრალოდ კარგი მოცეკვავე, პედაგოგი ან ბალეტმეისტერი. ეს იყო რევოლუციონერი, რომელმაც მთლიანად შეცვალა საბალეტო ისტორიის ფურცელი. უსუსური, ქალის დამხმარე მამაკაცი, რომელიც სცენაზე ლამის უფუნქციო ნივთივით იდგა, რაინდულ გმირად, წამყვანად აქცია, როდესაც 1936 წელს დადგმული "მზეჭაბუკით" საფუძველი ჩაუყარა ქართულ ბალეტს. თუ ადრე ბალეტი თავისი "მიწიერი" მოცეკვავეებით სავსე იყო მიმიკითა და ჟესტებით, ჭაბუკიანმა იგი ჰაერში აიტაცა, ქარბორბალას დაამსგავსა წარმოუდგენელი ტრიალებითა და სულის შემხუთველი ენერგიით.

"ეს იყო გენიოსი, ბუმბერაზი ადამიანი, რომელმაც არაფრისგან შექმნა ქართული, ეროვნული, კლასიკური საბალეტო სკოლა. რევოლუცია მოახდინა საბალეტო ხელოვნებაში, როდესაც ქალის სცენიურ დამხმარე მამაკაცს, სულ სხვა, წამყვანი ფუნქცია დააკისრა. შექმნა უამრავი ბალეტი "გორდა", "სინათლე", "დონ კიხოტი", "ოტელო"... შეუძლებელია ყოველი მათგანის ჩამოთვლა. დღეს კი კარნეგი ჰოლში სამი პორტრეტი კიდია: შალიაპინის, ანა პავლოვასა და ვახტანგ ჭაბუკიანის..."- ამბობს ზურაბ კიკალეიშვილი.

დღეს ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიული სასწავლებელი გაუქმებულია ცეკვისათვის და დანგრევის პირასაა. ხოლო მისი სახელი ბევრ ახალგაზრდას არც კი გაუგია.

# "ოსკარის" "პახმელიაზე"

თამარ ბაბუაძე

ბილი კრისტალის იუმორი თავისი ვიდეოარტებითა და გადაკეთებული სიმღერებით, შონ პენის სიტყვა თავისი შეფარული პოლიტიკური გაღიზიანებითა და თავმდაბლობით, კაროლინა ჰერერას, ჟივანშის და ტომ ფორდის კაბები – აი, სულ ის, რაც "ოსკარის" 76-ე ცერემონიალზე მომეწონა, მაგრამ ბოლომდე სიამოვნება ვერც მათი წყალობით მივიღე. ბილი კრისტალის და შონ პენის გაგებაში ხელს ქართული თარგმანი და მის ქვეშ ალაგ-ალაგ დაჭერილი სიტყვები მიშლიდა, ბოლოს კი კაბებს და ლამაზ ხალხსაც ველარ ვათვალიერებდი – ყოველგვარ შემოქმედებით გამომსახველობას მოკლებული შოუს ცქერა მომბეზრდა და კინაღამ ჩამეძინა. მალე კი ძილისკენ, გადაღლილ გონებასა და თვალებთან ერთად, მთელმა სხეულმა "მომიწოდა". მე ხომ "ოსკარს" ფრიად არამომგებიან პოზაში ვუყურებდი – დაძაბული ვიჯექი ზედ ტელევიზორთან მიდგმულ უზურგო სკამზე და უმეტეს შემთხვევაში ყური დინამიკზე მქონდა მიდებული – ქართულის მიღმა როგორმე ორიგინალის ტექსტი რომ დამეჭირა; თუმცა, ამაოდ – შოუს ქართველი წამყვანები არაფერსაც არ თარგმნიდნენ, ძირითადად, არაფრისმომცემი სტატისტიკით მკვებავდნენ და კიდევ უფრო მირთულებდნენ "კოდაკის" თეატრში წარმოთქმული სიტყვების აღქმას. ბოლოს, ცხადია, ამ სტატისტიკიდან მეხსიერებაში აღარაფერი შემომრჩა, გაღიზიანების და დაღლის გარდა; სამაგიეროდ, მრავალგზის მოსმენის შემდეგ კარგად ვისწავლე და არასდროს დავივიწყებ, რომ იმ ღამეს, რაც არ უნდა საოცარი იყოს, "ოსკარის" 76-ე ცერემონიალს ვუყურებდი და რომ პირდაპირი ტრანსლაციის ექსკლუზიურ უფლებას "იმედი" ფლობდა.

მოკლედ, დავიღალე. და თან იმდენად, რომ იმ დღეს არათუ "ოსკარზე" წერის, არამედ "ოსკარის" გაგონების თავიც არ მქონდა. ამიტომაც მომიხდა თემასთან დაბრუნება დაგვიანებით, ანუ, მაშინ, როცა წითელ ხალიჩას უკვე წმენდდნენ ჰოლივუდის ვარსკვლავების მტვრისგან, "კოდაკის" თეატრის წინ სახელდახელოდ მოწყობილ დეკორაციებს კი ხსნიდნენ.

თუმცა, რახან "ოსკარს" "პახმელიაზე" მაინც დავუბრუნდით, მოდით, რამდენიმე საკითხი უფრო ფართო პლანით გავაშუქოთ კიდეც. ანუ, მანამ, სანამ გამარჯვების შემდეგ გონს მოსული შარლიზ თერონი მოიფიქრებს, "ოსკარის" სტატუეტი ბუხრის თავზე შემოდოს, თუ როიალზე, ჩვენ ერთი კითხვა დავსვათ:

მიუხედავად იმისა, რომ კინოაკადემიის ცერემონიალი მსოფლიოში ყველაზე მეტად ყურებადი შოუა, რატომ ვერ უყურა აუდიტორიამ მას წელს აბსოლუტური აღტაცებით?

"ოსკარი" შოუა, ანუ სანახაობა. სანახაობა შოუბიზნესის "ძალაში შესვლის" შემდეგ უამრავ ქვეკატეგორიად დაიყო და უამრავი თვისება და მიზანი შეიძინა: არსებობს შოუ ტელევიზიისთვის, ქუჩისთვის, საკონცერტო დარბაზისთვის, რადიოსთვის. "ოსკარი" ის იშვიათი შემთხვევაა, რომელიც თითოეული ამ შოუს ელემენტს აერთიანებს – წესით, უნდა აკმაყოფილებდეს არა მხოლოდ დარბაზში მყოფ პუბლიკას, არამედ ქუჩაში შეკრებილ ხალხს და ტელევიზორებთან მოკალათებულ აუდიტორიასაც.

ორგანიზატორები ამ ფუნქციების შესრულებას ყველანაირად ცდილობენ: ქუჩაში შეკრებილებს "კოდაკის" თეატრის მისადგომებთან დაგებულ წითელ ხალიჩაზე გამართული სანახაობით ართობენ – გამოპრანჭული ვარსკვლავები სეირნობენ, ხალხი ერთობა. ამ დროს მთელი ძალით მოქმედებს ცნობილი ადამიანების ერთად და ახლოდან, "ცოცხლად" ნახვის პრინციპი.

დარბაზში მყოფი პუბლიკის გართობას საკუთარ თავზე იღებს წამყვანი თავისი იუმორისტული ნომრებით და კონკურსის შედეგები – პუბლიკაზე ხომ განსაკუთრებულად მოქმედებს დალუქული კონვერტის, ანუ საიდუმლოს გახსნის ფენომენი და მოულოდნელობის ეფექტიც – როცა მყარდება ახალი რეკორდი, როცა გაიმარჯვებს სრულიად მოულოდნელი კანდიდატი განცდები მძაფრდება და შოუც "მძაფრსიუჟეტიანი" ხდება.

ცერემონიალს დარბაზში მყოფთათვის განსაკუთრებულად ახალისებენ ხოლმე ექსცენტრული და ემოციური ვარსკვლავებიც, რომლებიც ტირიან, ზედმეტად ეხვევიან ერთმანეთს, მოკლედ, გრძნობებს უჩვეულოდ გამოხატავენ და შოუს მხატვრულობის, კინოს ელფერსაც სძენენ.

დაბოლოს, ამ ყველაფრით, ცხადია, ტელევიზორთან მოკალათებული აუდიტორიაც ერთობა, ოღონდ, ტელევიზია თავისი ჯადოსნური ბუნებით მათ კიდევ უფრო უმძაფრებს განცდებს. ეს იმიტომაც ხდება, რომ ტელეპუბლიკა "ოსკარისთვის" გადამწყვეტია – იყიდება პირდაპირი ტრანსლაციის ლიცენზიები, ჩნდება რეკლამები, ერთი სიტყვით, კინოაკადემიის ქისაში დიდძალი ფული შედის. შესაბამისად, შოუს რამდენიმე პროდიუსერს უნიშნავენ და ერთი მათგანი მხოლოდ ეფექტური ტელეტრანსლაციის უზრუნველყოფაზე იმტვრევს თავს.

სწორედ მისი დამსახურებით ხდება, რომ "ოსკარი" ტელევიზორში სულ სხვა სანახაობად იქცევა ხოლმე – მაქსიმალურად იქმნება დასწრების ეფექტი, დროსა და სივრცეში იჭრება, მონტაჟდება ზედმეტი ეპიზოდები, გამოიყოფა შოუს მთავარი მოქმედი პირები, ყველაზე პოპულარული, იმ წლის "ნიუსმეიქერი" მსახიობები; მეტიც, ეკრანზე მსხვილი პლანით ჩნდება მათი სამოსიც კი. შოუს ახალისებს მოკლე-მოკლე ინტერვიუები და მათ შედეგად სიმულტანურად მიღებული ინფორმაციები (შესაძლოა, სრულიად ფუჭი და არაფრისმომცემი, მაგრამ იმ მომენტისთვის მაინც საინტერესო). ანუ, იმას, რასაც ვერ ხედავს დარბაზის უკანა რიგში ან ქანდარაზე მჯდომი მაყურებელი, დეტალურად ათვალიერებს ტელეეკრანთან მოკალათებული პუბლიკა.

ასე რომ, "ოსკარი" რამდენიმე სახის შოუს ელემენტებს საკუთარ თავში მართლაც აერთიანებს. და თუ ეს ასეა მაშინ, კიდევ ერთხელ გავიმეოროთ კითხვა – რატომ წუწუნებდა "ოსკარის" ბევრი სტაჟიანი მაყურებელი გუშინ, რომ წლევანდელი შოუ სოფლის კლუბში დადგმულ უნიჭო სანახაობას ჰგავდა? ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტებიდან, რომელი აკლდა უკანასკნელ "ოსკარს"?

თუმცა, კითხვას რომ ვუპასუხოთ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ერთი გარემოებაც: "ოსკარს" კიდევ ერთი უცნაურობა ახასიათებს. ის იმ უნიკალურ შოუთაგან ერთ-ერთია, რომელიც მაყურებელს ყველაზე მეტად ვარსკვლავების დასწრების ფაქტორით ართობს ხოლმე და ამით კი, პუბლიკას სთავაზობს მეტ-ნაკლებად სტატიკურ, უმოქმედო, უსიუჟეტო გართობას (თუ გამარჯვებულების გამოვლენას არ ჩავთვლით). ანუ, ფუნქციას, რომელსაც იგივე "ემტივის" ცერემონიალზე სასიმღერო და საცეკვაო ნომრები ასრულებს, "ოსკარის" დროს საკუთარ თავზე ვარსკვლავი იღებს; თანაც, იღებს, უბრალოდ, იმ ფაქტით, რომ შოუს ესწრება. აქედან გამომდინარე, "ოსკარზე" მისული კინოვარსკვლავი ამ შოუსთვის იგივე ფუნქციის მატარებელია, როგორიც მაღალ დონეზე შესრულებულ სასცენო დეკორაციას, ანდა განათებას აქვს. ამიტომაც ცდილობენ საერთო დეკორის ნაწილად ქცეული მსახიობები უმაღლეს დონეზე გამოპრანჭვას – ისინი ხომ "ოსკარის" გარეგნულ კაშკაშს უზადო კაბებითა და ბრილიანტებით უნდა შეუერთდნენ.

ასეთ შემთხვევაში კი, როცა მაყურებლის გართობა-არ გართობის საკითხი, ძირითადად, ვარსკვლავების დასწრების ფაქტორზეა დამოკიდებული, ძალიან დიდი ალბათობა დგება იმისა, რომ შოუ მოსაბეზრებელი გახდეს, დეკორისა და მსახიობების კაშკაშმა და ფართო ღიმილმა – სიყალბის განცდა აღძრას, მთლიანად შოუმ კი – მონოტონურობისა და უსახურობის. ეს რომ არ მოხდეს, "ოსკარი" იმ "მძაფრსიუჟეტიანმა" და მხატვრულმა ეპიზოდებმა უნდა გაახალისოს, რომლებზეც ზემოთ ვსაუბრობდით და რომლებიც წლევანდელ შოუს აკლდა. ალბათ, ამიტომაც ამსგავსებდნენ მას პროვინციულ კლუბში დადგმულ წარმოდგენას.

ნათქვამის დასასაბუთებულად წარსულში ძალიანაც რომ არ გადავვარდეთ, 2003 წლის ცერემონიალი შარშანდელს შევადაროთ. მიუხედავად იმისა, რომ წელს პიტერ ჯექსონმა უდიდესი რეკორდი დაამყარა, მაინც დარწმუნებული ვარ, რომ 2002 წლის ცერემონიალი გაცილებით მეტს დაამახსოვრდება, ვიდრე 29 თებერვლის საღამო იყო. "ბეჭდების მბრძანებლის" შესაძლო ტრიუმფზე ხომ წინასწარვე ისედაც ბევრს წერდნენ. თანაც პირიქით მოხდა და რეკორდმა (11 ნომინაციაშივე გამარჯვება), რომელიც წესით მაყურებლისთვის სანახაობრივი და რეკრეაციული უნდა ყოფილიყო (იგივე მოულოდნელობის ფაქტორის გათვალისწინებით), შოუს მონოტონურობა კიდევ უფრო გაამძაფრა. მობეზრების გრძნობა იმხელა იყო, რომ მთქნარებაზე გადასულ მაყურებელს ველარც ბილი კრისტალის კარგმა ხუმრობებმა უშველა, ვეღარც შარლიზ თერონის ცრემლებმა და ვეღარც სუნთქვაგაგრილებულმა ედრიენ ბროუდიმ; რომ აღარაფერი ვთქვათ – "ოსკარის" მთავარ ფსონზე – პომპეზურ დეკორსა და მის მთავარ, "მსუნთქავ" დეტალზე – ერთად თავმოყრილ გამოპრანჭულ მსახიობებზე.

შარშან კი არ იყო რეკორდი, მაგრამ სამაგიეროდ იყო გაცილებით უფრო "ჯადოსნური" რამ – პოლიტიკა. 2002 წლის ცერემონიალზე ხომ ერთმანეთს შეხვდნენ ორი ძველი ნაცნობი – შოუ და პოლიტიკა. და მიუხედავად იმისა, რომ არ იყო დიდი სკანდალი, არ იყო წითელი ხალიჩა, არ იყო ჯექსონის მსგავსი რეკორდი, ცერემონიალი მაინც ისეთი საინტერესო და დაძაბული გამოვიდა, როგორც ბოლო წლებში – არასდროს.

შარშან მუქი ფერებით დახატულ დეკორს (თავისი შავ სამოსში გამოწყობილი ვარსკვლავებით) ახალისებდა უნიკალური საერთო კონტექსტი – ერაყის ომი და პროტესტი ამერიკის მთავრობის გადაწყვეტილებების მიმართ; ახალისებდა ტანსაცმელზე მიმაგრებული გულსაბნევები მშვიდობის სიმბოლიკით და მდუმარე, პირქუში მსახიობები დარბაზში შესვლის წინ; დაბოლოს, მადლობის სიტყვის ნაცვლად წარმოთქმულ წვრილ-წვრილ, სტანდარტულ პროტესტთან ერთად, შოუს ახალისებდა მაიკლ მურიც – მისი მსვლელობა სცენისკენ, თანდათან, ტალღასავით წამოშლილი მსახიობებითა და გაბრაზებული ტაშით – აჯანყებას ჰგავდა. "მადლობა დედას, მამას და ჩემს ძაღლს, ბიმის" – ამის ნაცვლად მურის მიერ წარმოთქმული ტექსტი კი – "გრცხვენოდეთ, მისტერ ბუშ!" რევოლუციის დაწყებას მოგაგონებდათ.

თუმცა, მართალია, შარშან ჯანყი არ შედგა, მაგრამ პოლიტიკურმა პროტესტმა "ოსკარი" მაინც საოცრად გაახალისა. მეტიც, მოლოდინი ამ კინო-პოლიტიკური ნაზავის მიმართ საზოგადოებაში წინასწარვე იმ დოზებით დაგროვდა, რომ საღამოს დასრულების შემდეგ ბევრს უკმაყოფილების განცდაც დაეუფლა – სისხლი არ დაღვრილა, ბუშს კვლავაც პრეზიდენტი ერქვა და ძველებურად აპირებდა ერაყში ომს.

წელს კი, შარშანდელი საღამოს მთავარ გმირს, მაიკლ მურს სხვა აქტუალური თემატიკით აღჭურვილი ბილი კრისტალი აშაყირებდა. მის ვიდეომონტაჟში, რომლითაც ცერემონიალი გაიხსნა, იყო ასეთი ეპიზოდი: "ბეჭდების მბრძანებლის" დეკორაციაში ჩასმული მაიკლ მური, მორიგ მყვირალა პოლიტიკურ განცხადებას აკეთებს, მაგრამ სიტყვას გველეშაპი აწყვეტინებს – რეჟისორს თავისი გიგანტური ტერფით სრისავს.

იყო კიდევ რამდენიმე პოლიტიკური ხუმრობა – ბუშის საეჭვო სამხედრო სამსახურის შესახებ, დონალდ რამსფელდზე (კრისტალი ირწმუნებოდა, მისი საყვარელი ფილმი "სახიფათო გონების აღსარებააო"), ჰილარი კლინტონზე (მას ყველაზე მეტად ტარანტინოს ბოლო ფილმი "მოკალი ბილი" უყვარსო) და სადამ ჰუსეინზე (ერაყის ექს-პრეზიდენტის "სავიზიტო" კინოსურათი "ხვრელებია" და ვურჩევდი, იქვე, სოროში დარჩესო, ამბობდა კრისტალი).

შონ პენმა კი ყოველგვარი ხუმრობის გარეშე, მაგრამ სამაგიეროდ თავშეკავებულად აღნიშნა: ყველა მსახიობმა კარგად იცის, რომ ერაყში მასობრივი განადგურების იარაღი არ ყოფილაო...

ერთი სიტყვით, წელს პოლიტიკურმა კონტექსტმა ვერ ივარგა – კრისტალის ხუმრობები ხან უმტკივნეულო იყო, ხანაც ზემოდან დაშვებულ კრიტიკას უფრო ჰგავდა, შონ პენის რემარკა კი სიმძაფრეს იყო მოკლებული. ამას დაემატა პიტერ ჯექსონისა და მისი დასის წევრების სცენისკენ 11-გზის ვოიაჟი და ერთფეროვნება და მონოტონურობაც სახეზე იყო – ამ დროისთვის ხომ ისიც ყველამ ზეპირად იცოდა, თუ ვის როგორი კაბა ეცვა და ვის მიერ შეკერილი. 29 თებერვლის საღამოს ერთადერთ ნუგეშად ამიტომაც რჩებოდა ის ნომინაციები, რომლებზეც პიტერ ჯექსონის ფილმი წარდგენილი არ იყო (იქნებ ჯექსონის ნაცვლად სხვა გვარის ამოკითხვას მაინც გაემრავალფეროვნებინა შოუ). როგორც კანადელმა რეჟისორმა დენის არკანმა აღნიშნა, ბედნიერი ვარ, "ბეჭდების მბრძანებელი" საუკეთესო უცხოური ფილმის ნომინაციაშიც რომ არ დომინირებსო.

მოკლედ, ალბათ, სულ ეს იყო, ის მიზეზები, რის გამოც 2003 წლის "ოსკარმა" მაყურებლის დიდ ნაწილს მთქნარება აუტეხა. თუმცა, კინოაკადემიას გამოსწორების შანსი მაინც დარჩა – ის ხომ მომავალ გაზაფხულამდე დაგვემშვიდობა და შოუსთვის საგულდაგულოდ მომზადებას აპირებს. თან, იქნებ "ოსკარს" გაუმართლოს კიდეც და აშშ-ს პრეზიდენტმა ამასობაში რამე უსამართლობაც ჩაიდინოს, მერე ხომ სიმძაფრის და მრავალფეროვნების გარეფაქტორი ბუნებრივად იქნება შექმნილი.






*"ოსკარის" მშვენიერი "დეკორაციები": შარლიზ თერონი ტომ ფორდის კაბაში, რენე ზელვეგერი - კაროლინა ჰერერა,ნიკოლ კიდმანი "შანელი", ანჯელინა ჯოლი - მარკ ბოიერი*



სვეტი



ლაშა ბუღაძე

## საქართველოს ექს-პრეზიდენტის მემუარების შესაძლო ბოლო გვერდი

მართალია ეს ბიჭი! რო შემოვარდა პარლამენტში, სწორად მეიქცა! რას გვერჩოდა ის ჭაღარა კაცი, პარლამენტის სხდომა გახსნილად რო გამოაცხადა?! ზოგი ამბობს, შენ გგავდა ძალიანო, ლაპარაკითაცო, გარეგნობითაცო...

არ ვიყავი, ხალხო, მე ეგ კაცი! რა მინდოდა პარლამენტში?! მეც ხალხთან ერთად ვიდექი, მიტინგზე. თავიდანვე ამ ახალგაზრდებს ვუჭერდი მხარს და ბოლომდე მათ გვერდით ვიყავი. ფაქტობრივად, მევე შევვარდი დარბაზში ვარდით ხელში, უფრო სწორად, ტრიბუნასთან კი ვიდექი, მაგრამ მთელი გულითა და სულით იმ ბოვშვებს ვუჭერდი მხარს, - დაცვა არ მიშვებდა, თვარა ვინ გამაჩერებდა მე?!

ეს ბათუმელი ხალხიც ვერ მევიშორე, ხან სად წამაპროწიალეს, ხან სად... რა მინდოდა მე მაგათ მიტინგზე! ვინ ყოფილა ეს ჯემალი! წესიერი კაცი მეგონა და სული არ ამომხადა, კაცო! სიტყვა მოგვეცი, რო არ გადადგებიო. რატომ, ბატონო, რატომ არ უნდა გადავმდგარიყავი ვითომ?!

იმ რუსმა კაცმა თლათ დამაბნია, ვერ გევიგე, ვის მხარეს იყო, ჯერ ჩემთან მევიდა, მერე იმ ბოვშვების მიტინგზე გეიქცა, ვენაცვალე მაგათ! რა საქმეზე ჩამევიდა, დღესაც ვერ მივმხდარვარ...

რაც შეეხება იმ ამერიკელს, ამერიკის ელჩს საქართველოში, ჭეშმარიტად დიდებული და ყოვლად პატიოსანი კაცი ყოფილა, მე თუ მკითხავ, რავა კარგად მეიქცა, რო ჩამომაგდო!.. მანამდე უნდა ჩამევეგდე, მანამდე! ღირსი ვიყავი...

ეს ამერიკელი არ დამიჩაგროთ, სად გვყავს ჩვენ დასაკარგი ხალხი!

ყველა უნდა დეიჭიროს ამჟამინდელმა პრეზიდენტმა, ყველა! პირველ რიგში, ჩემი ნათესავები, თანაც მანამდე, სანამ ესენი მაგის ნათესავებად არ გადაქცეულან... ჩემ დროს ჩემი ნათესავები იყვნენ, ჩემამდე ამათ მჟავანაძის მძახლებს და ძმიშვილებს ეძახდნენ... თლათ ადრე, სტალინის ნათესავებიც ყოფილან!

მოგიწოდებთ, ყველამ ვარი ვთქვათ ნათესავებზე, მევიცილოთ ეს საზიზღრები თავიდან!

ბევრი კარგი საქმე მაქვს გაკეთებული ქართული კულტურისათვის...

ცეკას მდივნობის დროს, მაგალითად, დღე სამსახურში ვიყავი, ხოლო ღამ-ღამობით რუსთაველის თეატრში მივდიოდი და იქ ვატარებდი რეპეტიციებს... მერე ყველაფერი იმათ რეჟისორს მიაწერეს, თვარა ისე იქანა ყველაფერი ჩემი დადგმულია. ფილმი რო იყო, "მონანიება", მაიც ჩემი გადაღებული გახლავთ, - მაშინ ცეკას მდივნებს, ორი საქმის კეთება გვეკრძალებოდა და ამიტომაც ვრეჟისორობდი, ბოდიში მომითხოვია და, ფარულად. სხვათა შორის, იმ კაცს "დათა თუთაშხიას" იდეა მევე მივაწოდე... მარა, ვინ დამიფასა?!

ეჰ, ვზივარ ახლა სახლში, ვალაგებ, ჭურჭელს ვრეცხავ, ამ ბოლო დროს ქარგვასაც დევეჩვიე, მამშვიდებს...

ვიცი, დადგება დრო, როცა ქართველი და რუსი ხალხი (დამპლები ეგენი!) ღირსეულად დააფასებენ ჩემ ღვაწლს...

...

ჩემო მეგობარო, ძვირფასო გენშერი, რატომ დემივიწყე, რატომ არ მირეკავ, ბიჯო?!

# წამის პოეზია

### უკანასკნელი გამოფენა ბერლინის ძველ მუზეუმში

15 წლის განმავლობაში ქალაქ ბერლინის უდიდესი მუზეუმების კოლექციები განუწყვეტლივ იცვლიდა ადგილსამყოფელს. სულ მალე ამ გაუგებრობას ბოლო მოეღება - პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდის ვარაუდით, ამ ათწლეულის ბოლოს ყველა თავის ადგილს იპოვნის. როგორც ჩანს, ფონდის იმედები გამართლდება, რადგან 2004 წლის განმავლობაში ბერლინში უკვე რამდენიმე მუზეუმი გაიხსნება.

მაისში სავსებით რესტავრირებული კოპერნიკის სასახლე გახსნის კარიბჭეს, და მსურველები აღორძინების და ბაროკოს ხანის ხელოვნების ნიმუშებით დატკბებიან. კულტურის ფორუმი, პოტსდამის მოედანთან, რომელშიც ექსპონატები აქამდე ინახებოდა და რომლის შენობასაც დასრულება ძლივს ეღირსა, დიზაინისა და მოდის ცენტრად გადაიქცევა. ივნისში ქალაქის ცენტრში, სადგურ ცოოსთან, ბინას დაიდებს "ფოტოგრაფიის მუზეუმი", რომლის კოლექციის ბირთვიც ჰელმუტ ნიუტონის დანატოვარი გახლავთ.

სექტემბრის ბოლოს ჰამბურგის სადგურთან თანამედროვე ხელოვნების ნიმუშები გამოიფინება. კოლექციონერმა ფლიკმა დარბაზების კეთილმოწყობისთვის საკმაოდ შთამბეჭდავი თანხები გაიღო და ამ გზით ხმა ჩააწყვეტინა იმ კრიტიკოსებს, რომლებიც ყოველ გავლა-გამოვლაზე მამამისის ბნელ, მესამე რეიხის ამბებთან დაკავშირებულ წარსულს წამოაძახებდნენ ხოლმე.

სახელგანთქმული ბოდე-მუზეუმი, რომლის სარესტავრაციო სამუშაოებიც 2006 წლამდე გასტანს, ოქტომბრის შუა რიცხვებში პირველ დამთვალიერებლებს მიიღებს. უკვე ცნობილია, რომ მუზეუმი კვლავ თავის "ნათლიის", ვილჰელმ ბოდეს პრინციპით იმუშავებს: ბოდე მე-19 საუკუნის ბოლოს მუზეუმის დირექტორი იყო და ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშებს დარბაზებში ეპოქების მიხედვით ათავსებდა. გადაწყვეტილია, რომ მუზეუმში 21-ე საუკუნეებშიც ასეთსავე სხვადასხვა პერიოდის ოთახებს მოვივლით.

მართალია, უზარმაზარი ეთნოლოგიური კოლექციის ბედი ჯერაც ბურუსითაა მოცული. ბერლინელები და ქალაქის სტუმრები ძალიან უკმაყოფილონი არიან, რომ მის დასათვალიერებლად ქალაქის ბოლოში, დალემში უწევთ სიარული. იქვეა "მიმალული" ევროპული კულტურების მუზეუმიც, ფრიად სავალალო მდგომარეობაში მყოფ 70-იანი წლების შენობაში. ამ საგანძურის ქალაქის ცენტრში გადაბრძანების ვადა უცნობია, რადგან ყბადაღებული "ბერლინის სასახლის" აშენებისთვის ქალაქს ჯერჯერობით ფული არ ჰყოფნის.

ბერლინელები თავს იმით ინუგეშებენ, რომ ქალაქის ერთ-ერთი პირველი, კარლ ფრიდრიხ შინკელის მიერ აშენებული ძველი მუზეუმის შენობა 2005 წლიდან თავის სახელს გაამართლებს: მასში ეგვიპტური კოლექცია განლაგდება. ამ კოლექციის ამჟამინდელ ადგილსამყოფელს, შარლოტენბურგში, სიურეალიზმის შედევრები "დაისაკუთრებს".

მარტის დასაწყისში გახსნილი "წამის პოეზია" ძველ მუზეუმში უკანასკნელი ფერწერის გამოფენა იქნება. ეს მე-18 საუკუნის ფრანგული ჟანრული მხატვრობის ერთ-ერთი დიდი კოლექციაა, როკოკოს ხანის მხატვრობის 110 ნიმუშს შეიცავს - პრუსიის მეფე ფრიდრიხ მეორე ამ ხელოვნების დიდი ტრფიალი იყო და ყველაფერს ყიდულობდა, რაზეც კი ხელი მიუწვდებოდა. ამ სიყვარული, შედეგი თუნდაც ისაა, რომ პარიზის გარდა ჟან-ანტონ ვატოს ამდენი ნამუშევარი არსადაა თავმოყრილი, ბუშეს, შარდენის და სხვათა ყოველდღიური ყოფის ამსახველ თუ ფრივოლურ ნამუშევრებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ფეხბურთი

# დიმიტრი რამიშვილი: „ვრწმუნდები, რომ მთავრობას, მართლაც, აინტერესებს ფეხბურთი"

### პროფესიული ლიგის პრეზიდენტი და სპორტის მინისტრი ინტენსიურ თანამშრომლობას იწყებენ

აკა ტონია

უკვე რამდენი წელიწადია, საქართველოს საფეხბურთო სამყარო მთავრობისგან მხარდაჭერას მოითხოვს და ფეხბურთისთვის სახელმწიფო პროგრამის შექმნას სთავაზობს. მთავრობა შეიცვალა და ცხადი ხდება, რომ ფეხბურთისადმი მისი დამოკიდებულებაც სხვა არის.

სულ ცოტა ხნის წინათ საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ფეხბურთს პირად კონტროლზე აიყვანდა. პრეზიდენტამდე კი სპორტის მინისტრია. სწორედ სპორტისა და ტურიზმის სამინისტრომ უნდა შეასრულოს შუამავლის როლი ფეხბურთსა და პრეზიდენტს შორის. ამ სამინისტროს ახლად დანიშნული ხელმძღვანელი, გიორგი გაბაშვილი ფეხბურთის დიდი მოყვარულია და სპორტის ამ სახეობის ხელშეწყობას ნამდვილად არ უნდა დაგვზარდეს.

გიორგი გაბაშვილს შაბათს "საფეხბურთო დღე" ჰქონდა. დილით "დინამოს" ბაზას ესტუმრა, საღამოს კი საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტს, დიმიტრი რამიშვილს შეხვდა. სპორტისა და ტურიზმის მინისტრმა ამ შეხვედრის შესახებ უკვე ისაუბრა ტელევიზიით, თუმცა, უფრო მეტის გაგების სურვილით ჩვენ დიმიტრი რამიშვილს ვეწვიეთ და გაბაშვილთან შეხვედრის დეტალებზე ვთხოვეთ საუბარი.

- ჩვენ შაბათ საღამოს შევხვდით და დაახლოებით ორსაათნახევარს ვისაუბრეთ. მე და გიორგი ერთი თაობის ვართ და კარგადაც გავუგეთ ერთმანეთს. სასიამოვნოა, რომ სპორტისა და ტურიზმის მინისტრს ძალიან ჰყვარებია ფეხბურთი და მშვენივრადაც ერკვევა. მიხარია, რომ სპორტს სწორედ ის განაგებს.

**- კონკრეტულად რაზე ისაუბრეთ?**

- როგორც უკვე გითხარით, მინისტრი ძალიან კარგად ერკვევა ფეხბურთში, თუმცა, საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის საქმიანობაში არ იყო ღრმად ჩახედული. ჩვენი საქმიანობის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდე. ვუთხარი ჩვენი მიზნების, პროფესიული ლიგის დანიშნულების შესახებ და მოვუყევი ის, რაც უკვე გავაკეთეთ. მისთვის სიურპრიზი იყო ის, რომ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგას უკვე ამდენი ძლიერი სპონსორი ჰყავს, რომ ჩვენს გენერალურ სპონსორთან, კომპანია "კოკა-კოლასთან" რვაწლიანი ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული.



*დიმიტრი რამიშვილი სპორტის მინისტრთან შეხვედრით კმაყოფილია.*

ყველა საკითხზე დეტალურად ვისაუბრეთ. მინისტრიც ფიქრობს, რომ ფეხბურთს მთავრობის ხელშეწყობა სჭირდება. შევთანხმდით: უახლოეს მომავალში შევქმნით ერთობლივ სამუშაო ჯგუფს, რომელიც პროფესიული ლიგის, მისი წევრი კლუბებისა და ჩვენი სპონსორი კომპანიების წარმომადგენლებით დაკომპლექტდება. სწორედ ეს ჯგუფი განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა შეუწყოს ხელი საქართველოს საკლუბო ფეხბურთს მთავრობამ.

**- გასაგებია, რომ ფეხბურთს მხარდაჭერა სჭირდება, მაგრამ პრაქტიკულად ეს როგორ წარმოგიდგენიათ, კონკრეტულად რას სთხოვთ მთავრობას?**

- საქართველოში ძალიან ცოტაა სტადიონი, რომლებიც ელემენტარულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. კლუბებს მეტისმეტად მწირი ფინანსები აქვთ, გულშემატკივარი თამაშების სანახავად აღარ დადის. თუ კლუბებმა საფეხბურთო ბიზნესის განვითარება ვერ შეძლეს, ეს პრობლემები ვერ მოგვარდება. საქართველოში საფეხბურთო ბიზნესი არ არსებობს. პროფესიული ფეხბურთის ლიგის დანიშნულება სწორედ ის გახლავთ, რომ მის წევრ კლუბებს ამ ბიზნესის განვითარების პირობები შეუქმნას. ამისთვის კი ლიგას მთავრობის დახმარება სჭირდება, კონკრეტულად - შეღავათი გადასახადებზე. კლუბებისთვის უდიდესი დახმარება იქნება, თუ სტადიონებს მიწის გადასახადს შეუმცირებენ ან გააუქმებენ. დაზოგილი ფულით მათ სტადიონების კეთილმოწყობის საშუალება მიეცემათ. უნდა გაუქმდეს ან თუნდაც შემცირდეს გადასახადი სტადიონზე განთავსებულ რეკლამაზე, იმ რეკლამებზე, რომლებიც მატჩების ტელეტრანსლირებისას გავა ეთერში. ასეთი კანონები ხომ სპონსორებისა და ინვესტორების მოზიდვის ბევრად მეტ საშუალებას მისცემს კლუბებს.

**- დიდი ხანია მოითხოვთ, რომ პარლამენტმა სპორტში ალკოჰოლური სასმელების რეკლამირების ნება დაგრთოთ.**

- დღემდე ამ აზრზე ვართ. ალკოჰოლური სასმელების რეკლამირება ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში დაშვებულია. რეკლამა უკეთდება სპირტიან სასმელებსაც, რომ აღარაფერი ვთქვათ ლუდზე. ფეხბურთი და ლუდი საერთოდაც "განუყრელი მეგობრები" არიან. ჩვენ არ მოვითხოვთ სიგარეტის რეკლამას, თუმცა, მიგვაჩნია, რომ ალკოჰოლური სასმელების რეკლამირების უფლება უნდა გვქონდეს. ასეთი აკრძალვები პირდაპირ აისახება ჩვენი ფეხბურთის მდგომარეობაზე. ამ აკრძალვების სახით, ფინანსურ კრიზისში მყოფი ქართული კლუბები პოტენციურ ინვესტორებს და სპონსორებს კარგავენ. სპორტისა და ტურიზმის მინისტრი სრულიად ეთანხმება ამ აზრს. ის გამოდის ინიციატივით, რომ მთავრობამ შეღავათები დაუწესოს იმ კომპანიებსაც, რომლებიც ფეხბურთს სპონსორობენ. ასევე ისურვა, რომ პროფესიული ლიგის სპონსორები შეხვდნენ საქართველოს პრეზიდენტს.

**- გამოდის, რომ ფეხბურთში ფულის დაბანდება ქართველი ბიზნესმენებისთვის თანდათანობით სარფიანი ხდება.**

- ის ბიზნესმენები, რომლებიც ახლა გვიდგანან გვერდით, მოგებაზე ჯერ არ ფიქრობენ. ფეხბურთში ფულის დაბანდებით მოგების ნახვა ახლა თითქმის გამორიცხულია. მაგრამ ნაცნობობით და ახლობლობით ფულს არავინ მოგვცემს. ჩვენი სპონსორები ქართული ფეხბურთის განვითარებით არიან დაინტერესებული და მოგებაზე ჯერ არ ფიქრობენ. თუ იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ფეხბურთში ჩადებენ ფულს, სახელმწიფო შეღავათებს დააწესებს, ბიზნესმენები კიდევ უფრო დაინტერესდებიან ჩვენით. ფეხბურთის სპონსორობა კიდევ უფრო პრესტიჟული გახდება.

გაბაშვილი ასევე დაგვპირდა, რომ ამიერიდან სახელმწიფო ტელევიზია დიდ ყურადღებას დაუთმობს საქართველოს ჩემპიონატს. უახლოეს ხანებში ჩვენ შევხვდებით ტელევიზიის ხელმძღვანელობას. პროფესიული ლიგა უკვე თანამშრომლობს სხვადასხვა ტელეკომპანიასთან. თუ სახელმწიფო არხი უფრო აქტიურად ჩაებმება ქართული საკლუბო ფეხბურთის პოპულარიზაციის საქმეში, ეს მხოლოდ წაადგება ჩვენს საერთო საქმეს.

**- საქართველოს საფეხბურთო სამყარო ლამის უხსოვარი დროიდან მოითხოვს შეღავათიანი კანონების, სახელმწიფო პროგრამის შემუშავებას. გინდათ თქვათ, რომ ახალი მთავრობის მოსვლით ყველაფერი ფეხბურთის სასიკეთოდ იცვლება?**

- კიდევ ერთხელ გავიმეორებ: სპორტისა და ტურიზმის მინისტრი ყველა საკითხში დაგვეთანხმა და თავიდან ბოლომდე იზიარებს ჩვენს მოთხოვნებს. მას კარგად ესმის, თუ რა სჭირდება ფეხბურთის განვითარებას.

**- გაბაშვილთან შეხვედრისას იგრძენით თუ არა, რომ ფეხბურთი, მართლაც, პრიორიტეტია ქვეყნის პრეზიდენტისთვის?**

- დიახ, ასეა. მინისტრი საოცრად თავდაჯერებულად საუბრობდა. ვგრძნობდი, რომ ის პირობები, რომლებიც მომცა, მართლაც, შეიძლება შესრულდეს. ფეხბურთის ხელშეწყობაზე ასე თამამად საუბრის საშუალებას მინისტრს პრეზიდენტის პოზიციაც აძლევს. ახლა უკვე ვრწმუნდები, რომ საქართველოს მთავრობა სერიოზულად დაინტერესდა ფეხბურთით.

**- მთავრობა დიდ ხელშეწყობას დაგპირდათ. თქვენ რას ჰპირდებით მთავრობას?**

- ჩვენი საერთო სურვილი და ამოცანა ქართული ფეხბურთის კეთილდღეობაა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ფეხბურთის დახმარება სახელმწიფოსთვისაც ძალიან მომგებიანია - ფინანსურ საკითხს ვგულისხმობ. იმ შეღავათებით, რომლებთაც ფეხბურთს დაუწესებს, სახელმწიფო ბევრს არაფერს დაკარგავს, კლუბებისთვის კი დიდი დახმარება იქნება. ამ შეღავათების ხარჯზე ქართული საკლუბო ფეხბურთი განვითარებას შეძლებს და გარკვეული პერიოდის შემდეგ, დიდი სპორტული წარმატებებითა და გაათმაგებული თანხებით, მთავრობის ვალს გაისტუმრებს.

# გამხნევებული ოლივერ კანი და გაბრაზებული რობერტო კარლოსი

ნინო პირველი

ეს იმდენად მნიშვნელოვანი მატჩია, რომ სანამ ერთ-ერთი მათგანი მეოთხედფინალში არ გავა, მანამდე არ შეწყდება მსჯელობა ამ წყვილის შესახებ. 24 თებერვალს "ბაიერნს" გამარჯვების დიდი შანსი ჰქონდა, მაგრამ მატჩი მაინც ფრედ დასრულდა. რამდენად სამართლიანია ასეთი ფინალი? მეტად უსამართლო, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ "რეალის" მხსნელი გოლის ავტორი, ბრაზილიელი რობერტო კარლოსი, ოლივერ კანის კარის აღებამდე კარგა ხნით ადრე იმსახურებდა მოედნიდან გაძევებას. "ბაიერნის" არგენტინელმა ლეგიონერმა მარტინ დემიჩელისმა თავისი ბრაზილიელი კოლეგა წააქცია, რასაც რობერტო კარლოსმა სახეში ჩარტყმით უპასუხა. მატჩის ნორვეგიელ არბიტრს, ტერიე ჰაუგეს ეს ინციდენტი გამოეპარა - მან მხოლოდ არგენტინელის უხეშობა შენიშნა და მას ყვითელი ბარათი უჩვენა. რობერტო კარლოსი გადარჩა და მატჩის დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე გოლიც გაიტანა. ჰაუგეს შეცდომის წყალობით "ბაიერნი" დაისაჯა. "ეს რომ დამენახა, რობერტო კარლოსს აუცილებლად გავაძევებდი", - აღიარა ჰაუგემ გერმანულ "კიკერთან" ინტერვიუში. დაგვიანებული თავის მართლებაა... თუმცა, რობერტო კარლოსი წყლიდან მშრალი მაინც ვერ გამოვიდა. უეფამ ამ ინციდენტის ირგვლივ იმსჯელა და ბრაზილიელ მცველს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. წესით, დამნაშავე სამი მატჩით უნდა დასჯილიყო, მაგრამ უეფამ გაითვალისწინა, რომ მანამდე თავად დემიჩელისმა დაარღვია თამაშის წესი რობერტო კარლოსის წინააღმდეგ. ბრაზილიელს ხუთშაბათამდე შეუძლია ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება. "რეალის" ხელმძღვანელობას რობერტო კარლოსი დამნაშავედ არ მიაჩნია, თუმცა, იმედი არა აქვს, რომ უეფა გადაწყვეტილებას შეცვლის: "ამ სანქციაზე რა რეაქცია უნდა გვქონდეს? ყველაზე კარგი პასუხი ის იქნება, რომ ჩვეულ სტილში ვითამაშოთ და "ბაიერნი" გამოვთიშოთ ჩემპიონთა ლიგას. აი, ეს არის ჩვენი მიზანი", - უთხრა "რეალის" პორტუგალიელმა თავკაცმა კარლოს კეიროშმა ესპანურ "მარკას".




*ნორჩი სებასტიანის ამ პატარა ტრანსპარანტმა მაინც მიიქცია კანის ყურადღება.*

როგორი განწყობაა "ბაიერნში"? რობერტო კარლოსის დასჯა ყველას გაუხარდა: "დისკვალიფიკაცია სამართლიანია. მან ეს დაიმსახურა. "რეალისთვის" იოლი არ იქნება რობერტო კარლოსის გარეშე თამაში. მათ ახლა ერთი იარაღით ნაკლები აქვთ ჩვენს წინააღმდეგ და ჩვენ აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ ეს შანსი", - ამბობს მიხაელ ბალაკი. ოლივერ კანი კი ნელ-ნელა გამოდის კოშმარიდან და ისევ უბრუნდება თავდაჯერებულობა. გერმანიამ უკვე აპატია კანს ის უაზრო შეცდომა, რამაც "რეალი" მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე კიდევ ერთი დამარცხებისგან იხსნა. ბუნდესლიგის გასულ ტურში "ბაიერნისა" და "ვოლფსბურგის" მატჩში ერთი გულისამაჩუყებელი შემთხვევა მოხდა - ოლივერ კანმა და მისმა თერთმეტი წლის ფანმა ზუსტად გაიმეორეს გერმანიაში აგრერიგად პოპულარული ფილმის, "ბერნის სასწაულის" სიუჟეტი. ეს ფილმი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის გერმანიის მძიმე ცხოვრებას ასახავს - შიმშილი, დანგრეული ქალაქები, განადგურებული ფსიქიკა, გაუცხოებული ადამიანები, უიმედობა, ბნელი მომავალი და ფეხბურთი... მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი ბერნში, გერმანია უნგრეთის წინააღმდეგ. ყოფილი ჯარისკაცი ჰელმუტ რანი ტრიბუნაზე ხედავს მოლოდინად ქცეულ პატარა ბიჭუნას, რომლის თვალებში საოცარი მუდარა და იმედი ისახება. ფეხბურთელი გრძნობს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ამ ბავშვისთვის ფინალში გამარჯვება და ყველაფერს აკეთებს მძიმე ცხოვრებისგან განადგურებული ბიჭის გასახარებლად. ოლივერ კანის პატარა გულშემატკივარს ფილმის გმირ მატიასთან საერთო ბევრი არაფერი აქვს, ფეხბურთის სიყვარულის გარდა. 11 წლის სებასტიანი კასელთან ახლოს, ჰაბიხსვალდში ცხოვრობს. თვითონაც მეკარეა და ძალიან უყვარს ოლივერ კანი. მის ოთახში, ყველგან, კანის პლაკატები კიდია. "რეალთან" დაშვებული შეცდომის შემდეგ სებასტიანს ძალიან შეეცოდა თავისი კერპი. ახლა ყველა მას ადანაშაულებს, აუცილებლად უნდა გავამხნევო, - გადაწყვიტა პატარა გოლკიპერმა და მიუნხენში წასვლის წინ დიდი გულმოდგინებით დახატა ტრანსპარანტი: "ოლი", "რეალი" უკვე დავიწყებულია!" "რა აზრი აქვს ამას? მაინც ვერავინ შეამჩნევს", - ჩანაფიქრი დაუწუნა უფროსმა ძმამ, მაგრამ სებასტიანმა მაინც წაიღო თან ტრანსპარანტი და ტრიბუნაზე მოკალათდა თუ არა, მაშინვე გაშალა. ოლივერ კანმა პატარა ფანი პირველი ტაიმის მიწურულს შეამჩნია: "შესვენებაზე, როცა გასახდელისკენ მივდიოდი, თვალი მოვკარი ბიჭს და მის პლაკატს. მისმა გულკეთილობამ შემძრა. წარმოვიდგინე, როგორი მონდომებით გამოყავდა ასოები და მომინდა, სამაგიეროდ გადამეხადა ამ სიყვარულისთვის", - თქვა კანმა. როგორც კი მატჩი დასრულდა, "ოლიმ" ხელთათმანები გაიძრო, "ბაიერნის" დაცვის ერთ-ერთი წევრი, კონრად ჰერტლაინი იხმო და სთხოვა, ხელთათმანები ტრანსპარანტიან ბიჭს გადაეციო. სებასტიანი გაოგნდა. ერთი ამოილუღლუღა, გმადლობთო და მაგრად ჩაიკრა გულში მოულოდნელი საჩუქარი. "ყველა მე მიყურებდა. ხალხი მილოცავდა. მე კი ვკანკალებდი და სიხარულისგან აღარ ვიცოდი, რა მექნა. ხელთათმანები ოფლიანი და ჭუჭყიანი იყო, მაგრამ ბალიშის ქვეშ დავიდე და ისე დავიძინე. ახლა მათ ჯერ ჩემი მეგობრები ნახავენ, მერე კი ჩარჩოში ჩავსვამ და კედელზე დავკიდებ. რა თქმა უნდა, არასოდეს გავრეცხავ", - ბედნიერია სებასტიანი.

ასეთი ფანით ყველა ფეხბურთელი იამაყებდა. ოლივერ კანისთვის ეს ტრანსპარანტი ნამდვილად საჭირო იყო. "ახლა ვიცი, რომ ბევრი გულშემატკივრის კერპი ვარ და შეცდომის უფლება არა მაქვს. მე მათთვის უნდა გავიმარჯვო", - ამბობს გამხნევებული "ოლი". ვნახოთ, სებასტიანის მხარდაჭერა მადრიდშიც თუ გამოიღებს შედეგს...

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** გერმანიის ნაკრებისა და "კაიზერსლაუტერნის" ფორვარდი მიროსლავ კლოზე მომავალი სეზონიდან ბრემენის "ვერდერის" ღირსებას დაიცავს. სატრანსფერო თანხა 5 მილიონი ევროა, ხოლო კონტრაქტი 25 წლის ფორვარდსა და მის ახალ კლუბს შორის 2008 წლამდე არის გათვლილი. "ყოველთვის ვოცნებობდი, მეთამაშა კლუბში, რომელიც ლაღ, შემტევ ფეხბურთს თამაშობს. "ვერდერი" სწორედ ის არის, რაც მინდა", - განაცხადა კლოზემ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** დორტმუნდის "ბორუსიასა" და ჩეხეთის ნაკრების გამთამაშებელმა ტომაშ როსიცკიმ "ვერდერის" მცველ მლადენ კრსტაიჩთან შეჯახების შედეგად ხელი მოიტეხა. ჩეხი ნახევარმცველი მინდორს 6 კვირის შემდეგ დაუბრუნდება. ასე რომ, ევროპის ჩემპიონატისთვის როსიცკი მოასწრებს ოპტიმალური ფორმის აღდგენას. "ექიმებმა მითხრეს, რომ გერმანიის ჩემპიონატის ბოლო ოთხი ტურის მატჩებშიც შევძლებ თამაშს, ოღონდ სპეციალური ბანდაჟით", - თქვა როსიცკიმ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლონდონის "ფულჰემის" კონტრაქტს "ტვენტეს" 18 წლის ფორვარდთან, კოლინს ჯონთან ჰოლანდიის ფეხბურთის ასოციაციის სხდომაზე განიხილავენ. "თუ კონტრაქტის ხელმოწერისას ფიფას წესები დაირღვა და ჯონის აგენტს, რომეო ზონდერვანს ფიფას ლიცენზია არა აქვს, მაშინ ზომებს მივიღებთ", - განაცხადა ფიფას წარმომადგენელმა ფრანკ ჰუიზენგამ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერს შეხვდა. მათი განხილვის საგანი იყო ინგლისის ნაკრების მცველის რიო ფერდინანდის 8-თვიანი დისკვალიფიკაცია, რომელმაც ერთ-ერთი მატჩის წინ დოპინგ-კონტროლზე უარი თქვა. "მე ბლერს ვუთხარი, რომ რიო ფერდინანდის ისტორია უაღრესად საჩვენებელია. ეს კარგი მაგალითია იმისთვის, თუ როგორ უნდა იბრძოლო დოპინგის წინააღმდეგ", - განაცხადა ბლატერმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ზეპ ბლატერს სურს, ინგლისის პრემიერლიგაში გუნდების რაოდენობა 16-მდე შეამციროს. ბლატერის აზრით, 20 გუნდი ინგლისის შიდა პირველობისთვის ძალიან ბევრია. თუმცა, ფიფას პრეზიდენტს დათმობაზე წასვლაც შეუძლია. თუ ინგლისის თასზე გადათამაშებები შეწყდება, მაშინ პრემიერლიგაში შეიძლება 18 გუნდიც იყოს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის "ჩელსის" ფეხბურთელი ჯო კოული აპირებს, კლუბის ხელმძღვანელობას თხოვნით მიმართოს ტრანსფერის თაობაზე. 22 წლის ფეხბურთელმა წლევანდელ სეზონში მხოლოდ 11-ჯერ ითამაშა "ჩელსის" ძირითად შემადგენლობაში და არც ერთხელ – მატჩის ბოლომდე. კოულს სურს, მდგომარეობა ამ ორი თვის განმავლობაში გაირკვეს, რადგან ფეხბურთელი შიშობს, რომ ევროპის ჩემპიონატის წინ ეროვნულ ნაკრებში ადგილს დაკარგავს. შეგახსენებთ, რომ კოულს იანვარში შეეძლო, არისტოკრატების ბანაკი დაეტოვებინა. მას "ჩარლტონის" ფეხბურთელზე, სკოტ პარკერზე ცვლიდნენ. თუმცა, "ჩარლტონის" ხელმძღვანელობამ არჩია, ფეხბურთელისთვის თანხა - 10 მილიონი გირვანქა აეღო.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ფიფას აღმასკომმა დაამტკიცა 2005 წლის მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ახალი ფორმატი. ჩემპიონატი, რომელშიც სხვადასხვა კონტინენტის ტურნირებში გამარჯვებული 6 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, 8 დღეს გაგრძელდება. ევროპისა და სამხრეთ ამერიკის საუკეთესო გუნდები ნახევარფინალური ეტაპიდან ჩაებმებიან ტურნირში.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ბარსელონამ" 2007 წლამდე გააგრძელა კონტრაქტი 20 წლის ფორვარდ სერხიო გარსიასთან. კლუბის ხელმძღვანელთა განცხადებით, მომავალში გარსია გუნდში წამყვან როლს შეასრულებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ნუ დააბიჯებთ ფეხს იენს ლემანს", - ამბობენ ინგლისში. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ დააჯარიმა "საუთჰემპტონის" ფეხბურთელი კევინ ფილიპსი, რადგან მან შეგნებულად დააბიჯა ფეხი "არსენალის" გერმანელ მეკარე იენს ლემანს. შეგახსენებთ, რომ ინციდენტი 29 დეკემბერს, პრემიერლიგის მატჩში მოხდა.

■ ■ ■

**კალათბურთი.** ევროლიგის ჩემპიონმა, ესპანეთის "ბარსელონამ", ახალი კალათბურთელი შეიძინა. კლუბმა კონტრაქტი გააფორმა დანიელ ცენტრ კრისტიან დრეიერთან. საინტერესოა, რომ კონტრაქტში არის პუნქტი, რომელშიც წერია: მოთამაშეს უფლება აქვს, დატოვოს კლუბი იმ შემთხვევაში, თუ მას NBA-ში თამაშის შანსი მიეცემა.

■ ■ ■

**კალათბურთი.** რუსი ანდრეი კირილენკო NBA-ის დასავლეთ კონფერენციაში კვირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. "იუტა ჯაზის" ფორვარდი მატჩში საშუალოდ 25 ქულას, 10,7 მოხსნას, 2,7 გადაცემას და 1,67 ჩაჭრას ახორციელებდა. აღმოსავლეთ კონფერენციაში საუკეთესოდ მიიჩნიეს "დეტროიტელი" ბენ უოლესი.

■ ■ ■

**წყალბურთი.** ლოზანაში გაიმართა ქალთა ოლიმპიური ტურნირის წინასწარი ეტაპის კენჭისყრა. A ჯგუფში თავი მოიყარეს საბერძნეთის, ავსტრალიის, იტალიისა და ყაზახეთის გუნდებმა. B ჯგუფში კი ერთმანეთს შეეჯიბრებიან აშშ-ის, უნგრეთის, კანადისა და რუსეთის გუნდები. ოლიმპიური თამაშების ნახევარფინალურ ეტაპზე ჯგუფების ორ-ორი გამარჯვებული ითამაშებს.

ფეხბურთი

# წითელი და შავი ჯენარო გატუზოს ცხოვრებაში

ნინო პირველი



ჯენარო გატუზო მუდამ "მილანის" ერთგული იქნება.

ჯენარო ივან გატუზო, მეტსახელად "რინო". მას ყველა იცნობს, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს "მილანის" თამაში. მასზე შეუპოვარი და გაუტეხელი ფეხბურთელი, ალბათ, მეორე არ არის სერია ა-ში. ის არასოდეს ეცემა სულით, არასოდეს კარგავს გამარჯვების იმედს. რაც უნდა დაღლილი იყოს, ბრძოლას მაინც არ წყვეტს. ალბათ, გახსოვთ, რა უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა გასული წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში, "მილანისა" და "იუვენტუსის" მატჩში, როცა კარლო ანჩელოტიმ გატუზოს შეცვლა დააპირა. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში ფეხბურთელები მწვრთნელს არ ედავებიან და, რაც უნდა უკმაყოფილონი იყვნენ, მაინც უხმოდ გადიან მოედნიდან. გატუზო სხვანაირად მოიქცა. როცა მიხვდა, რომ ანჩელოტი მის შეცვლას აპირებდა, "მილანის" სათადარიგოთა სკამთან მიიჭრა და მწვრთნელს ემოციურად დაუწყო მტკიცება, რომ ეს მცდარი გადაწყვეტილება იყო. ყველასთვის გასაოცრად, ანჩელოტიმ აზრი შეიცვალა და გატუზო მოედანზე დატოვა. არც უნანია. გახარებულმა "რინომ" ისეთი გაათმაგებული ენერგიით ითამაშა, რომ "იუვეს" გადაღლილ ფორვარდებს სულ დაუფრთხო ანგელოზები და უდიდესი წვლილი შეიტანა "მილანის" გამარჯვებაში. აი, ასეთი სულით ძლიერი ფეხბურთელი გახლავთ მაფიოზის ჰაბიტუსის მქონე ჯენარო გატუზო. "რინო" უსაზღვროდაა შეყვარებული თავის "მილანზე". ვერც კი წარმოუდგენია სხვა გუნდში თამაში. წითელი და შავი მისი უსაყვარლესი ფერებია. არც არის გასაკვირი - უდიდეს პროფესიულ წარმატებებს გატუზომ სწორედ "მილანის" შავ-წითელი მაისურით მიაღწია. ამ მაისურით გახდა შარშან ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული და ამავე მაისურით მოიგებს წლეულს "სკუდეტოსაც". "მილანში" უკვე აღარავინ ეჭვობს, რომ "რომა" და "იუვენტუსი" ვეღარ შეძლებენ ჩემპიონობისთვის ბრძოლას. ასე რომ, გატუზოს, სულ ცოტა, ერთი ტიტული მაინც უკვე განაღდებული აქვს...

ჯენარო გატუზო ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა მტკიცე ხასიათით. 13 წლისამ მხოლოდ იმიტომ მიატოვა მშობლიური სახლი, რომ მის კორილიანო სკიავონეში ფეხბურთის სკოლა არ იყო. ბავშვები პლაჟზე აგორებდნენ ბურთს და ზღვის პირას, სილაში სწავლობდნენ თამაშს. გატუზოს ბავშვობის შემდეგ კორილიანოში ბევრი არაფერი შეცვლილა. ფეხბურთით გატაცებული პატარა ბიჭები ისევ სილაში თამაშობდნენ, რაც "მილანის" ნახევარმცველს საშინლად არ მოსწონდა. ამიტომაც დააარსა თავისი სახელობის ფონდი, რომელიც კორილიანოში ფეხბურთის განვითარების პროექტს აფინანსებს. ახლა კორილიანოელი ბიჭები ფეხბურთის ტექნიკას სპეციალურ სკოლაში სწავლობენ და გატუზოსა და მის "მილანს" მხურვალედ გულშემატკივრობენ. ხუმრობა ხომ არ არის, იტალიის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბის ნახევარმცველი მათი თანასოფლელია! გატუზოს ოჯახი დღესაც კორილიანოში ცხოვრობს. "რინოს" უმცროსი და, ფრანჩესკა, ძმის ბიზნესს უძღვება. როგორც ამბობენ, ფრანჩესკა ძალიან ჰგავს სახელგანთქმულ ძმას. პარიკი რომ გაუკეთო, ნამდვილი "რინო" გატუზო იქნებაო, - იცინის ჯენარო. გატუზოს მშობლიურ მხარეში ორი სპორტული მაღაზია აქვს, სადაც ფრანჩესკას ენერგიულობის წყალობით ყველაფერი არაჩვეულებრივად მიდის. მეორე და, იდა, ძალიან განსხვავდება ჯენაროსგან. წყნარი და მორიდებულია, თუმცა, რინოს ისიც ძალიან უყვარს. "გრძნობების გამოხატვა არ შემიძლია. გულჩათხრობილი ვარ, დებს და მშობლებს ვერ ვეუბნები, როგორ მიყვარს ისინი. მეტისმეტად მიწებებული ვარ ჩემს ოჯახზე", - მორცხვად შენიშნავს მოსიყვარულე შვილი. თურმე გატუზოს დედა იმდენად მკაცრი ყოფილა, რომ ბავშვობაში ჯენაროს და მის დებს სასტიკად უკრძალავდა კედლებზე საყვარელი ფეხბურთელების პლაკატების გაკვრას. დედიკო არც მაშინ მოლბა, როცა მისი ვაჟიშვილი მთელ იტალიაში სახელგანთქმული ფეხბურთელი გახდა - გატუზოების სახლში ისევ აკრძალულია კედლების პლაკატებით აჭრელება. ჯენაროს მამაც "მილანის" ფანი გახლავთ. დღემდე ძალიან მოსწონს ჯანი რივერა, რომელიც თანამედროვე ფეხბურთის ყველა სუპერვარსკვლავს ურჩევნია.

ოჯახის გარდა, კიდევ ორი არსება გატუზოს ცხოვრებაში, რომლებიც "მილანის" ნახევარმცველს ამქვეყნად ყველაფერს ურჩევნია - მისი საცოლე მონიკა და ძაღლი სემი. "ჰობი თითქმის არც მაქვს. თუ თავისუფალ დროს ვიპოვი, მირჩევნია, მონიკასთან ერთად ვიყო. მონიკა ძალიან მიყვარს. ის ჩემი დანიშნულია და ერთ დღეს ჩემი მეუღლე გახდება. ჩემი ყოველი თავისუფალი წუთი მხოლოდ მას ეკუთვნის. სემიც ჩემი ცხოვრების ნაწილია. თავიდან მონიკა წინააღმდეგი იყო, არ უნდოდა ძაღლი, მაგრამ ნელ-ნელა შეუყვარდა სემი. ჩვენ მუდამ ერთად დავრბივართ მილანელოზე: მე წინ, სემი კი - უკან. ბოლოს ორივე ვიღლებით და ენაგადმოგდებული ვეცემით მინდორზე. სემი არაჩვეულებრივია", - ამბობს გატუზო.

"მილანის" ნახევარმცველის სიმაღლე მეტრი და 77 სანტიმეტრია და 77 კილოს იწონის. იდეალური წონა ნამდვილად არ გახლავთ. "ეს მონიკას დამსახურებაა. ისეთ გემრიელ ტირამისუს ამზადებს, რომ უარს ვერასოდეს ვამბობ. ნუტელაც ძალიან მიყვარს", - ცოდვებს აღიარებს ტკბილეულის მოყვარული გატუზო. ტირამისუ და ნუტელა სულაც არ უწყობს ხელს ზედმეტი წონის მოშორებას... თუმცა, ანჩელოტი გატუზოს ნამდვილად არ უჩივის. ტირამისუთი გამოკვებილი გატუზო ისეთი ჯანიანია, რომ მასთან პირისპირ ბრძოლას ყველა თავს არიდებს. გატუზო მეტად ჯიუტია და უკან დახევა არ იცის. მეტოქესთან მომხდარ ინციდენტში ის ყოველთვის მართალია. რა თქმა უნდა, მსაჯები ასე არ ფიქრობენ და "მილანის" გლადიატორს ზოგჯერ წითელ-ყვითელი ბარათებითაც აჯილდოებენ, მაგრამ ეს არცთუ ისე ხშირად ხდება. გატუზომ იცის, რომ წითელი ბარათის მიღება "მილანის" ღალატს ნიშნავს და ბოლო წუთებში მაინც ახერხებს თავის მოთოკვას. აქამდე "მილანს" არასოდეს შექმნია პრობლემები მისი ფიცხი ხასიათის გამო.

გასული წელი წარმატებული იყო გატუზოსთვის - "მილანმა" ჩემპიონთა ლიგა და იტალიის თასი მოიგო. "რინო" არც ამ სეზონში უჩივის ბედს. გარდა იმისა, რომ "მილანს" "სკუდეტოს" მოპოვების დიდი შანსი აქვს, 2004 წლის ივნისში ის მამა გახდება. გატუზო და მისი მონიკა გოგონას ელოდებიან. ჯერ თვითონაც არ იციან, რას დაარქმევენ პატარას. "ამაზე მონიკამ უნდა იფიქროს. ბიჭი რომ ყოფილიყო, მე შევურჩევდი სახელს, მაგრამ რადგან გოგონაა, ჯობს, დედამ დაარქვას", - ამბობს მომავალი მამა. "სკუდეტო", ჩემპიონთა ლიგის თასი და პირველი შვილი - ფეხბურთელისთვის მეტი პროფესიული და პირადი ბედნიერების წარმოდგენა შეუძლებელიც კია. ჰოდა, აბა, რა გასაკვირია, რომ ჯენარო გატუზო ძალზე კმაყოფილია თავისი ბედით და ჰარმონიული ცხოვრებით ტკბება?

მოკლედ

# თანამშრომლობის ხიბლი

ლონდონის "ჩელსისა" და ჰოლანდიის "პსვ ეინდჰოვენის" თანამშრომლობამ თავისი შედეგი საკმაოდ სწრაფად გამოიღო. კერძოდ, პსვ-ს ფორვარდი არიენ რობენი მომავალი წლიდან ლონდონური კლუბის ღირსებას დაიცავს. ხელშეკრულების საერთო თანხა 12 მილიონი გირვანქა სტერლინგია. ჰოლანდიური სააგენტო ANP-ის ცნობით, 20 წლის ფორვარდმა უკვე მიაღწია "ჩელსისთან" 5-წლიან პირად შეთანხმებას. ინგლისელებმა კი ეს ფაქტი მას შემდეგ გაახმაურეს, რაც ჰოლანდიურ კლუბთან შეთანხმებას მიაღწიეს.

შეგახსენებთ, რომ მას შემდეგ, რაც "ჩელსის" რუსი ოლიგარქი რომან აბრამოვიჩი ჩაუდგა სათავეში, კლუბმა ახალი ფეხბურთელების შესაძენად 100 მილიონ გირვანქა სტერლინგზე მეტი დახარჯა. შარშანდელ სეზონში რობენის ყიდვა "მანჩესტერ იუნაიტედს" სურდა, მაგრამ მაშინ ჰოლანდიელებმა ფეხბურთელი არ დათმეს. სერ ალექს ფერგიუსონს ახალგაზრდა ფორვარდის გამოყენება პერსპექტივაში - რაიან გიგზის ნაცვლად სურდა.

რობენმა, რომელიც "გრონინგენიდან" 2002 წელს გადავიდა "პსვ ეინდჰოვენში", ეროვნულ ნაკრებში ოთხი მატჩი ჩაატარა და ორი გოლი გაიტანა, მათ შორის - გამარჯვების გოლი წინა თვეში გამართულ ამხანაგურ მატჩში აშშ-ის წინააღმდეგ.

ახლო მომავალში ჰოლანდიური კლუბი ლონდონის "ჩელსის" სრულუფლებიანი ფარმ-კლუბი გახდება. მხარეებს შორის შეთანხმების ნაწილი თანამშრომლობის შესახებ გულისხმობს ბრაზილიის "სანტოსიდან" მცველ ალექსის შესყიდვას. შეთანხმების მიხედვით, "ჩელსიმ" აიღო ვალდებულება, სატრანსფერო თანხის ნაწილი გადაიხადოს. სანაცვლოდ, "პსვ", თავის მხრივ, ვალდებულია, ორი წლის შემდეგ ფეხბურთელი ლონდონელებს დაუთმოს.

ანალოგიურად მოიქცა "მანჩესტერ იუნაიტედი", მაგრამ ეს 1998 წელს იყო. მაშინ ინგლისელები ბელგიის "ანტვერპენთან" თანამშრომლობდნენ.

# რონალდინიომ ესპანურ ტაძარს მინა ჩაუმსხვრია



რონალდინიოს სარეკლამო რგოლს ტაძრის ფანჯარა შეეწირა.

ესპანური "ბარსელონას" ბრაზილიელმა ფორვარდმა რონალდინიომ სარეკლამო რგოლში გადაღების დროს ბურთით ერთ-ერთი ტაძრის მინა ჩაამსხვრია. რონალდინიოს ტაძრის შესასვლელთან სარეკლამო რგოლში იღებდნენ. მას ძლიერი დარტყმა უნდა განესახიერებინა.

სარეკლამო რგოლის რეჟისორმა ემილ სამპერმა განაცხადა, რომ ყველაფერი მისი ბრალია. "მე რონალდინიოს ვთხოვე, რაც შეიძლება, ძლიერად დაერტყა და მან ეს გააკეთა, თუმცა, უხეიროდ", - თქვა სემპერმა. ბრაზილიელმა მინა ჩატეხა. ის არავითარ კულტურულ ღირებულებას არ წარმოადგენს, სულ 1,2 ევრო ღირს.

საბჭომ კულტურის დარგში ამ მოვლენას დიდი მნიშვნელობა არ მიანიჭა. მათ თქვეს, რომ ტრადიციული Fuegos del Apostol-ის დროს ტაძრის მინები მუდმივად იმსხვრევა და მათ უპრობლემოდ ცვლიან. მინის აღდგენის საქმეში ყველა საჭირო ხარჯს გაიღებს იმ სარეკლამო სააგენტოს დაზღვევა, რომელიც რგოლს იღებდა.

შეგახსენებთ: რონალდინიო პირველ სეზონს ატარებს "ბარსელონას" შემადგენლობაში. ფეხბურთელი კატალონიურ კლუბში ფრანგული "პარი სენ-ჟერმენიდან" გადავიდა. სატრანსფერო თანხამ 30 მილიონი ევრო შეადგინა.

ამისთვის "ბარსელონა" რონალდინიოს მიერ გატანილი შესანიშნავი გოლებით დაჯილდოვდა. ბოლო გოლმა კი კატალონიელებს "ოსასუნასთან" გამარჯვება და სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილი არგუნა. ახლა ბრაზილიელის ანგარიშზე 14 გოლია. მათ შორის 8 ესპანეთის ჩემპიონატში გაიტანა.

ფორმულა 1

# სამეფო რბოლა და ფსონები

ბიგა ბურასაშვილი




შუმახერი წლეულსაც ბუკმეკერების ფავორიტია.

2003 წელი, ისევე როგორც რამდენიმე წინამორბედი, მიხაელ შუმახერის სახელის ირგვლივ ტრიალებდა. ბუნებრივია, "ფერარის" გერმანელი პილოტის ოსტატობისა და ტიტულების წყალობით. მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებული, ალბათ, მაინც შარშანდელი სეზონი გამოდგა. ფაქტობრივად, სამეფო რბოლების ბოლო ეტაპამდე გაურკვეველი რჩებოდა, თუ ვინ დაეუფლებოდა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს. აქედან გამომდინარე, სამეფო რბოლების მოყვარულთა მზერა "სუძუკას" ტრასისკენ, იაპონიის გრან-პრისკენ იყო მიპყრობილი. მოვლენები შუმახერის სასარგებლოდ განვითარდა. უფრო სწორად, "ფერარის" პილოტმა მოახერხა, მთავარი ტიტული მდევრებისთვის ცხვირწინ აეცალა. ერთი სიტყვით, იაპონიის გრან-პრის ერთგვარად გორდიას კვანძის როლი ეკისრებოდა. კვანძი კი, მოგეხსენებათ, იტალიური საჯინიბოს ლიდერმა - შუმახერმა გახსნა, რაც მისთვის რიგით მეექვსე აღმოჩნდა. ასეთი მაჩვენებელი კი მხოლოდ არგენტინელ ხუან-მანუელ ფანხიოს ჰქონდა.

2003 წლის სეზონის გათვალისწინებით, კარს მომდგარი ჩემპიონატის მიმართ ამჯერად უფრო გამძაფრებულია ინტერესი, რადგან ზოგიერთ საჯინიბოს იმედი მიეცა, ამასთან, არცთუ უსაფუძვლო, რომ დაფნის გვირგვინი მათ დარჩებათ. მართალია, პრეტენზია ადრეც ჰქონდათ, მაგრამ ახლა იმდენად მომძლავრდნენ, რომ ექსპერტები საჩემპიონო კვარცხლბეკზე "მაკლარენ-მერსედესს" ან "BMW-უილიამსის" პილოტებს ხედავენ. ყურადღებას ამახვილებენ "რენოზეც". ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე რბოლის მოგებას "რენოსაც" უწინასწარმეტყველებენ, თანაც, ხშირად გაისმის ვარაუდი, რომ შუმახერი მეშვიდე ტიტულს ვერ დაეუფლება.

მიუხედავად ამისა, იტალიელები ამ ვარაუდებსა და ეჭვებს აინუნშიც არ აგდებენ და ავსტრალიის გრან-პრის სრულ საბრძოლო მზადყოფნაში ხვდებიან.

"ჩვენ ვიღებთ გამოწვევას, - აცხადებს მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი. – მეჩვენება, რომ უსაფუძვლოა ეჭვები, რომ ორივე ტიტულისთვის (კონსტრუქტორთა ჩათვლა და პილოტთა საჩემპიონო დავა) ბრძოლაში ხელი შეგვეშალოს.

მართალია, კონკურენტებმა ტესტებზე შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწიეს, მაგრამ არც ჩვენ ვართ გულხელდაკრეფილნი. ძალების სრული თანაფარდობა პირველივე რბოლაზე გამოჩნდება, რომელსაც მოუთმენლად ველი".

შუმახერი "ფერარის" უმთავრეს კონკურენტებს "BMW-უილიამსში" და "რენოში" ხედავს: "თუმცა, ჩემპიონთა დავაში არც "მაკლარენ-მერსედესს" გამოვრიცხავდი", - ესეც შუმახერის ნათქვამია.

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ შუმის კოლუმბიელი ხუან-პაბლო მონტოია ("BMW-უილიამსი") და "მაკლარენის" ფინელი პილოტი კიმი რაიკონენი გაუწევენ მეტოქეობას. სწორედ რაიკონენის ბრალი იყო, რომ 2003 წლის ჩემპიონის ბედი იაპონიის გრან-პრიმდე გაურკვეველი რჩებოდა.

როგორც უნდა იყოს, ფაქტია: ახალი სეზონი წინამორბედზე ბევრად დაძაბული და ინტრიგით სავსე იქნება. მანამდე კი საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) პრეზიდენტი მაქს მოსლიც საკუთარ ვარაუდს გამოთქვამს. ეჭვიანი ექსპერტებისგან განსხვავებით, მოსლი კვლავაც შუმახერის ჩემპიონობას ხედავს: "მიხაელს იმდენად ხშირად გაუმარჯვია, რომ ბევრს ავიწყდება: მას შეეძლო ყოველი ჩემპიონატის მოგება 1994 წლიდან მოყოლებული, ოღონდ 1996 წლის გამოკლებით, როდესაც შუმი "ფერარიში" გადავიდა და გარკვეულ სიძნელეებს წააწყდა.

მოახლოებული სეზონის წინ ბევრი შუმახერის წინააღმდეგ საუბრობს. ისე კი, სულ ერთია, ვინ გახდება ჩემპიონი. ერთი რამ ცხადია: ჩემპიონობისთვის ბრძოლა უშეღავათო იქნება. გაგვიმართლებს, თუ ჩემპიონის ვინაობას ისევ ბოლო რბოლისას შევიტყობთ. ფანხიოს თუ უმართლებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი საჭირო დროს საჭირო მანქანას მართავდა. შუმახერი კი ორ სხვადასხვა გუნდში ექვსჯერ გახდა ჩემპიონი".

როგორც ყოველთვის, ფორმულა 1-ის ჩემპიონატის წინ გამოცოცხლებაა ბუკმეიკერთა შორის. ბრიტანული საბუკმეიკერო კანტორები უკვე იღებენ ფსონებს, რომლის მიხედვით პროგნოზების გაკეთებაც შეიძლება. ამ კანტორების აზრით, მელბურნში, ავსტრალიის გრან-პრიზე, გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი მიხაელ შუმახერს აქვს. თითქმის ასეთივე შანსს უწინასწარმეტყველებენ ხუან-პაბლო მონტოიასაც. წლეულსაც, ისევე როგორც შარშან, ანალოგიურ ნუსხას შუმახერი ლიდერობს. სხვაობა ის გახლავთ, რომ შარშან მონტოიას ადგილზე "ფერარის" მეორე პილოტი, ბრაზილიელი რუბენს ბარიკელო იყო. აქვე გთავაზობთ იმ ფსონების თანაფარდობას, რომელიც ავსტრალიის გრან-პრისთვისაა შედგენილი.

| | |
|---|---|
| **მ. შუმახერი** | **2/1** |
| **მონტოია** | **3/1** |
| **რაიკონენი** | **6/1** |
| **რ. შუმახერი** | **6/1** |
| **ბარიკელო** | **7/1** |
| **ალონსო** | **9/1** |
| **კულჰარდი** | **12/1** |
| **ტრული** | **20/1** |
| **ბატონი** | **33/1** |
| **სატო** | **66/1** |
| **უებერი** | **100/1** |
| **და მატა** | **125/1** |
| **ფიზიკელა** | **125/1** |
| **პანისი** | **125/1** |
| **ჰაიდფელდი** | **150/1** |
| **მასა** | **200/1** |
| **კლინი** | **250/1** |
| **პანტანო** | **250/1** |
| **ბრუნი** | **500/1** |
| **ბაუმგარტნერი** | **500/1** |

TV-სპორტი

## ოთხშაბათი. 3 მარტი

**НТВ+ ФУТБОЛ**
07:00 NBA TV. "SACRAMENTO KINGS"-"LOS ANGELES CLIPPERS". პირდაპირი ტრანსლაცია
09:30 NBA TV. NBA-ს მსოფლიო ტური 2003
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
01:25 თავისუფალი დარტყმა
01:40 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
02:35 02:35-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. დღიური
04:30 NBA TV. "NEW YORK KNICKS" - "PHILADELPHIA 76 ERS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ-ПЛЮС СПОРТ**
11:00, 14:00, 20:15 პრესცენტრი
11:15, 20:30 "ოლიმპის შვილები"
11:20 "ჰარმონიის ფორმულა"
11:35 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "TORONTO MAPLE LEAFS" – "BOSTON BRUINS"
13:45 "ჰარმონიის ფორმულა"
14:15 ჭადრაკი. სუპერტურნირი ლინარესში
15:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
16:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში
16:30 სუპერკროსი
17:00 ბრძოლა წესების გარეშე - Ultimate Fighting Championships
18:10 "NHL – პლუს"
18:25 კალათბურთი. ფიბა ევროლიგა. ფინალი. "ურალ გრეიტი" (რუსეთი) – "ჰაპოელი" (ისრაელი). პირველი მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:35 სახვალიო ტელეპროგრამა
20:40 "თოვლის სამყარო"
21:10 ათენის გზაზე
22:10 "Power week - NHL-ის კვირა"
22:40 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "TORONTO MAPLE LEAFS" – "BOSTON BRUINS"
00:40 ჭადრაკი. სუპერტურნირი ლინარესში
01:10 "NHL – პლუს"
01:25 ახალი ამბები
01:40 სინქრონული ცურვა. საერთაშორისო ტურნირი
03:10 03:10-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "DETROIT RED WINGS" - "CALGARY FLAMES". პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
11:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასი სლოვენიაში
12:00 ფრისტაილი. მსოფლიო თასი აშშ-ში
12:30 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
13:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ბედნიერი საათი
14:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში
15:30 მულტისპორტი
16:00 ფეხბურთი. ევროგოლები
17:00 ბალახის ჰოკეი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი ესპანეთში
18:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი აშშ-ში
20:00 მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ყატარში
23:30 მულტისპორტი ოთხშაბათობით
23:45 გოლფი. PGA ტურნირი აშშ-ში
00:45 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი პორტუგალიაში
01:15 ახალი ამბები
01:30 ფეხბურთი. უეფას თასი
03:30 ექსტრემალური სპორტი. ზამთრის ექსტრემალური თამაშები აშშ-ში
04:15 ახალი ამბები

# მოხსუბარი



ჩელინი – პერსევსი

## ოქრომჭედელი

იტალიური რენესანსის სცენაზე გალანტურ და დახვეწილ **კასტილიონესა** და მხიარულსა და თავხედ **არეტინოს** გვერდით თავისი ადგილი ეკუთვნის ამაყსა და დაუდეგარ **ბენვენუტო ჩელინის**.

ცნობილი მოქანდაკე და ოქრომჭედელი ამავე დროს მნიშვნელოვანი პროზაიკოსიც იყო. მან დაწერა თავისი ავტობიოგრაფია, რომელიც მრავალ ენაზეა თარგმნილი და იტალიური ლიტერატურის ერთ-ერთ მარგალიტს წარმოადგენს.

ჩელინი ფლორენციაში დაიბადა 1500 წელს. მამამისი ღარიბი მუსიკოსი იყო. შვილს რცხვენოდა თავისი წარმომავლობის და მთელი ცხოვრება იმას ამბობდა, იულიუს კეისრის ერთ-ერთი სარდლის შთამომავალი ვარო. ცხრამეტი წლისამ ერთი უჯიშო ცხენი შეიძინა და რომში გაემგზავრა. აქ ერთი სახელმოხვეჭილი ოქრომჭედლის სახელოსნოში დაიწყო მუშაობა, მალე სახლი მოიწყო და რომის არხეინ ცხოვრებაშიც შეაბიჯა. ათლეტური აღნაგობისა და სანდომიანი პირისახის ბენვენუტო მუდამ მზად იყო ჩხუბისთვის, მაგრამ ამავე დროს ერთობ სასიამოვნო მოსაუბრეც იყო და ყოველივე ამისთვის დიდი წარმატებით სარგებლობდა ქალებში.

პაპმა კლიმენტ VII-მ მალევე დაიახლოვა ეს ნატიფი ოქრომჭედელი და ფლეიტის დახელოვნებული დამკვრელი. ჩელინიმ მაშინვე საკუთარი სახელოსნო გახსნა და რომში ყველაზე მნიშვნელოვანი ოქრომჭედლის სახელი დაიმკვიდრა. მისი ღუმელიდან გამოდიოდა მონეტები, ბეჭდები, ზარდახშები, ოქროსა და ვერცხლის სხვადასხვა ნაკეთობა. ამ ნამუშევრებით მდიდრდებოდა პაპისა და მდიდარი რომაელი პრელატების პირადი კოლექციები. მას სახელად მიდასიც კი შეარქვეს, იმ მითიური მეფის მოსაგონრად, რომლის შეხება ყველაფერს ოქროდ აქცევდა. აღარავის ახსოვდა, რომ ბენვენუტო საბოლოოდ გამოაძევეს ფლორენციიდან ერთი ჭაბუკის მკვლელობისათვის. არც რომში უკლო ჩხუბსა და დავიდარაბას. თან არასოდეს შეჰპარვია ეჭვი საკუთარ სიმართლეში.

მაგალითად, ერთგან წერს, რომ მის მოწინააღმდეგეს სახეში გაარტყა, მაგრამ მან "შიშისაგან თავი მოაბრუნა და დარტყმა ყურს ქვემოთ მოუხდა. იქვე მეორე დარტყმაც მივაყენე და ისიც მკვდარი დაეცა, თუმცა ეს არ ყოფილა ჩემი სურვილი". მაშასადამე, ჩელინის აზრით, ყოველთვის მსხვერპლი იყო დამნაშავე. ალბათ, ამ აზრზევე იდგა პოლიციაც, რადგან პაპის ოქრომჭედელი მუდამ დაუსჯელად გამოდიოდა ყველა ფათერაკიდან.

როდესაც 1527 წელს რომს გერმანელი ლანდსკნეხტები, ანუ დაქირავებული ჯარისკაცები შემოეწყვნენ ალყით, ჩელინი ქალაქის დასაცავად პირველ რიგებში იბრძოდა. მისმა ტყვიამ მოკლა **ბურბონი** და მძიმედ დაჭრა ჰერცოგი **ფილიბერტ ორანჟელი**. გათავისუფლებულ ქალაქში დაბრუნებულმა პაპმა ყოველწლიური პენსია დაუნიშნა ომის გმირს.

პაპს იმდენად უყვარდა ეს თავნება ხელოვანი, რომ ყველაფერი აპატია, ყველაფერი, ერთის გარდა. როდესაც გაიგო, რომ ჩელინი ოქროს ნაკეთობებში ძვირფას ლითონს იპარავდა და თავის ქმნილებებს ფალსიფიცირებული მეტალისაგან ამზადებდა, მისი დაპატიმრება და ჩამოხრჩობა ბრძანა. მაგრამ ოქრომჭედელმა დროზე გაასწრო ნეაპოლში, სადაც სატრფო ეგულებოდა.

პაპმა **პავლე III**-მ კვლავ რომში მოიწვია ჩელინი, მაგრამ მალე მტრად გადაეკიდა საკუთარი ვაჟის, **პიერ-ლუიჯი ფარნეზეს** გამოისობით. ჩელინი პარიზს გაემგზავრა და **ფრანსუა I**-ის კარზე დაიწყო სამსახური. მაგრამ აქ ცივად შეხვდნენ: საფრანგეთის კარის ოქრომჭედლები იმწამსვე შურით აღივსნენ, რადგან იცოდნენ, რომ ჩელინი ყველას აჯობებდა. კვლავ აიყარა გუდა-ნაბადი ბენვენუტომ და რომში დაბრუნდა. მაგრამ იქ ერთმა მისმა შეგირდმა რომის ალყის დროს ეკლესიის გაძარცვა დააბრალა და 1538 წელს პიერ-ლუიჯი ფარნეზემ ჩელინი სანტ-ანჯელოს ციხესიმაგრეში დაამწყვდია. აქ ერთი წელი დაჰყო ხელოვანმა ბიბლიის კითხვასა და მტრების წყევლაში. ერთხელ გაქცევაც კი სცადა, მაგრამ ფეხი მოიტეხა და შეიპყრეს. ჰერცოგ **იპოლიტე დ`ესტეს** შუამდგომლობით გათავისუფლებულმა კვლავ საფრანგეთს მიაშურა, სადაც ფონტენბლოში მეფე ფრანსუამ თავისი ბრწყინვალე კარი განათავსა.

ამჯერად საფრანგეთის მეფემ ერთი ციხე-დარბაზი დაუთმო ჩელინის. იქ მცხოვრებმა აზნაურებმა მისი დაცლა დააგვიანეს და ბენვენუტომ ავეჯი ფანჯრებიდან გადაუყარა. ერთ-ერთმა პარიზის სასამართლოში უჩივლა, მაგრამ შურისძიების მიზნით ბენვენუტომ მას ხმლით დაუჩეხა ფეხები.

1558 წელს ჯერ კიდევ ოცი წლის ჭაბუკის მსგავსად ჯან-ღონით სავსე ჩელინი ყველასათვის მოულოდნელად ბერად აღიკვეცა. სწორედ მაშინ დაიწყო თავისი ავტობიოგრაფიის წერა. მასთან ერთად სცენიდან ჩამოვიდა იტალიელი რენესანსული ავანტიურისტის ტიპი: გენიალობისა და უწესობის, ცინიზმისა და ღვთისმოსაობის, სიამაყისა და მლიქვნელობის ეს უცნაური ნარევი.



ჩელინი – სამარილე

# რენესანსული მეძავები

XVI საუკუნის ჩვენთვის უკვე ცნობილმა იტალიელმა მწერალმა, **პიეტრო არეტინომ** დაგვიტოვა უაღრესად საინტერესო თხზულება "ექვსთა დღეთა". მაგრამ საღვთისმეტყველო ტრადიციისაგან განსხვავებით აქ ღვთის მიერ სამყაროს შექმნის ისტორია კი არაა განხილული, არამედ მოყვანილია დედისა და ქალიშვილის საუბრები. დედა, სახელად **ნანა**, უკვე გამოცდილი როსკიპია. ის თავის ქალიშვილს, **პიპას** ხელობის საიდუმლოებებს აცნობს და სასარგებლო რჩევებს აძლევს. თხზულებაში ასახულია ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარდატეხა, რომელიც XVI საუკუნის პირველ მესამედში მოხდა: ჩვეულებრივი პროსტიტუციისათვის დამახასიათებელ უნარჩვევებს მიემატა სოციალური მიმეტიზმის, ანუ მიმბაძველობის ჩვევები, რომლებსაც ქალისათვის მაღალი საზოგადოებისკენ გზა უნდა გაეკვალათ. სწორედ ეს გარდატეხაა ასახული გამოცდილი დედის დარიგებაში.

სამყაროში, სადაც პირფერობა მეფობს, სადაც მეძავთა რაოდენობა ცხოვრების სიძნელეთა პირდაპირპროპორციულად იზრდება, ამ საბრალო ქალების უმრავლესობა უბადრუკი არსებობისთვისაა განწირული. ამიტომაც ნანას ერთ-ერთი შეგონება ასეთია: "ვინც თავისი მარიფათით სასწაულებს არ მოახდენს, სადილსა და ვახშამს ვერასოდეს მიირთმევს ერთსა და იმავე დღეს. ლამაზი თვალები და ოქროსფერი ნაწნავები არ კმარა: ხელოვნება და იღბალია მთავარი. დანარჩენი სისულელეა". სწორედ რომაელი მეძავის პირიდან გვესმის ჩვენ პირველად დღევანდელი ბიზნესის უმთავრესი დევიზი: წარმატება ხელოვნებაა.

ხელოვნება კი იმაშია, რომ გააკოტრო მამაკაცები, გააგიჟო ისინი, ერთმანეთს გადაჰკიდო და ამით იშოვო დღიური სარჩო. ამას კიდევ ათასი სხვა ხერხიც მოსდევს: ასჯერ გაყიდო საკუთარი ქალწულობა შაბში მოხარშული ფისის საშუალებით, ასიამოვნო მოხუცებს, თორმეტ საყვარელს გადაახდევინო ერთი გატეხილი თეფშის საფასური. მაგრამ დედა მაინც არ ურჩევს ქალიშვილს ამ ხერხების ბოროტად გამოყენებას: სოციალური გარდატეხის სურნელი უკვე იგრძნობა ჰაერში, ამიტომაც ახალგაზრდა პიპა ჩვეულებრივი აშარი დედაკაცი კი არა, ნამდვილი კურტიზანი უნდა გახდეს და მის მთავარ იარაღად სოციალური მიმეტიზმი უნდა იქცეს. ამიტომ ნანას მთავარი დარიგება შემდეგია: "ლოგინში იმდენად ბოზი უნდა იყო, რამდენადაც ანგელოზი სხვაგან".

ნანას რჩევებიდან მომდინარეობს ქცევის კოდექსი, რომლის დამუშავება 1530 წლისთვის დასრულდა და რომელიც "პატიოსან კურტიზანთა" სამოქმედო გეგმად იქცა ჯერ იტალიელ დიდგვაროვანთა კარზე, შემდეგ კი მთელ ევროპაში.

## სად ცხოვრობენ

დაბალი რანგის მეძავებზე ბევრი არაფერია ცნობილი. ისინი, ალბათ, დუქნებსა და საჯარო აბანოებში მოღვაწეობდნენ. მაგრამ წარმატებული მეძავები საუკეთესო უბნებში ქირაობდნენ ბინებს, სადაც წარჩინებულ კლიენტებს მისვლა არ ეთაკილებოდათ. რომში ყველაზე სახელგანთქმული კურტიზანები სასახლეებსაც იძენდნენ და რომის კურიის სიახლოვეს ცხოვრობდნენ. წმიდა პეტრეს ტაძრის არქივებიდან ირკვევა, რომ XV საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან მოყოლებული, ზოგიერთი კურტიზანი ლეგალური კონტრაქტის ძალით ცხოვრობდა თვით ბაზილიკის კუთვნილ ბინებში. 1517 წლის დოკუმენტი კი გვამცნობს, რომ რომაელი კურტიზანებისათვის უცხო არ იყო იმ სახლების ქირაობა, რომლებიც საეკლესიო საკუთრებად ითვლებოდა.

არც ვენეციელი კურტიზანები ცხოვრობდნენ მათ რომაელ კოლეგებზე ნაკლებად. ზოგი მათგანი კანალ გრანდეს ნაპირას ბინადრობდა მდიდრულ სახლებში. მათ ბინებს არ აკლდა ძვირფასი ავეჯი, ჭურჭელი, გობელენები და სხვა მოწყობილობა. ვენეციელი მწერალი **მატეო ბანდელო** მოგვითხრობს, რომ ესპანეთის ელჩს ერთ ასეთ ბინაში შესვლისას პირზე ნერწყვი მოადგა, მაგრამ სხვა ადგილი ვერ იპოვა და ერთ-ერთ თავის მსახურს შეაფურთხა სახეში, რათა ძვირფასი ხალიჩები არ წაებილწა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ 1542 წელს ვენეციის სენატმა მიიღო განჩინება, რომლის თანახმად კურტიზანებს ეკრძალებოდათ აბრეშუმით გაწყობილი ავეჯის ფლობა. დაშვებული იყო მხოლოდ ბერგამოსა და ბრეშაში წარმოებული ჩვეულებრივი ქსოვილები. მაგრამ სხვა მრავალი დეკრეტის მსგავსად, ეს კანონიც შეუსრულებელი დარჩა, ვენეციელ მეძავთა ატრიბუტიკას კი სხვადასხვა ჯიშის კატები და ძაღლები, ეგზოტიკური ფრინველები და მაიმუნები შეემატნენ.



ტიციანი – ვენერა

## სხეულის მოვლა

პროფესიული მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, რენესანსული კურტიზანები გაცილებით უფრო მეტ დროს უთმობდნენ სხეულის მოვლას, ვიდრე სხვა ქალები. ნანას დარიგება კბილების გაწმენდით იწყება, ოღონდ კოლგეიტისა და ბლენდექსის მაგიერ იმ დროს, უბრალოდ, ზეწრის კიდეს იყენებდნენ: "ეს გაღვიძებისთანავე უნდა გააკეთო, საწოლში, სანამ კბილის ნადები ჰაერის ზემოქმედებით არ გამაგრდა".

ადგომის შემდეგ აბაზანა უნდა მიიღო. ეს დღის განმავლობაში მხოლოდ პირველი აბაზანაა, რადგან ნანა თავის ქალიშვილს ხშირ ბანაობას ურჩევს. ამიტომაც მობანავე ქალი მხატვრებისთვის საყვარელ ობიექტად იქცა. სწორედ მობანავე კურტიზანი გამოსახა, მაგალითად, ვენეციელმა **ტინტორეტომ** თავის სურათზე "სუსანა და მოხუცები". წყალი აუცილებლად უნდა ყოფილიყო შეზავებული სურნელოვანი ბალახებით. მაგრამ ნანა ამბობს, რომ მკვეთრი სურნელი არასოდეს უნდა გამოიყენოს ქალმა, რადგან ეს უფრო იმას შეეფერება, ვინც საკუთარი სიმყრალის დაფარვას ცდილობს.

რაც შეეხება მაკიაჟს, აქ სხვადასხვა თვალსაზრისები სუფევს. ნანას არჩევანი ზომიერებაა: "ოდნავი, სულ ოდნავი სიწითლე საკმარისია იმისათვის, რომ უძილო ღამის ან მცირე უქეიფობის დანატოვარი ფერმკრთალობა გააქროს".

მაგრამ გარეგნობაზე ზრუნვა აქ არ მთავრდება. იქნებ იშვიათობისკენ სწრაფვა ან უძველესი დროიდან შემორჩენილი ცრურწმენები იყო იმის მიზეზი, რომ აღორძინების ხანის იტალიელები თითქმის მხოლოდ ქერათმიან ქალებს წყალობდნენ. ოქორსფერი თმები იყო მიჩნეული მშვენიერების ეტალონად, თუმცა კი აპენინის ნახევარკუნძულზე იშვიათად გვხვდება. ასეა თუ ისე, ქერათმიანობა მოდაშია და ამიტომ არა მარტო კურტიზანები, არამედ ყველა წარჩინებული ქალი ცდილობს ამ მოდას აჰყვეს.

დიდი **ტიციანი** წერს, რომ ვენეციური სახლების სახურავებზე სპეციალური სოლარიუმებია მოწყობილი, სადაც კურტიზანები და დიდგვაროვანი ბანოვანები თმებს საგანგებო ხსნარებით იუფერულებენ, მწველი მზის ქვეშ იხუნებენ და უდიდეს ტანჯვას ითმენენ სილამაზისთვის. იმდროინდელი ლიტერატურა სავსეა სხვადასხვა "მღებავი შამპუნების" რეცეპტებით. ძირითადი კომპონენტი თეთრი ღვინის თხლე და ზეითუნის ზეთია. ქალებს ეს ნარევი უნდა შეეზილათ თმებში და მერე მზის გულზე უნდა დაწოლილიყვნენ და დიდი ხნის განმავლობაში ევარცხნათ. ასევე პოპულარული იყო ნაცრისაგან მიღებული სხვადასხვა მათეთრებელიც.

## ტანსაცმელი

სხეულზე ზრუნვა ჩაცმის გარეშე უქმია! მოდა კი იტალიაში ქალაქების მიხედვით იცვლება. მაგრამ ყველგან კურტიზანებსა და დიდგვაროვან ქალებს აერთიანებს იშვიათი და ძვირადღირებული ქსოვილების სიყვარული და რთული ვარცხნილობებისკენ სწრაფვა. ამ ფონზე საინტერესოა, რომ ნანა თავის ქალიშვილს ტანსაცმელში მოკრძალებას ურჩევს, რადგან სწორედ მოკრძალებაა დახვეწილი გემოვნების საფუძველი: არავითარი ნაქარგი, არავითარი აბრეშუმის კანტები და ფოჩები — ეს ყველაფერი ხომ ძალიან ძვირი ღირს და ძალიან მალე ფუჭდება; არავითარი კორსეტი და წელში გამოყვანილი კაბები! მაგრამ ნანას რჩევა, როგორც ეტყობა, შეუსმენელი დარჩა.

აი, მწერალი **პიეტრო ფორტინი** აგვიწერს თვრამეტი წლის კურტიზანს: "მდიდრული ტანსაცმელი ეცვა, ოქროს ურიცხვი ბალთითა და მარგალიტის მტევნით შემკული. სამკაულების ეს ერთობლიობა სწორედ რომ მზესავით ბრწყინავდა". სტუმრად მოსულ ფორტინის ახალი აღმოჩენები ელის, როცა მოახლე თავის ქალბატონს ხდის და ღამისთვის ამზადებს: "მუქი წითელი ატლასის პერანგი, ოქროს ძეწკვებითა და პატიოსანი თვლებით მოფენილი".

კორრეფორმაციის წლებში პაპებმა **პიუს IV** და **პიუს V**-მ აუკრძალეს კურტიზანებს აბრეშუმისა და ხავერდის, ოქროსა და მარგალიტების ტარება. მათ ჩვეულებრივ შესამოსელად წელზე თეთრი ქამრით შემორტყმული შავი სარჟის მოსასხამი იქცა, მაგრამ ქალები ამ მოსასხამის ქვეშ მაინც იმოსებოდნენ აბრეშუმისა და ხავერდის კაბაში, მაინც ატარებდნენ ოქროსა და პატიოსანი თვლების სამკაულებს.

ვენეციაშიც ძალიან ბევრი კანონი იქნა მიღებული კურტიზან ქალთა შესამოსელის რეგლამენტირებისთვის, მაგრამ ყველაზე დიდი პრობლემა ის გახდა, რომ მათი გარჩევა ჩვეულებრივი დიდგვაროვანი ქალებისაგან თითქმის შეუძლებელი იყო. ვენეციელი როსკიპების ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი იყო ეგრეთ წოდებული "ძოკოლო", ანუ ჩლიქი: იგულისხმება ფეხსაცმელი ძალიან მაღალი ქუსლებით — ორმოც სანტიმეტრამდე. ამგვარ კოთურნებზე შემდგარი ქალი თავისუფლად დასეირნობდა ვენეციის ატალახებულ ან ადიდებული წყლის ფენით დაფარულ ქუჩებში და შორიდანაც ჩანდა. დღემდე იტალიურ ენაში შემორჩა სიტყვა "ლა ძოკოლა" — რომლითაც მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს აღნიშნავენ.

## საჯარო გამოსვლა

სხეულზე ზრუნვისა და შემოსვის შემდეგ დგება საჯარო გამოსვლის დროც. აქ იწყება კურტიზანი ქალის ხანგრძლივი სამუშაო დღე.

დილის საათები, ჩვეულებრივ, ქუჩაში სეირნობით იწყება. თან თაყვანისმცემელთა მეტ-ნაკლებად მრავალრიცხოვანი რაზმი დაჰყვება და ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან იმ ნუგბართა და სამშვენისთა ყიდვაში, რომელთა გასინჯვის ან ფლობის ახირება მოუვა მათი ოცნების ქალბატონს. კვირაობით კურტიზანები ასეთივე ამალის თანხლებით ტაძრისკენ მიეშურებიან: ეს მსვლელობა პურიტანებისა და ქალაქის მთავრობის რეგულარულ რისხვას იწვევს, მაგრამ ეს რისხვა მალევე ცხრება.



ტინტორეტო – სუსანა და მოხუცები

არეტინოს თხზულებაში "ძოპინოს განაზრებანი" აღწერილია რომაელი კურტიზანების შესვლა ეკლესიაში. დიალოგის პერსონაჟი ძოპინო აღშფოთებას გამოთქვამს: როგორ შეიძლება დავუშვათ, რომ ეს ბოზები ასე ადვილად შედიოდნენ წმინდა ადგილებში, ელლაბუცებოდნენ ხან ერთს და ხან მეორეს, ხუმრობდნენ და იცინოდნენ? თითქოსდა ეკლესიებში მთელი წლის განმავლობაში კარნავალი იყოს! რომის მსგავსად ვენეციაშიც მრავალი კანონი იქნა გამოცემული, რომელთა ძალით იკრძალებოდა კურტიზანების შესვლა ეკლესიებში დიდი დღესასწაულების დროს. მაგრამ ჯარიმის, თავისუფლების აღკვეთისა და სხვა სასჯელთა მუქარის მიუხედავად, თვით კანონთა სიმრავლე ეჭვს ქვეშ აყენებს მათი შესრულების ფაქტს.

ეს ყველაფერი მშვენივრადაა ცნობილი ნანასათვის. ამიტომაც ურჩევს ქალიშვილს, რომ ეკლესიაში ყოველთვის მოკრძალებულად მივიდეს, ხელში ლოცვანი ეჭიროს და საკურთხევლის მახლობლად ყოველთვის მუხლი მოიყაროს.

ამის შემდეგ კურტიზანი ქალი სადილობს. სადილი საკმაოდ მოკრძალებულია და ქალიც მას მარტო ან ახლობელთა მცირე წრეში მიირთმევს. ნასადილევს კი ვიზიტების დრო დგება.

ზოგჯერ ვინმე განსაკუთრებულ პიროვნებას კურტიზანი თვითონ ეახლება ხოლმე, მაგრამ ეს იშვიათად ხდება. უმრავლეს შემთხვევაში ქალი მასპინძლობს. მთელი დღის განმავლობაში არ წყდება ნაცნობი და უცნობი კლიენტების რიგი. თვით მიღების ხარისხი იცვლება კურტიზანის "კლასისა" და სახელმოხვეჭილობის მიხედვით. ყველა მათგანი ცდილობს თავისი ხასიათისა და მიდრეკილებების მიხედვით აირჩიოს კლიენტები. ზოგს სულ ახალგაზრდები ახვევია, სხვებს — უფრო მოწიფული მამაკაცები ან სულაც მოხუცები; ზოგი ქალაქის ბიუროკრატიაზე "სპეციალიზდება", ზოგი — სამხედროებზე, ზოგიც — ვაჭრებსა და კომერსანტებზე. ვენეციაში სპეციალობები კიდევ უფრო მეტადაა განსაზღვრული, ვიდრე რომში. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, ვენეციის რესპუბლიკის უფრო რთული სოციალური სტრუქტურა და სახელმწიფო აპარატის თავისებურებებია. აქ კურტიზანთა უმრავლესობა თავს სალონებში იყრის. ყველაზე განთქმული სალონები იყო: იმპერია, მადრემა-ნონ-ვუოლე, გასპარა სტამპა, ვერონიკა ფრანკო. კურტიზანების გარდა აქ მოდიან რჩეული მწერლები, პოეტები, მხატვრები.

დროდადრო ესა თუ ის მდიდარი კლიენტი ამა თუ იმ კურტიზანთან ერთად დროებით განმარტოვდება ხოლმე ბუდუარში, მაგრამ ძირითადი დრო პოეტურ ასპარეზობას, პროზაული ნაწარმოებების ხმამაღალ კითხვასა და კონცერტებს ხმარდება. თვით კურტიზანებმა ზეპირად იციან მთელი პეტრარკა და არა მარტო ის, არამედ ვირგილიუსისა და ჰორაციუსის მრავალი ლათინური პოემა თუ ლექსი. კურტიზანობა ერთადერთი პროფესიაა, სადაც ქალს აუცილებლად მოეთხოვება განათლება.

XVI საუკუნის ვენეციელი კურტიზანი ქალი, **გასპარა სტამპა** რენესანსის ეპოქის თვალსაჩინო ლირიკული პოეტია, რომელმაც არაერთი შედევრი შეიტანა იტალიური ლიტერატურის საგანძურში.

**ნოდარ ლადარია,**
**ლეილა ბეზარაშვილი**

# სექსის ნიადაგზე შერყეული ეგომანი თუ?..

## უსმინეთ კლაუს კინსკის!



ანგირა - ღვთის რისხვა

რამდენიმე თვის წინათ გერმანული მედია იუწყებოდა, რომ სულ მალე მუსიკალურ მაღაზიებში მიბრძანებულნი კლაუს კინსკის ჩანაწერების მოსმენას შეძლებდნენ. კომპაქტ-დისკები უკვე იყიდება, დიდი წარმატებითაც, რაც სულ არ მაკვირვებს, რადგან იმის მიუხედავად, რომ საქართველოს საშუალოსტატისტიკური მოქალაქისთვის ეს საკმაოდ ძვირადღირებული სიამოვნებაა, მეც აუცილებლად შევიძენდი - რემბოსა თუ დოსტოევსკის მოყვარული იმდენად არ გახლავართ, რამდენადაც მუდამ აღტაცებული ვარ "ღვითის რისხვით" - კლაუს კინსკით.

მის შესახებ უამრავ ლეგენდას ჰყვებიან. ერთ-ერთი ლეგენდა ასე ჟღერს: კინსკი მხოლოდ ანაზღაურებისთვის მუშაობდა. როდესაც რამე ფილმში მონაწილეობას შესთავაზებდნენ, ის არც რეჟისორის ვინაობას კითხულობდა, არც ფილმის შინაარსს და არც თავის როლს. ის კითხულობდა: "რამდენად?" მას მხოლოდ ეს აინტერესებდა, და შესაბამისად, იმხანადაც, როცა იტალიაში ცხოვრობდა და მუშაობდა, ის ფელინის, ვისკონტისა და პაზოლინისთანა დიდოსტატებსაც ასე ელაპარაკებოდა.

კინსკის შემოქმედებით ჯგუფთან ერთად მუშაობა, პრაქტიკულად, არ შეეძლო – ის თავის სიახლოვეს ვერავის იტანდა და უდიდეს რეჟისორებსაც კი მასთან გარკვეული დისტანციის დაჭერა უხდებოდათ. გამონაკლისი ალბათ მხოლოდ ვერნერ ჰერცოგი იყო – მართალია, არც ის ჰყავდა ხოლმე მაინცდამაინც კარგ დღეში. კლაუს კინსკი რომ ვერნერ ჰერცოგს არ შეხვედროდა, რომელთან ერთადაც 1973 წელს "ანგირა, ღვთის რისხვა" და კიდევ ოთხი სურათი გადაიღო, მსოფლიო ვერასოდეს გაიგებდა, რა ნიჭი იმალებოდა გარეგნულად საოცრად მიმზიდველი, მაგრამ მხოლოდ დეტექტივების, საშინელებათა ფილმებისა და ბრიყვული ვესტერნების გმირების უკან (მართალია, სერჯო კორბუჩის "გვამებით მოკირწყლული გზა" ამ ჟანრის ფილმებს შორის მაინც გამონაკლისი იყო). თუმცა, კლაუს კინსკი აქაც ახერხებდა იმას, რომ ნებისმიერი, თუნდაც უმნიშვნელო როლის შესრულების დროს მაყურებლის ყურადღებას დაუფლებოდა. დევიდ ლინის "დოქტორ ჟივაგოში" მან მეორეხარისხოვანი როლი ისე ითამაშა, რომ ჰოლივუდის მოწვევა მიიღო, და ედგარ ველენსის ფილმებიდანაც არავის დავიწყებია კუთხეში მდგომი კინსკი, ეკლიანი, სიცარიელეში მიმართული მზერით.

მაგრამ – ლეგენდა ჰყვება – კინსკის ეს არ აკმაყოფილებდა. ის მაინც სულ ბრაზობდა და უკმაყოფილო იყო. შესაბამისად, საზოგადოებაც ათასგვარ ბრალდებას უყენებდა: ნარცისიც უწოდეს, ეგომანიც – სულ იმას ცდილობს, გარშემო ყველა და ყველაფერი თავის ნებას დაუმორჩილოსო. ისე, ფაქტია, რომ ცდილობდა და გამოსდიოდა კიდეც.

და ეს "ურჩხული" განსაცვიფრებლად კითხულობდა ლექსებს. ამას ვერავინ წაართმევდა, თან ნაკლები რაოდენობით ხალხთანაც უწევდა საქმის დაჭერა. ის კითხულობდა ვიონისა და რემბოს ტექსტებს, საზოგადოების მიერ განდევნილი და დევნილი სუბიექტი იყო. 1959 წელს მის მოსასმენად ვენის გმირთა მოედანს 70 ათასი ადამიანი მიაწყდა, კინსკის უზარმაზარი დარბაზების მონუსხვის უნარი ჰქონდა. მანამდე, სანამ ეკრანის ვარსკვლავი გახდებოდა, კინსკი დეკლამაციის ვარსკვლავი იყო, და მას დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ის, რომ უზარმაზარი აუდიტორიები სუნთქვაშეკრული უსმენდა, რომ ათასობით თვალი მისკენ იყო მიმართული.

"კინსკი კითხულობს" – ეს ფირფიტები ევროპაში 1959 წლიდან იყიდებოდა. ვიონისა და რემბოს გარდა, კინსკი კითხულობდა გოეთეს, შილერს, ბოდლერს, ნიცშეს, შექსპირს, და ყოველ ჩანაწერს უზარმაზარი კომერციული წარმატება ჰქონდა. იმხანად პრესა წერდა: "ის ცეცხლს უკიდებს იმ ნაწარმოებებს, რომელთა ტექსტებსაც სკოლაში ვსაწვლობდით და რომლებიც ყოველთვის უსაზღვროდ მოსაწყენად გვეჩვენებოდა". ის ისეთი გზნებით უხმობდა სულებს, როგორიც გერმანული სცენისთვისაც კი უჩვეულო და მოულოდნელი იყო. უნაზესი ჩურჩულიდან ექსტატურ ღრიალამდე – კინსკის ხმა ყველაფერს წვდებოდა, და მას ისე შეეძლო დოსტოევსკის მთელი რომანის წაკითხვა, რომ მსმენელს წამითაც არ ეფანტებოდა ყურადღება.

ცნობილია, რომ ეს განუმეორებელი აურის მქონე მამაკაცი ამ ტექნიკას სამსახიობო სასწავლებელში კი არა, ბრიტანელი სამხედრო ტყვეების თეატრში დაეუფლა, 1945 წელს, და აბსოლუტური სპონტანურობის შთაბეჭდილებას ის სწორედ ამ უნაკლო ტექნიკის წყალობით აღწევდა. ხმის ჩამწერი სტუდიის თანამშრომლები იხსენებდნენ, რომ ის საათობით ამუშავებდა თითოეულ ფრაზას, და ვაი იმას, ვინც მისი ნებართვის გარეშე ვინილზე ერთი წუთის ჩაწერას მაინც გაბედავდა! თავის ავტობიოგრაფიულ ნარკვევში "მე სიყვარული მჭირდება", კინსკი წერდა: "ფირფიტების ჩაწერისას, რაც დილის ექვს საათამდე გრძელდება ხოლმე, ოთხ კედელში გამომწყვდეულს მიკროფონში ძახილი მბეზრდება. ზოგჯერ ცოცხალი ადამიანები მჭირდება, რომ ჩემს გრძნობებს პროსტიტუირების საშუალება მივცე".

ძნელი სათქმელია, რა იყო ეს – სკანდალური, ფეთქებადი, დაუოკებელი სექსუალური სურვილების მქონე ხელოვანის იმიჯის შემადგენელი ნაწილი, თუ ნამდვილი კლაუს კინსკი. ფაქტი ერთია: "ბიურგერების რისხვა", კინსკი, ომისშემდგომი გერმანიის საზოგადოებას სრულ შოკში აგდებდა.

ამის დასტური თუნდაც თავზარდაცემული წერილებია, რომლებსაც მოსახლეობა ჟურნალებსა და გაზეთებში გზავნიდა. აი, ერთი, ყველაზე მეტყველი მაგალითი, რომელიც 1961 წელს "შპიგელში" გამოქვეყნდა: მკითხველი აშკარად ბედნიერი იქნებოდა, თუ მსახიობს ციხეში ამოაყოფინებდნენ თავს. "ხომ ცნობილია, რომ ის, ვინც თავის ქცევით საზოგადოებრივ წესრიგს არღვევს და მოქალაქეებს შეურაცხყოფს, ორი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთით ან ფულადი ჯარიმის გადახდით ისჯება. ამ ზღვარს გასული არსების ლიბიდოს არტურ რემბოც ვერ აღუდგა წინ. ამ ლექსების მრწყევლს კანონმაც ვერ აღუკვეთა საჯაროდ მასტრუბირება". იქვე მეორე მკითხველიც გამოთქვამს თავის აზრს: "ეს ერის კარგი აღზრდის დამსახურებაა, რომ მოღრიალი კინსკი ფოიეში ლინჩის წესით არ გაასამართლეს".

გავიდა მრავალი წელი, და ოც კომპაქტ-დისკზე კლაუს კინსკის დეკლამაციის ნიმუშები იქნა ჩაწერილი. რა კარგია, რომ გერმანელებს აღზრდა თუ ჭკუა ეყოთ, და ლინჩის წესისგან თავი შეიკავეს! ამ ჩანაწერების მოსმენისას ეჭვი შეგეპარებათ – ყრუები ხომ არ იყვნენ "შპიგელის" მკითხველები?

## სკანვორდი



## TV პროგრამა

3 მარტი

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.10** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **22.50** ღამის კურიერი **23.50** მხ. ფილმი "შეშლილი სიყვარული". მთ. რ-ში: ლორა ხერინგი, როი ვერნერი.

### პირველი არხი

**09.00** მულტფილმი "კონკია" **09.50** მხ. ფილმი "თორმეტი სკამი" **11.10** საცირკო წარმოდგენა **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** "ჩვენი ეზო" **13.30** მოკლემეტრაჟიანი ფილმები **15.15** მხ. ფილმი "ჭია-მაიები" **16.40** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **17.05** საქართველო, დრო, მოვლენები **17.40** ფილმი-ბალეტი "კარმენი" **18.30** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.00** ენერგია **19.25** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.05** ბასტი-ბუბუ **21.20** სერიალი "სოლედადი" **23.30** მხ. ფილმი "მარტოსული გმირი"

### პირველი სტერეო

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **15.20** ფილმი **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** ქართ. მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "კოდექსი" მთ.რ-ში სამი ნასერი, სამუელ ლებიანი. **01.40** "ღამურა" **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **10.00** სერიალი "მისი სულის მუსიკა" **11.00** მხ. ფილმი **13.25** მხ. ფილმი **15.00, 17.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **15.10** მხ. ფილმი **18.30** მულტსერიალი "ცეროდენა მოჩვენებები" **19.00** სერიალი "მისი სულის მუსიკა" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **21.00** მხ. ფილმი "ჩალის ძაღლები" (დასტინ ჰოფმანი) **23.00** მხ. ფილმი "სარა" (ბოგუსლავ ლინდა)

### მეორე არხი

**19.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" **19.35** კინოსეანსი "სიკვდილის ალმასი" **21.00** და არს მუსიკა **21.20** ჩვენი მისამართია **22.10** მხ. ფილმი "ძვირფასი ტვირთი"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "გულთამყრობელნი" **14.00** მხ. ფილმი "შემოდგომის ლეგენდები" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "დიდი საქმე" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "გამოუსწორებელი თაღლითები" **00.30** მუსიკა

### იბერია

**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **10.00** მხ. ფილმი **12.15** სილუეტი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.30** ბალეტი **15.15** მხ. ფილმი **18.00** დოკ. ფილმი **19.45** გადაცემა - მურადა **20.00** მხ. ფილმი **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა "დილა" **09.30** დღის ამბები **09.45** პროგრამა "დილა" **10.15, 13.30, 17.50, 19.40, 20.20** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.45** დღის ამბები **11.50** მხ. ფილმი "ობობა". **14.00** მულტფილმი "კონკია" **14.50** ევროპის სტადიონებზე **15.10** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **16.00** სერიალი "ინდიგოს მიწა" **16.35** დოკ. სერიალი "ქანდაკება" **17.00** მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" 1-ლი ს. **18.00** მულტფილმი "კონკია" **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "ინდიგოს მიწა" **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **22.00** სერიალი "მოჯადოება" **23.00** ქართ. ფილმი **01.00** მხ. ფილმი "ვარსკვლავეთის ომები".

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **07.15, 13.15, 17.20, 00.55** იმედის მელოდიები **08.00** "იმედის" დილა **10.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **11.05** დოკ. სერიალი "სტილის ამქრები" **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** სპ. პროგრამა "ასი" **14.05** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **15.15** "ოსკარის" ცერემონიის შემდგომი წვეულება **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.35** ქრონიკა **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **21.30** არტ-ბულვარი **22.50** მხ. ფილმი "შემოდგომა ნიუ-იორკში"

### არხი

**08.00** დოკუმენტური ფილმი **09.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** თრილერი "მიზერი" **11.15** დოკუმენტური ფილმი **12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00** საინფ.გამ. "დღეს" **12.10, 16.10, 18.15, 22.30, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **12.20** "პოზიცია" **14.10** კომედია "დიდი ლებოვსკი" **16.20** მულტფილმების კრებული **16.40** ისტორიული ფილმი **19.15** დოკუმენტური ფილმი **20.10** დრამა "თეთრი ოლეანდრი" **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** დოკუმენტური ფილმი **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე **01.00** კომედია "გაიძვერობა" **02.35** მუსიკა **03.00** დრამა "ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა" **05.10** დოკუმენტური ფილმი

### ОРТ

**07.00** "Доброе утро!" **09.45** Выборы-2004 **10.00, 13.00. 16.00, 19.00** Новости **10.20 Худ.фильм "Улицы разбитых фонарей 5" 11.20 Сериал "Клон" 12.20** "Ералаш" **12.40** Дисней-клуб: "Чудеса на виражах" **13.20 Худ.фильм "Время желаний" 15.20** Шоу "Город женщин" **16.20 Сериал "Берег мечты" 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.20** "Смехопанорама" **19.50** "Выборы-2004" **20.00 Сериал "Клон" 20.50 Худ.фильм "Любительница частного сыска Даша Васильева" 22.00, 00.30** "Время" **22.35 Худ.фильм "Улицы разбитых фонарей 5" 23.40** "Спецназ". "Бросок в опасную зону" **01.00** "Звезды эфира". А.Иванов **01.30** "Крылья" **02.00** "Форганг" **02.30 Комедийный триллер "Надин" 04.05** "Что? Где? Когда?". Финал зимних игр **05.10 Худ.фильм "Силуэт"**

### РТР

**06.00** "Доброе утро, Россия!" **08.50** "Выборы-2004" **09.45 Сериал "Тайны следствия 3" 10.50** Ток-шоу "Короткое замыкание" **11.50, 14.50, 17.30, 01.55** Вести. Дежурная часть **12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.20, 15.10, 17.40, 21.30** Местное время. Вести-Москва **12.50** "Что хочет женщина" **13.50 Сериал "Женщины в игре без правил" 15.30** Ток-шоу "Частная жизнь" **16.30 Сериал "Возвращение Мухтара" 18.10 Сериал "Люди и тени". "Секреты кукольного театра" 19.05 Сериал "Главные роли" 20.00 Детектив "Зачем тебе алиби?" 21.50** "Спокойной ночи, малыши!" **21.55 Сериал "Тайны следствия 3". "Третий лишний" 22.55 Сериал "Женщины в игре без правил" 00.00** "Вести+" **00.20 Сериал "Идиот" 01.25** "Авторитет". Е.Миронов **02.10 Фильм "Я сама" 03.45** "Дорожный патруль" **04.00** "Агентство одиноких сердец" **04.25 Сериал "Ангелы Чарли"**

### НТВ

**07.00** "Утро на НТВ" **09.45 Сериал "Свободная женщина 2" 11.00** "Сегодня утром" **11.25** "Кулинарный поединок". А.Вески - О.Симоненко **12.20** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.00** "Сегодня" **13.35 Худ.фильм "Не ставьте лешему капканы..." 15.15** "Время есть" **15.35** "Протокол" **16.35** Ток-шоу "Принцип домино" **18.30 Сериал "Она написала убийство" 19.35** "Протокол" **20.40 Детектив "На вираже", 6 с. 21.50 Сериал "Свободная женщина 2", 3 с. 23.00** "Страна и мир" **23.35** "Красная стрела" **23.45 Сериал "Без следа". "Лунный свет" 00.50 Сериал "На вираже"**

# რა ბედშია მაიკლ ჯექსონი



მაიკლ ჯექსონმა დაიჩივლა, რომ ინტერნეტში შესვლისთანავე თავის შესახებ ისეთ ამბებს იგებს, როგორიც არასოდეს გაუგონია, და თან ისეთი ხალხისგან, რომელიც თვალით არ უნახავს. ამიტომ მან გადაწყვიტა, თავის შესახებ ახალი ამბები თავად გაევრცელებინა და ამრიგად ჭორების მოყვარულთათვისაც შეეშალა ხელი. ამ საქმისთვის 1 მარტიდან გაიხსნა ახალი, სავსებით მოდერნიზირებული გვერდი, "ახალი დასაწყისი". ამ გვერდზე ჯექსონი თავის შესახებ სტატიებს, ფოტოებსა და ვიდეომასალას წარმოადგენს.

ამგვარად, "მიამიტი" პოპის მეფე ფულს ინტერნეტის მეშვეობითაც გააკეთებს. მომავალი ორი კვირის განმავლობაში ექსკლუზიური მასალების, მათ შორის ინტერვიუების ტექსტების მისაღებად გარკვეული გადასახადი იქნება დაწესებული. თუმცა, ინფორმაციის ძირითადი ნაწილი თავისუფლად შეგიძლიათ მიიღოთ.

სულ მალე გვერდის სტუმრები ჯექსონისა და მისი შვილების ფოტოსურათებს იხილავენ, სადაც ისინი თხილამურებით სრიალებენ. აი, სწორედ სათხილამურო სპორტთან დაკავშირებით მაიკლ ჯექსონი კიდევ ერთ გაუგებრობაში მოხვდა:

კოლორადოს შტატში, გლინვუდ სპრინგსის სუპარმარკეტში, გამყიდველმა პოლიციას მოახსენა, რომ მისი ერთ-ერთი კლიენტი მაღაზიაში სათხილამურო ნიღბით დაიარებოდა. მართალია, ფული გადაიხადა, მაგრამ თავად ამბავი გამყიდველს უცნაურად ეჩვენა, ამიტომ მან პოლიციელებს შენიღბულის მანქანა აღუწერა. ცოტა ხანში მანქანა დააკავეს და მძღოლი იძულებული გახდა, ნიღაბი მოეხსნა. ეს მაიკლ ჯექსონი აღმოჩნდა.

ინციდენტს არანაირი შედეგი არ მოჰყოლია – ვარსკვლავმა პოლიციელებს სახე აჩვენა, ეს იყო და ეს.

# როგორ მონათლეს ჩანჩქერი

ბრიტანელმა მკვლევარმა, კოლონელ ბლეშფორდ სნელმა, პანამაში, მდინარე პინაზე ერთ ჩანჩქერს სახელი შეუცვალა და "კონორის ჩანჩქერი" დაარქვა. თავის სახელს ბუნების ეს მშვენიერი ქმნილება შოტლანდიელ მსახიობს, შონ კონორის უმადლის. გაზეთ "ზიუდდოიჩე ცაიტუნგის" ცნობით, ყოფილი ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებლის სახელი ჩანჩქერს იმის გამო მიანიჭეს, რომ მან ცენტრალურ ამერიკაში სნელის ბოლო ექსპედიციას ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა.

# კულინარიული ენციკლოპედია



*დევიდ კოვერდეილი*

მოგეხსენებათ, როკ-მუსიკოსებს, ისევე როგორც საზოგადოების დანარჩენ ნორმალურ ნაწილს, უყვარს გემრიელად კვება. ჯგუფ "უაითსნეიკის" სოლისტის დევიდ კოვერდეილის მეუღლემ, სინდიმ გამოიყენა საკუთარი, როკ-მუსიკოსების გარემოცვაში ყოფნის პრივილეგიები და გადაწყვიტა გამოეკვლია მეუღლის კოლეგების გემოვნება. ახლა ეს ქალბატონი მოძიებული მასალების წიგნად გამოცემას გეგმავს. წიგნის სახელწოდება იქნება Food That Rocks. ნაშრომის პრეზენტაცია მარტის შუა რიცხვებში ჰოლივუდში გაიმართება. პრეზენტაციის პარალელურად ნავარაუდევია ავტოგრაფების გაცემა, სადაც მონაწილეობას მიიღებენ: თავად სინდი კოვერდეილი და მისი თანაშემწე, ჟურნალისტი მარჟი ლაპანია, ასევე: დევიდ კოვერდეილი და ის როკ-მუსიკოსები, ვინც სინდის საკუთარი კულინარული გემოვნება გაუზიარა.

ავტორის აზრით, Food That Rocks როკ-მუსიკოსების ყველაზე სრული კულინარიული ენციკლოპედიაა. მუსიკოსების შემოთავაზებული რეცეპტების გარდა, წიგნში მოყვანილი იქნება თავად მუსიკოსების მოკლე ბიოგრაფიები და დამსახურებები მუსიკაში.


# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.



განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითითიანი მეთოდი.
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word.
- აღრიცხვა-საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი, ინტერნეტი, ელ-ფოსტა.
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის № 72 ტელ:29-48-61





